

ԱՅԵՍ ԹԱՐՅԱԿԱՅԻ

ivni si # 6
fasi 5 l ari

nato metoni Ze
I evan koRuaSvi l i
nana j orj aZe
ni no Cubi ni Svi l i
hana Si gul a

creml i ani saTval e
gi orgi gvaxar ia

Tbi l i siri
zaza bur Wul aZe

spec-pr oeqt ebi :
qal ebi dil is 9:00 saaTze
nansi - parizi



ISSN 1512-2220

977 512 222 006

GITANES

ქოტანი

LE CHARMÉ
ET LE CHOIX

ქარმი
და პრჩევანი



რბილი
გაწონასწორებულობა

მსეავები
სიმშვიდე

ულტრა მსეავე
სიმსუბუქე

სირბილის მიზანი

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხელები:
მოწვევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.
მოწვევა იწვევს გულის დაავადებებს.



"KLM gepatiJebaT evropaSi"

germania 273 ass dol aridan
europa 323 ass dol aridan



Sei Zi neT 30 ivni samde, i frineT 31 agvist omde

berlini	273	aer oportis mosakreblis CaTvl iT 401.91
londoni	323	aer oportis mosakreblis CaTvl iT 495.99
milan	323	aer oportis mosakreblis CaTvl iT 451.50
parizi	323	aer oportis mosakreblis CaTvl iT 459.96
romi	323	aer oportis mosakreblis CaTvl iT 450.67
barselona	323	aer oportis mosakreblis CaTvl iT 442.91

fasebi mocemul ia ass dol arebsi

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თქვენს სამოგზაურო

სააგენტოს ან ავიაკომპანია KLM-ს სათაო თელებს:

(995 32) 920079, 920023

ელ-ფოსტა: reservations@klm.com.ge

berlini-bremen-koloni-dusel dorfi-hanoveri-hamburgi-munxeni-nurbergi-Stuttgarti-amsterdami-aberdini-barselona-birminghami-bolonija-bristol i-brusel i-budapesti-buxaresti-kopenhageni-kardifi-dublini-edinburgi-florencia-glazgov-gotenburgi-Jeneva-hel sinki-kristiansendi-lidski-lisaboni-londoni-lugsemburgi-ioni-madridi-manchesteri-marsel i-nicniukasti i-korki-osl o-parizi-praRa-romi-stokholmi-stevangeri-talini-tuluzi-venecia-vena-varSava-curixi

AIR FRANCE KLM



„ბბ კომპანია“, კოსტავას 26, ტელ.: 98 40 24

www.lavazza.com





9 TH TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL

WWW.EASTERNPROMOTION.COM

2 ივლისი

ვაკის პარკი

- 18:00 — ლემონ ჯუს (საქ.)
- 19:00 — პაპარაცი (საქ.)
- 20:00 — გიორგის ჯაზდივიზიონი (საქ.)

4 ივლისი

ნესკაფე წარმოგიდგენთ

დიდი საკონცერტო დარბაზი

20:00 - დეივიდ სენბორნი და ოლსთარ ბენდი (აშშ)
გილ გოლდშტეინი, დონ ელაიასი,
თერი-ლინ ქარინგთონი, ქრისთიან მაქბრაიდი.

შერატონის საბანკეტო დარბაზი

3 ივლისი

შერატონის საბანკეტო დარბაზი

- 21:00 — ქლაიენტს ფანკ სოსაითი
მონვეული სტუმარი
ფრედა გუდლეთი (შვეიცარია-აშშ)


23:00 — ჯემ სტეიშენი:

ქლაიენტს ფანკ სოსაითი

დეივიდ სახელონი და ALL STAR BAND (აშშ)
გილ გოლდშტეინი, დონ ელაიასი, თერი-ლინ ქარინგთონი და
ქრისტიან მაქბრაიდი

ჯორჯ ბასონი და ბალი (აშშ)





TBILISI 2005

JAZZ
festival

koka-kol as jazzfestival i

5 ივლისი

დიდი საკონცერტო დარბაზი

20:00 - შინი (საქ.)

მოწვეული სტუმარი - რენდი ბრეკერი (აშშ)

21:00 - ჯონ სკოფილდის კვარტეტი (აშშ)

მოწვეული სტუმარი - ქრის ფოთერი

6 ივლისი

ბანკი რესპუბლიკა და ნესკაფე

წარმოგიდგენთ

დიდი საკონცერტო დარბაზი

20:00 - ჯორჯ ბენსონი (აშშ)


რეინი პრევერი (აშშ)

ჯონ სკოფილდი და კვარტეტი (აშშ)
ერის ფოთერის მუსიკალური გარე



nato metoni Ze -
daaxl oebi T mai nc

14



I evan koRuaSvi i
saxl i dan wasvl a -
msofl i os naxva

24




spec-pr oeqti
qal ebi dil i s 9:00 saaTze

35



i vni si

07



spec-pr oeqti
par i zi -nansi -par i zi

84



რედაპტორი შორენა შავერდაშვილი
რედაპტორის თანამედრე ნატა ფედოსეევა
არტ რედაპტორი ლევან ნუცუბიძე
ფოტო დავით მესხი
ლევან ხერხეულიძე
ნიკო ტარიელაშვილი
სტილისტი გაგა ლომიძე
ილუსტრატორი მაია სუმბაძე
გიორგი სუმბაძე
დიზაინი დავით თეთრაძე
მიხეილ დგებუაძე
დისენტრიგული დავით ნარიშანიძე

nana j orj aZe

52



ni no
Cubi ni Svi l i

64



daTo turaSvi l i
fotomoTxr oba

76




festival i
pasaji

90



anri maWavar i ani


106



Enrico Bruson - Mappa della
città di Roma.
Autunno 1969.

gi orgi gvaxaria
creml iani saTval e

112



ნომერზე მუშაობდნენ:

ნესტან კვინიკაძე
ანა კორძაია-სამადაშვილი
თამარ ბაბუაძე
თამარ სუხიშვილი
სალომე კიკალეიშვილი
დათო ტურაშვილი
ლევან ნუცუბიძე
ზაზა ბურჯულაძე
გიორგი გვახარია

 publishing


გამომცემელი
შპს „ემ ფაბლიშინგ“
მისამართი: თბილისი 0105,
ფალიაშვილის ქ. 108
ტელ./ფაქსი: 23 37 31
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია

რეკლამის განთავსება
შპს „მსა თბილისი“
მისამართი: ფალიაშვილის ქ. 108
ტელ./ფაქსი: 23 37 31
ელ-ფოსტა: msa@msa.ge


msa tbilisi

სტამბა
შპს „სეზანი“
მისამართი: თბილისი,
წერეთლის გამზ. 140
ტელ.: 35 70 02
ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com

 CEZANNE
PRINTING HOUSE



redactor i sgan




„რედაქტორის სვეტის“ აუცილებლობას ჩვენს უურნალში აქამდე ვერ ვხედავდით. გვინდოდა იმდენი მოგვეხერხებინა, რომ თქვენთვის, ჩვენი მკითხველისთვის, უურნალი დამატებითი გზამკვლევების გარეშეც გასაგები ყოფილიყო. თუმცა, ამ ნომერში ისეთი სიახლეები გვაქვს, რომ მოუთმენლობამ გვძლია და ვჩქარობთ, ეს სიახლეები უურნალის პირველივე გვერდებიდან გაცნობოთ. თუ აქამდე ხუთი ქართველი და ერთი უცხოელი პერსონაჟის ისტორიას, ერთ ფოტო, ერთ თემატურ და ერთ გასვლით სპეც-პროექტს, ერთ ნოველას, ერთ სერიალს და ერთადერთი და განუმეორებელი დათო ტურაშვილის ფოტო-მოთხოვნებებს გთავაზობდით, „ცხელი შოკოლადის“ მექევსე ნომრიდან ვინწყებთ ორ ახალ რუბრიკას. გთავაზობთ გიორგი გვახარიას კულტურულ ქრონიკებს, მემუარული სანტიმენტალურობით და მისივე კინოსამყაროს ყველაზე ინტიმური და ლირებული ამბებით, და ზაზა ბურჭულაძის ესეს „თბილისირი“. ესეს სახელი, ალბათ, კონკრეტულ მოლოდინს გვარნახობთ, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ზაზა ბურჭულაძესთან გვაქვს. მაგრამ, ზუსტად ორი სიტყვით მინდა გითხრათ, რატომ ავიტეხეთ ეს თავსატეხი, – ცხადია, თუ ვინმეს ეს თავსატეხად მოეჩვენება. ჩვენ არ ვიზიარებთ პათოსს – „ჩვენ კარგები ვართ, თქვენ - ცუდები“. პირველ ყოვლისა ვცდილობთ, ვიყოთ თვითორონიულები და ამით გახალისება შევძლოთ; მით უფრო მაშინ, როცა საქმე საუკეთესო თბილისურ ამბებს და საუკეთესო მექაროულებს, ზაზა ბურჭულაძეს ეხება. ასე რომ, ჩვენი „საუკეთესო ავტორების“ გუნდს, კიდევ ორი ავტორი შეემატა და ვიმედოვნებთ, რომ ამიერიდან „ცხელ შოკოლადში“ უფრო მეტი საკითხავი გექნებათ.

მათ, ვისაც სერიალის დასრულებამ გული დასწყვიტა, გვინდა ვანუგეშოთ, რომ ახალი საურნალე სერიალი უახლოესი ნომრებიდან დაიწყება. ამასობაში, ბატონი აკა მორჩილაძე სამოგზაუროდ მიდის და მომავალი ნომრიდან „მოგზაურის ამბებით“ გააგრძელებს ჩვენთან თანამშრომლობას.

ერთადერთი, მინდა შემოგჩივლოთ: გვაკლია თქვენთან, ჩვენს მკითხველთან კიდევ მეტი კონტაქტი. ამიტომ, სულ მაღალ გვექნება ვებ-საიტი, სადაც შეძლებთ, რომ თქვენი გამოხმაურებები, შენიშვნები და მოსაზრებები მოგვწეროთ. მხოლოდ ასე შევძლებთ, რომ თქვენ სულმოუთქმელად ელოდეთ ყოველი თვის 25 რიცხს. ანუ 25 „ცხელი შოკოლადშის“ დღეა!

P.S. მანამდე, არ დაიზაროთ და გამოგვეხმაურეთ ელ-ფოსტით, მისამართზე: mpublishing@caucasus.net
შორენა შავერდაშვილი

A woman with long brown hair, wearing a floral bikini top and matching bottoms, is smiling and looking towards the camera. A man with curly blonde hair, wearing a white t-shirt, is looking directly at the camera. They are both lying on a dark surface, possibly a beach or a sofa.


GOLDEN. SEXY. NIGHT-BRIGHT.

Miami Glow

by JLO

First stroke on the
new scent by Jennifer Lopez
then wrap on the
miami chic charm bracelet.





Cveni avtor ebi

zaza bur Wul aZe

შეიძლება ვინმეს ახსოვს, ჩემს
ბავშვობაში იყო ასეთი გამოთქმა თუ
მოქნეული ფრაზა-შეკითხვა: ‘ამოხეთქა
ვაკეში ყავამ?’ არ ვიცი, ეს შეკითხვა დღეს
როგორ უდერს ან, ისევე მუშაობს თუ არა, რო-
გორც თავის დროზე მუშაობდა, თუმცა, რაც შემეხე-
ბა მე, უნდა მოგახსენოთ, რომ დღემდე არ ამომსვლია
თავიდან იგი. ბავშვობაში გულუბრყვილოდ მწამდა,
რომ ადრე და მალე ჭავჭავაძის პროსპექტი უთუოდ
შუაზე გაიხსნებოდა ღრწიალით და ნაპრალიდანაც
მდუღარე ყავა ღმუილით ამოხეთქავდა. იმათ გასაგო-
ნად მინდა ვთქავა, ვინც ფიქრობს, ამას რა მძიმე ბავშ-
ვობა ჰქონია, რომ ჩემდათავად ბავშვობაზე ტკბილად
არაფერი მახსენდება. ესა, შეიძლება ასაკისა და ათასი
კლიაოზნი რამის ბრალია, თუმცა ეს აქ არაფერ შუა-
შია. მთავარი ისაა, რომ მე დღემდე მწამს და ვუცდი
ვაკეში ყავის ამოხეთქას. დიალ, სწორედ დღეს, როცა
ათასი ფირმისა და ქვეყნის ყავამ ლამის წალეკოს თბი-
ლისი. ისე სათქმელია, რომ მაშინ, ანუ ჩემს ბავშვობა-
ში, ათმანეთიანი ინდური ხსნადი ყავისა (ახლაც მახ-
სოვს მისი ნარეცხივით გემო) და მოსახალ-დასაფეხვავი
მარცვლების მეტი არაფერი იყო. მოკლედ, არ ვიცი,
ასაკის თუ რის ბრალია, მაგრამ ჩემში დღითიდღე სულ
უფრო და უფრო მტკიცდება იმის რწმენა, რომ ვაკის
ქვეშ უთუოდ უზარმაზარი ყავის საბადოა, უკვე გამ-
ზადებული – მოხარშულ-დაშაქრული ყავისა, და ოდენ
დროის ამბავია და ჭავჭავაძის პროსპექტი უთუოდ
შუა გაიხსნება ღრწიალით და იქიდანაც მდუღარე ყავა
ამოხეთქავს.

ხუმრობა იქით იყოს და, ხვდებით მაინც, რა მიმტ-
კიცებს ამ რწმენას? რა და, ამ ქალაქში ‘ცხელი შოკო-
ლადის’ გამოჩენა, რომელიც თანახმაა, წინამდებარე
სვეტისდარი სისულელე დაბეჭდოს თავის ფურცლებ-
ზე. ანუ, თუკი საქართველოში შეიძლება გაჩნდეს უზ-
ნალი, რომელიც თუნდა ჩემნაირ ხურუშიან ავტორებს (თუმცა სათქმელია, რომ ჩემნაირი ხურუშიანი მეორე
იშვიათია) არ შეზღუდავს და მათ ნაბოდვარში პონთ-
რარსაც გადაიხდის, რატომ არ შეიძლება ვაკეში ყავამ
ამოხეთქოს? ბოლოსდაბოლოს, შოკოლადი უყავოდ ვის
მიურთმევია?



sal ome ki kal ei Svi I i

ვინაიდან და რადგანაც დავალება
მაქვს მთავარი რედაქტორისგან, რომ
რამე უნდა დავწერო – ვწერ. რამეს.

რამე – შეიძლება იყოს ყველაფერი: ის, რაც
მანუხებს; ის, რაც მიყვარს; ის, რაც მაღიზიანებს...

დღეს, „რამე“ ის ნათურაა, რომელიც მაინცდამაინც
სტუმრის თვალნინ გადაიწვა და ახალი მაქვს საყიდე-
ლი; ჩემი ქმრის ის თვალებია, რომელიც ამ სვეტის წე-
რისას იქითა ოთახიდან მიყურებს – საჭმელი რა გვაქვ-
სო?! ჩემი შვილია, რომელსაც ბევრი სამუშაოს დროს,
ბებიასთან ვაგდებ ხოლმე და საშინლად განვიცდი...

ამ ნომრის სპეც-პროექტზე მუშაობისას, პირველად
მოხდა, რომ ერთდროულად გადავეყარე ბევრ, ბევრ
რესპონდენტს – სხვადასხვა ასაკის, პროფესიის ქალბა-
ტონებს. „რა, მართლა 9 საათზე მოხვალთ?“, „არ შევი-
ღებო?“, „ღმერთო რა სისასტიკეა!“... – სიტყვები, რო-
მელიც ბოლო ორი კვირის მანძილზე ყველაზე ხშირად
მესმოდა ტელეფონის ყურმილში. „ქალები დილის ცხრა
საათზე“ – რამდენად შევძელით ამ რთული მისის წარ-
მატებით შესრულება, უკვე თქვენი შესაფასებელია.

ბოლოს კი... ბანალურად, მაგრამ მაინც. რამდენიმე
რჩევა უკეთესი განვიყობისათვის:

იკითხეთ „ცხელი შოკოლადი“.

მიირთვით ცხელი შოკოლადი.

და ხშირად გაიხსნებოდა ხოლმე გენიალური კაბირიას
ღიმილი!



nestan kvi ni kaZe

მიყვარს: ზაზა ბურჭულაძის და შორენა შავერდაშვილის კონფლიქტის მოსმენა; ლევან ნუცუბიძის რეპლიკები, – განსაკუთრებით მაშინ, როცა დაღლილობისგან ზღვარგადასულია ხოლმე ხუმრობა; ტურაშვილის აჩემებული ფრაზა, რითაც შემოსვლისთანავე მიმართავს ნატა ფედოსევას: რა ჰქენი, გაიყვანე ჯარი? გაგა ლომინის კორექტირებულ ტექსტებში შეცდომების აღმოჩენა; სუჭი, გამუდმებით ხელდამშვენებული რომ ბრუნდება ოფისში; ქეთა, ჩვენს გატრანსულ იდეებს მომენტალურად რომ ანარცებს მიწაზე; პარიზში მივლინება და უკანა გზაზე თვითმფრინავის რეისზე დაგვიანება.

ვერ ვიტან: story-ს წერას წარმატებულ ქართველებზე; კასეტის გაშიფრასა და შენიშვნების მიღებას, მაშინაც კი, როცა სამართლიანია ეს შენიშვნები.

იმედი მაქვა: ბეჭდურ სივრცეში „ცხელი შოკოლადი“ საამაყო ადგილს დაიკავებს; ჩვენი დიდი იმედები გამართლება; და შევძლებთ მოვიგონოთ სხვა რამ უკეთესი, ვიდრე დემოკრატიაა.

P.S.

წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი, გაევრორემონტებული ბინა, სადაც ერთ ოთახში დათომ ტურაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ზაზა ბურჭულაძე სხედან და წერენ. ელ-ფოსტას პერიოდულად აკა მორჩილაძისა და გიორგი ლობჟანიძის ტექსტები მოაქვს, მეორე ოთახში დიზაინერები ფერად გვერდებს აწყობენ, რომ ყოველი თვის 25-ში თქვენ გქონდეთ უურნალი – საუკეთესო ავტორების მიერ დაწერილი საუკეთესო ისტორიებით.



davi T tur aSvi l i

აღმოვაჩინე, რომ ძალიან მიყვარს ფოტოგრაფია.

აღმოვაჩინე მარტივად: ერთხელ მოვდიოდი ქუჩაში (სინამდვილეში სულ მივდივარ) და არ შევედი გალერეაში, სადაც ერთი მხატვრის გამოფენა სწორედ მაშინ გაიხსნა, როცა იქ ჩავიარე. მაგრამ იქვე, რამდენიმე ნაბიჯში, შევედი მეზობელ გალერეაში, სადაც ფოტოგამოფენა იყო გახსნილი და მიუხედავად იმისა, რომ მეჩქარებოდა (სინამდვილეში ყოველთვის მეჩქარება), მაინც დავათვალიერე შავ-თეთრი, ერთხელ უკვე ნანახი ფოტოები.

მოკლედ, არჩევანი გავაკეთე – ფოტოგრაფიის სასარგებლოდ.

ფოტო რომ უფრო მაინტერესებს, ვიდრე ფერწერა, – ეს ალბათ ჩემი მწირი განათლებისა და შესაბამისი გემოვნების ბრალია, მაგრამ ჩემთვის გულწრფელობა უფრო ძვირფასია, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი და მართლა მინახავს ფოტოები, რომელთა კარნახით შემიძლია წიგნები ვწერო. თუმცა, მე არ ვწერ ფოტორომანებს, რადგან რომანს ეს უურნალი, უბრალოდ, ვერ დაიტევს და თანაც, ძალიან მინდა, ვიღაცას მაინც ეგონოს, რომ სინდისი, თუნდაც სულ მცირე დოზით, ჯერ კიდევ შემრჩა.

ამიტომაც ვწერ ფოტო-მოთხრობებს ამ უურნალის-თვის და (როგორც მარიკა ერქომაიშვილი ამპობს) ზოგი მოთხრობა ცუდია, ზოგი ისე რა და ზოგი კი – უბრალოდ გადასარევი.

ანუ ჩვენი მოთხრობები, ყველაზე მეტად, თვითონ მკითხველებს ჰგვანან და უკეთესობა, რა თქმა უნდა, სასურველია.

უკეთეს მოთხრობებს კი, აუცილებლად დაგწერ, როცა წერისათვის ამ უურნალის რედაქციაში უკეთესი პირობები იქნება. არაფერი განსაკუთრებული – შემოშველებული ჭიქა ჩაი (სასურველია მწვანე, შაქარი – ორი კუვზი) და სითბო.

სითბო ყველას გვაკლია და მეც ამიტომ ვწერ. ვწერ და ვთბები, რადგან ამ უურნალის რედაქციაში ყოველ-თვის ცივა.

და თუ რომელიმე ჩემი მოთხრობა რომელიმე თქვენგანსაც გაათბობს, ძალიან, ძალიან ბედნიერი ვიქნები...



STabeWdi I eba

9 ივნისის საღამო. ოპერის თეატრი. ჩაბნელებული სცენა და ჩაბნელებული დარბაზი თითქოს გაერთიანდა. ისედაც სავსე შავ ფერს თანდათან მუსიკა პირთამდე ავსებს. მერე უკვე დარბაზს სცენისგან ლურჯი განათება აცალევებს. ჩნდებიან თეთრი, თხელი სხეულები, ალაყაფის კარს აღებენ და სცენაზე კიდევ ერთი თეთრი გოგონა გამოჰყავთ. მსხვილი პლანი გოგონას სახეზე და შიშისგან დამრგვალებული წყვილი თვალი.

ეს ნატო მეტონიძეა, შიში კი - ყველაზე დიდი ვნება, რომელიც გია ყანჩელის მუსიკას ეზავება და ახალ სიმფონიას წერს.

ნატოს სცენის ხშირად ეშინია, მაგრამ დღეს მაინც სულ სხვა პასუხისმგებლობას გრძნობს. თუმცა, აი, კიდევ ერთი ნაბიჯი სცენაზე, პირველი აკორდი სრულ სითეთრესა და სიჩუმეში და შიშიც თანდათან მუსიკალურ თამაშად გარდაიქმნება.

nato met oni Ze - daaxl oebi T mai nc



saxsovar i

- აქსესუარი, რომლის გარეშეც ვერ ძლევს.
- ასეთი არ არსებობს. ნივთებსა არ ვიჩემებ. თუმცა, არა, არის ასეთიც, მაგალითად, ეს ბეჭედი. ძალიან მიყვარს და სულ ვატარებ. გია ყანჩელმა გამომიგზავნა კონცერტების შემდეგ, მადლიერების ნიშნად.

ეს ბეჭედი, სიმღერისგან მიღებულ სიამოვნებასთან და ყანჩელის კომპლიმენტთან ერთად, ნატო მეტონიძის უძვირფასესი სახსოვარია.

იმისთვის, რომ კარგად დაინახო, გაიცნო და შეიცნო, ნატო მეტონიძე კარს ფართოდ არ აღებს. ბევრ სიტყვას არ ხარჯავს. ხელებით არაფერს გიხსნის. არც გულიანად იცინის. არც თვალები ენთება.

დაბალი ტემპი, ნელი ინტონაცია, ღრმა გამოხედვა, სადა აზრები, გულითადი დამოკიდებულება და ეგაა. ნატო მეტონიძეს ამ სიმშვიდეში უნდა შეხვდე. თუ მიაგნებ, ხომ კარგი, თუ არადა, სხვა გზა არაა, უკან უნდა გაბრუნდე. ამბობს: „არ ვიცი, რაოდენობრივად ბევრი მეგობარი მყავს თუ ცოტა, მაგრამ რამდენიც მყავს, ხარისხიანია. მათთან იმ დონეზე ვიხსნები, რამდენადაც საერთოდ შემიძლია“.

ალბათ, ასეთი პოზის (თუმცა, ბუნებრივი პოზის) გამოა, რომ ნატო მეტონიძეს ბულვარულმა პრესამ ვერაფერი გაუგო. ალბათ, ამის გამოა, რომ ნატო მეტონიძე ქართველებმა დანარჩენი ვარსკვლავებივით ჩვეულებრივად ვერ შეიყვარა. მკითხველები მის გარშემო არსებულ ინფორმაციულ ვაკუუმს მწირი ცნობებით ვერ ივსებენ და რადგან მისი ხმა ამ ცნობების გარეშეც ძალიან მოსწონთ, ნებას რთავენ, ოდნავ განზე იდგეს; ნებას რთავენ, პრესის ყვითელ ფურცლებზე სხვებივით არ გამოფინოს ტრივიალური დეტალები, სკანდალურს რომ ეძახიან.

ნატო მეტონიძეს სწორედ იქ შევხვდი, სადაც ხშირად არის ხოლმე - დაბალ ტემპრში, ნელ ინტონაციაში, ღრმა გამოხედვაში, სადა აზრებში, გულითად დამოკიდებულებაში და გულწრფელობაში.

ვსაუბრობთ დიდხანს, ძირითადად, მუსიკაზე, მერე რეკავს ტელეფონი, თან ჩაიც ადულდა. მალე პრუნდება: „სად გავჩერდით? ხო, „მეფე ლირზე“. ნუ, რადგან უკვე ამ პროექტზე გიყვებოდი, ესე იგი, ბოლოშიც გავსულვართ“.

ჩვენ კი ახლა თავიდან დავიწყოთ, რადგან ნატო თავიდანვე მღერის. ბავშვობიდან.

mzi ur i bavSvoba `mzi ur Si ~

ხუთი წლის იყო, როცა დედამ შენიშნა: მუსიკის გაგონებაზე ნატო სმენას ძაბავდა და ხმას აყოლებდა. „მზიურის“ ფირფიტას როცა ასმენნებდნენ, აღტაცებას ვერ მაღავდ. ხვდებოდა, რომ პატარა ბავშვები მღერიან და ეს მოსწონდა. მერე უკვე ინსტრუმენტთანაც გათამამდა და ფირფიტაზე მოსმენილს ფორტეპიანოზე აწყობდა. დის ოთახიდან კლასიკური მუსიკის ჰანგები ესმოდა. ჯარიდან დაბრუნებული ძმის ფირსაკრავი კი ბარი უაითს, დონა სამერს და „Bee

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ - მღერის ის რამდენიმე ტაქტში და უკვე მსახიობს ემსგავსება. ხმასთან ერთად მიმიკაც, აცახცახებული ყბაც, გაფართოებული თვალებიც, თხელი, თეთრი სხეულიც და წინ გაწვდილი თითებიც თანაბრად განიცდის და გადმოსცემს კინოდან და თეატრიდან ამოჭრილ და ახლებურად გააზრებულ მელოდიებს; ხან იმას, რომ: „ყვითელი ფოთლები სიჩუმეს ჰგავს“, და ხანაც იმას, რომ „სულს ნისლისკენ სვლაში სევდა ლევს“...



Geesee-ს უკრავდა. მათი წყალობით გროვდებოდა მუსიკა-ლური შთაბეჭდილება, თუმცა, არა იმდენად ძლიერი, რომ ეს დღეს მუსიკალურ გავლენად განიხილოს:

„არასდროს არ მაქვს პასუხი კითხვაზე, თუ ვინ მოახდინა ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა. ვერასდროს ვერ ვხვდები. ალბათ, თავისთავად ყველაფერმა“.

მიიყვანეს რკინიგზელთა სახლში, ვოკალურ ჯგუფში. პირველი კონცერტიც იქვე შედგა. იქვე განიცადა პირველი შიში.

„სამნი ვმლეროდით. რუსული საბავშვო სიმღერა იყო. რომ დაგვაწყვეს და მოგვამზადეს კულისებში, დედა დარბაზში ჩავიდა. რა მოხდა, ალარ მახსოვს, ან რა ვიგრძენი. მაგრამ იმდენად დიდი იყო განცდა, რომ სცენაზე ალარ გავედი. სქელი ხავერდის ფარდაში შევიყუშე და დავიმალე. ბავშვს ხომ ფაქიზი ტვინი აქვს, რაღაცები ალბათ წინასწარ უნდა აუხსნა, თორებ მოქმედებს. თან უკვალოდ არაფერი ქრება. და, ალბათ, ეს არანორმალური შიშიც სცენის მიმართ ბავშვობიდან ამყვა“.

მერე, ალბათ, აუხსნეს, რომ საშიში არაფერია და ურთულესი ნაბიჯიც კულისებიდან სცენამდე მარტომ გადადგა. მართალია, ეს შიში, დროდადრო, ახლაც იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ პირველი ბგერის აღება გარემოციებს მაშინვე აქრობს და უკვე რამდენიმე წამში, ნატოს გარემოც მხოლოდ იმ მელოდით ივსება, რომელსაც ასრულებს.

რკინიგზელთა სახლის ჯგუფიდან მესამე თაობის „მზიურში“ მოხვდა. ურეკში ბანაკში წასულ „მზიურის“ გოგონებს ნატოც შეუერთდა. მეგობრები და რეპერტუარი თითქმის ერთდროულად გაიჩინა.

„მზიური“ კი ბავშვობას მხიარულ ხაზად გაჰყვა. „არ ვიცი, თუ შეიძლება არსებობდეს ამაზე უფრო დატვირთული და სახალისო ბავშვობა, როგორიც ჩვენ გვერდნა. ვმოგზაურობდით პოლონეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ვცხოვრობდით ბანაკებში. თან პროფესიული თვალსაზრისითაც უდიდეს სკოლას გავდიოდთ. ერთმანეთს ვენაცვლებოდით სხვადასხვა ინსტრუმენტებზე, ჩვენ თვითონ ვშლიდით სიმღერებს ხმებში და ვარჩევდით ახლებსაც. 13-14 წლის ვიყვით და ორგანულობილებიან კონცერტებს ვატარებდით. ეს ყველაფერი დიდი შრომის ფასად ხდებოდა. მახსოვს, „მაქნატურაზე“ წაგვიყვანეს მოსკოვის დიდ თეატრში, სამეფო ლოჟაში დაგვსვეს, ჩვენ კი, დაღლილებს, ჩაგვეძინა. ამისთვის მერე დაგვსაჯეს კიდეც“.

საერთოდ, ამაზე ბეგრს არ ვფიქრობდით ხოლმე, მაგრამ ხანდახან საბჭოური სისტემა, რომელშიც გვაცხოვრებდნენ, ძალიან გვლლიდა. რუს ბავშვებისთვის ეს მისალები რეზუმი იყო, ჩვენთვის კი უცხო და ამიტომ ჩნდებოდა გაქცევის ბუნებრივი სურვილიც. ერთხელ კოჯრის ბანაკიდან გავიპარეთ. ლამით თბილი ტანსაცმელი ჩავალაგეთ, დილას ვისაუზმეთ, და ჩვენი ჩანთებიანად მესერზე დავიწყეთ გადაძრომა. რამდენიმე გოგო უკვე ტყეში იყო გადასული, როცა ბანაკიდან რუპორის ხმა გაისმა: „ნატო მეტონიძე გამოცხადდეს ჭიშკართან“. თურმე, დედაჩემი ჩამოსულა სანახავად. ყველანი უსიტყვოდ დაგბრუნდით უკან. მაგრამ მერე უკვე ჭიშკრიდან გავიპარეთ და კოჯრის კინოთეატრში „ჯაზში მხოლოდ ქალშვილებია“ ვნახეთ. მახსოვს, პოლიციის მანქანებით გვეძებდნენ, გვიპოვეს, დაგვაბრუნეს და დაგვსაჯეს - ვახშამი არ გვაჭიმეს“.

მეორე გაძცევა არტეკის ბანაკში მოაწყვეს. დათქმულ დღეს, ნატო, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, პოლიტინ-ფორმაციით უნდა გამოსულიყო დანარჩენების წინაშე. „რა პორბლემაა, გავიპაროთო“ - იპოვეს გამოსავალი და გაიპარენ. ბანაკს გორაკის მხრიდან მოექცნენ და ქვევით გადასარევად ხედავდნენ, როგორ დაეძებდნენ ყველანი „მზიურის“ გოგოებს. მერე გაქცევაც გაამართლეს, არტეკის ბანაკის დამარსებლის სოლოვიოვის საფლავთან მივიღნენ, წრე დაარტყეს და „შენ ხარ ვენახი“ უმღერეს. უკან დაბრუნებულები, ცხადია, ისევ ვახშის გარეშე დატოვეს.

მერე კი დამთავრდა სკოლა და დამთავრდა „მზიურიც“.

„როგორი პატარა პერიოდი იყო და ამ დროს, როგორი დატვირთულიც – შთაბეჭდილებებით, ამბებით. ძალიან საინტერესო ცხოვრება გვერდნა. თითქოს, ჩვენ თვითონ ვიგონებდით ჩვენივე ცხოვრებას. ამიტომ ბოლო, გამოსამშვიდობებელი კონცერტი ფილარმონიაში ძალიან მძიმედ მახსენდება. ყველაფერი დამთავრდა და უცხო სხეულში აღმოვჩნდით, მე და რამდენიმე „მზიურელი“ – პედაგოგიურ ინსტიტუტში“.

pedagogi ka estradi s Tanxi ebi T

„კითხვაზე, ვინ გინდა, გამოხვიდე, არასდროს არ ვპასუხობდი: ექიმი, პოლიციელი, კოსმონავტი. მე სულ მომღერლობა მინდოდა. ოლონდ, არ ვიცოდი, ეს როგორ უნდა მომხდარიყო. და რადგან ბავშვობიდან ვმღეროდი, მეგონა, რომ სულ ასე უნდა გაგრძელებულიყო“.

`samni vñRer odi T. r om dagvawyves da mogvamzades kul i sebSi , deda dar bazSi Cavi da. ra moxda aRar maxsovs, magram i mdenad di di i yo gancda, r om scenaze aRar gavedi . sqel i xaver di s far daSi Sevi yuJe da davi mal e. al baT, es ar anormal ur i Si Si c sceni s mi mar T bavSvobi dan amyva~.

პრინციპში, ასეც მოხდა. გზა თავისით, ყოველგვარი ძალ-დატანების გარეშე გამოიკვეთა. ნატომ და ორმა „მზიურელ-მა“ გოგონამ პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბეს ტრიო „ნატალი“ და პაუზის გარეშე განაგრძეს სიმღერა.

„გვინვევდნენ გეპეის თეატრში, შემოქმედებით საღამოებ-ზე. მე პარალელურად მოვხვდი ჯაზ-კვარტეტშიც „3+1“. „მანჰეტენის“, ჩიკ კორეას, ელ ჯეროს კომპოზიციებს ვას-რულებდით. ცხადია, ეს იყო მიბაძვა, მაგრამ სიმღერა მაინც გვსიამოვნებდა“.

„3+1“ ახლად გახსნილ დათოს ჯაზ-სოულ კლუბში გამოდიოდა. 90-იანების თბილისის ჯაზ-კლუბში - ჯაზური სითბო და განწყობა იყო. სახლიდან გარბოდნენ, რომ იქ ჩასულიყვნენ და საკუთარი თავისთვის კარგ განწყობაზე დადგომის, გაღიმების უფლება მიეცათ. ჯაზ-კლუბში შეყუევა, ჩიკ კორეას შესრულება და თბილისური გარემოს ამ გზით დავინუება, ალბათ, რაღაც გაგებით თამაშიც იყო, რომელმაც მომღერლები შემოქმედებითად გადაარჩინა, მსმენელი - მორალურად.

მუსიკალური დინება, რომელიც ბავშვობიდან დაიწყო, არც მერე გამქრალა, პირიქით, ფართო კალაპოტიან მდინარეს შეუერთდა. „ნატალი“ დაიშალა, ჯაზ-კვარტეტმაც მისი ბეჭდი გაიზიარა, მაგრამ ნატომ მარტო განაგრძო სიმღერა.

Q&A anal i zis pretenzi i t

სიმღერა „საით მიდიხა“ სპექტაკლიდან „ხანუმა“ - ნატო მეტონიძე ბევრისთვის სწორედ ამ სიმღერასთან ასოცირდება, ჯორჯ ბუშის ვიზიტის შემდეგ - მით უფრო. საქმეში ცოტა უფრო ჩახედულები იხსენებენ ბიძინა კვერნაძის საღამოს და რევაზ ლალიძის სიმღერებსაც, რომლებიც ნატოს უმღერია. თუმცა, გონების დაძაბვა და გვერდზე მდგომის თითების მოშველიება მეტონიძის რეპერტუარში შემავალი სიმღერების ჩამოსათვლელად საჭირო არ არის. მას უკვე დიდი ხანია, ერთი და იგივე რეპერტუარი აქვს. თუ სხვებისთვის ეს ერთფეროვნებას ნიშნავს, ნატოსთვის კარგი ხა-



gi a yanCel i premer i s wi na peri odSi Camovi da Tbi l i sSi . er T-er T
repeti ci aze daswr ebac scada. moul odnel ad daadga Semoqmedebi T
j gufs Tavze. kar Tan axl os, si bnel eSi dadga. `ver avi n xedavda. me ki
sceni dan Sevni Sne da gavCer di , xma veRar amovi Re~.

რისხით მაქსიმალური ტკბობაა და სხვა არაფერი. ამიტომაც არის, როცა უუბნები, რომ პრეტენზიულია, თანხმობის ნიშნად თავს გიქწევს.

„სულ ერთი არ არის, რას ვიმლერებ. უკვე წლებია, რამდენიმე სიმღერის ამარა ვარ, მაგრამ ამას არ განვიცდი. ალბათ, არც აქტიური ტიპი არ ვარ და ესეც ერთ-ერთი მიზეზია. არიან მომღერლები, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე პროექტზე შეუძლიათ მუშაობა. მე კი სულ მჭირდება ბიძგი, შემოთავაზება, ინიციატივა, იდეა“.

თუმცა, შემოთავაზებაზე რეაგირებას სიმულტანურად არ ახდენს. როგორც უკვე ვთქვით, ნატოს რიცხობრივად მნირ რეპერტუარს ორი გამართლება აქვს: „არ ვარ აქტიური ტიპი“ და პრეტენზიულობა. შემოთავაზების მიღების დროსაც ორივე გარემობა მონანილეობს. ხან „არ გამომივა“ ქარბობს, ხან - „არ მომწონს, ჩემად ვერ აღვიქვამ“. და თუ მაინც სთხოვ, დაგიონკრეტოს, რა კრიტერიუმებით ირჩევს სიმღერებს, გიპასუხებს: „მთავარია, ჩემს განწყობას ესადაგებოდეს. შეიძლება, არაფრით გამორჩეული არ იყოს, მაგრამ მე სხვანაირად შემეხსოვ და მაშინვე მომანდომოს ამღერება. მაქვს ამის პრეტენზია, მინდა, სიმღერა ჩემთვის იყოს მოფიქრებული და დაანერილი“.

ასეთი გამორჩეული ეგოთი, ქართული ესტრადის ნიშაში სად გრძნობს თავს? - მაინტერესებს.

პასუხი მშვიდია და სადა:

„თავისთავად, მეც აქ ვიგულისხმები და რაღაცებს თავისთავად, გაუპროტესტებლად ვიზიარებ, მეც მისი ნაწილი ვარ და იმიტომ. უბრალოდ, ერთია - ცხოვრების წესი მაქვს ოდნავ განსხვავებული - პასიური. თუ სხვები აქტიურად შრომობენ, კლიპებს იღებენ, თუ შეუძლიათ, ყოველ კონცერტზე ახალი სიმღერა გაიტანონ, მე - არა. მე მიყვარს სიმღერები, რომელთაც უკვე ჩემი ჰქვიათ და არ მანუხებს ის, რომ არ მაქვს კლიპები. ამ სიმღერებს შარშანაც ვმღეროდი, შარშანინაც და მომავალ წელსაც ვიმღერებ, თუ ვინმერ რამე ახალი არ შემომაშველა.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვების აქტიურობა მაღიზიანებს. თუ აქ ყოფნა გინდა, შრომა და ბრძოლაც უნდა შეგეძლოს.

მე? ჩემს შემთხვევაში ყველაფერი თავისთავად ხდება. თავიდანვე ასე აეწყო. მინდოდა მომღერლობა და სიმღერა მართლაც არასდროს შემინვეტია. მაგრამ ეს თითქოს დინებას აყოლა, ცხადია, შრომას არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს. თითოეული ჩემი პროექტი და, განსაკუთრებით გია ყანჩელის პროექტი, უდიდესი შრომის შედეგია“.

ჩემი ცნობისმოყვარეობა კი არ ცხრება. ახლა კომპრომისებით ვინტერესდები, რადგან თუ სიმღერების არჩევისას ნატო კარგი გაგებით, პრეტენზიულია და თუ ამავე დროს განუვითარებელი ქართული ესტრადის ბუნებრივ ნაწილადაც მოიაზრებს თავს, მაშინ, უდავოდ, სადღაც ეს კომპრომისე-

ბიც უნდა იმაღლებოდნენ. და იმაღლებიან კიდეც:

„დაკონკრეტება მიჭირს, მაგრამ მახსოვს კონცერტები, რომლებშიც ჩემი ადგილი არაფრით არ იყო, მაგრამ მაინც გამოვსულვარ და ამის გამო საშინელი დისკომფორტი მიგრძნია. ასეთ დროს არაფერი არ გაინტერესებს, არც სხვისი რეპერტუარი, უბრალოდ, თავს ამოვარდნილად გრძნობ და მეტი არაფერი. თუმცა, სცენაზე გასვლის შემდეგ, შენი საქმე მაინც უნდა გააკეთო - უნდა იმღერო და დისკომფორტიც არ უნდა შეიმჩნიო.

კომპრომისი სიმღერის არჩევის დროსაც მქონია. მაგრამ განასაკუთრებული გალიზიანება არც ამ ფაქტორს გამოუწვევია. ზუსტად ვიცი, რომ ამით ბევრი არაფერი დამიშავებია, რადგან ხანდახან, პირიქით, ასეთი რაღაცები საჭიროც არის. პოპია თუ მისი მსგავსი, ვცდილობ, ჩემთვის იყოს მუსიკალურად მისაღები და სასიამოვნო“.

პასუხს მიახლოებით მაინც ვხვდები, მაგრამ შემდეგ კითხვას მაინც ვსვამ. და რა არის ის, რისი შესრულებაც წარმოუდგენლად გეჩვენება?

„ჰევი მეტალი. არის რაღაცები, რასაც ვერც უსამენ, არათუ ვიმღერებ. მაგალითად, რეპი, ჰიპ-ჰოპი. შეიძლება მე არ მესმის და კარგია, მაგრამ ვერ ვუსამენ“.

იუმრის დოზა პასუხში აშკარად საგრძნობია, მაგრამ უანრების ეს მკვეთრი გამიჯვნა, ნიშნავს თუ არა ცალსახა უარს ექსპერიმენტზეც?

„არა, ექსპერიმენტების წინააღმდეგი არ ვარ. თუნდაც ბასას კლიპი, „სიყვარული დაფრინავს“ ლიზასთან და უცნობთან ერთად. ბევრმა ჩათვალა, რომ ეს ცუდი არჩევანი იყო, მაგრამ მე უსიამო განცდა არ დამრჩენია, პირიქით, მომენტია. გააჩნია, ვისთად ვერთვები ექსპერიმენტებში. არიან ადამიანები, რომელთაც ვენდობი“.

ამ დროს მახსენდება ნატოს ბავშვობა „მზიურში“, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციებში ინსცენირებული გაქცევები და ვეკითხები, ნუთუ, თუნდაც ქართულ ესტრადში გამეფებული სიტუაციის გამო, თუნდაც სცენაზე ფეხმოკიდებული სუფრული სიმღერების გამო, არასდროს მონდომებია აქედან გაქცევა. აი, ასე - გაქცევა. თბილი ტანსაცმლის ჩალაგება, მესერზე გადაძრომა და გაქცევა. ანდა, გორაკზე ასვლა და ვინმე სოლოვიოვის საფლავზე ქართული საგალობლის დამღერება - ნასვლა.

გამოდის, რომ ეს „მზიური რადიკალიზმი“ მზიურ ბავშვობაში ჩარჩა.

„ქართულ ესტრადაში რაც არ მომწონს, ვფიქრობ, სამართლიანად არ მომწონს: უხარისხო სიმღერები, მათი ხშირი გამოჩენა ტელე და რადიოერებში... სუფრულ თემატიკას კი - გააჩნია, როგორი ტიპის კონცერტში ჩასვამ და რა ხარისხით. მოკლედ, არის რაღაცები, რაც არ მომწონს, მაგრამ მე შემიძლია უბრალოდ არ მომენტოს და ამაზე გავიციონ, მეტი არაფერი. აქედან გაქცევა კი ნამდვილად არ შემიძლია. სხვა

ენაზე მოლაპარაკე სოციუმში ცხოვრება ჩემთვის წარმოუდგენელია. ჩემი სტიქია სახლია. შემიძლია სულ სახლში ვიყო. ცხადია, გასტროლი დისკომფორტს არ მიქმნის, პირიქით, მომწონს კიდეც, მაგრამ შინ დაბრუნება ყოველთვის უფრო სასიამოვნოა ხოლმე. ერთადერთხელ მომინდა საზღვარგარეთ დარჩენა. მაშინ თბილისი საშინლად არეული იყო, ჩვენ კიდევ ვენაში ვიყავით. მოვიხიბლე იქაური სიმშვიდით და ერთი გაფიქრება, ვიფიქრე, რომ იქ, იმ ქალაქში, დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი. მსგავსი განცდა არ გამეორებულა“.

რაც შეეხება თვითომაყოფილებას?

„შრომის შედეგს ეს გრძნობა ხშირად ახლავს ხოლმე. მაგრამ მე, ძირითადად, უკმაყოფილო ვარ. მგონია, რომ რაღაცეებში ხელს ნერვიულობაც მიშლის. ხანდახან იმდენს ვნერვიულობ სცენაზე გასვლამდე, რომ მერე აღარაფრის თავი აღარ მაქვს. ვმღერი, ტაშია, გავდივარ სცენიდან და იმნამსვე ვიცი, რა არ გამომივიდა ისე, როგორც მინდოდა. ხანდახან ვამბობ კიდეც, აი, ახლა უკან დაბრუნების შანსი რომ მქონდეს, ზუსტად ვიცი, რასაც გამოვასწორებ“.

და სასცენო იმიჯი?

„მაქსიმალურად სადა. ჩემთვის მთავარია, არ მაწუხებდეს რაიმე დეტალი. არც ფერების და სტილის არჩევის დროს გამოვირჩევი სითამამით. საერთოდაც, კაბაზე ზრუნვა ყველაზე საშინელი მომენტია. როგორც წესი, ლიზა მეხმარება ხოლმე, რადგან მე ნერვები მეშლება და მერე შეიძლება ძალიან ჩვეულებრივად ჩავიცვა, დავივარცხნო და ისე გავიდე სცენაზე“.

‘gmadl ob, rom sworad gaatar e-

„გია ყანჩელის მუსიკა კინოსა და თეატრისთვის“ საათზე მეტხანს გრძელდება, მაგრამ ათეულობით წელს იტევს, თან განახლებულს, რეტროსპექტირებულს. უკვე ვიცით, რომ იდუმალ ფრაზაში „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, ნატო მეტონიძისთვის, პირველ რიგში, სწორედ ეს პროექტი მოიაზრება. თუმცა, აზრს ისევ სადად და უბრალოდ გამოხატავს: „ეს ჩემთვის ძალიან ბევრი იყო“.

როცა პროექტზე დაიწყეს მუშაობა, გია ყანჩელს პირველად შეხვდა. ამ შეხვედრამდე სულ ეგონა, რომ ინიციატივა იდეის დონეზე დარჩებოდა, ან თვითონ ვერ გაართმევდა სამუშაოს თავს. მაგრამ შეხვედრამ და იმან, რომ კომპოზიტორი ჩანაფიქრით უკმაყოფილო არ დარჩა, დაარწმუნა, რომ საქმე ადგილიდან დაიძრებოდა. ასეც მოხდა. ნიკა მემანიშვილმა არანუირება, მუსიკალური მასალის მომზადება დაიწყო, თვითონ ვოკალზე უნდა ეზრუნა. იყო კომპოზიციები, რომელთაც ტექსტი არ ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი იყო მუსიკა სპექტაკლიდან „როლი დამწყები მსახიობისთვის“. „თვითონ ბატონმა გიამ შესთავაზათ „ქარი ქრის“.

„ასე დავიწყეთ მუშაობა. ვფიქრობდით ძალიან ბევრს. ყველასთვის იმდენად საყვარელ კომპოზიციებთან ვიწყებდით ურთიერთობას, რომ ძალიან საფრთხილოდ გვეჩვენებოდა. ეს მუსიკა ხომ ყველანაირ დროს უძლებს, უფრო ზუსტად, ყველანაირი დროის ადექვატურია. ვშეიძლობით, რაიმე არ გავეფუჭებინა.“

ამდენი დეტალის გამო ძალიან გაგრძელდა სამუშაო პროცესი. „მიმინოს“ თემით დავიწყეთ. ბუბა კიკაბიძე მღეროდა



- „გზები, გზები“. ეს ქართული ვარიანტი ირინა სანიკიძის ტექსტით შეცვალუთ. „ნუ მეძახი“ – ასე დაერქვა მუსიკა-ლურ თემას, რომელიც ბატონ გიასაც ძალიან მოეწონა. მისმა კომპლიმენტმა კიდევ უფრო გაგვათამამა და ვცდილობდით, მუშაობის პროცესში რაღაცები პერიოდულად მისთვის მოგვესმენებინა. მაგალითად, უტექსტი მუსიკალური თემისთვის ფილმიდან „დათვის კოცნა“ ტექსტი თვითონ შეარჩია.

ნიკამ აჩუქა რატი ამაღლობელის ლექსების კრებული. თვითმფრინავში წაუკითხავს და ანტვერპენიდან დარეკა, ერთი ლექსი მომენტია, ნახეთ „სევდა“ და იქნებ მოერგოსო. შედეგი რატისაც ძალიან მოეწონა.

სცენაზე გადატანილმა იდეებმა პუბლიკა აღაფრთოვანა. მაგრამ მთავარი, ჩუმი და ყველაზე მასშტაბური სიამოვნებები მაინც მუშაობის პროცესში იყო - ფიქრების, მიგნებების, შემოქმედებითი აღგზნების.

„რამდენჯერ დაგვთენებია თავზე. დოიც სულ ჩვენთან ერთად იყო ხოლმე. ნიკას ეხმარებოდა, ძველი სპექტაკლები წარმოსახვაში ზუსტი ემოციებით აღედგინა, მერე კომპოზიციაც ძალიან რომ არ დამახინჯებულიყო. სწორედ ამ

პროცესში მივხვდით, რომ ვამუშავებთ მასალას, რომელიც ცოდოა მხოლოდ კომპაქტ-დისკისთვის; რომ საჭიროა მისი სცენაზე გადატანა.“

და მართლაც, კომპაქტი ჯერაც არ გამოსულა. ის ორი კონცერტი-დადგმა ოპერაში კი დღემდე ყველას ახსოვს“.

გია ყანჩელი პრემიერის წინა პერიოდში ჩამოვიდა თბილისში. ერთ-ერთ რეპეტიციაზე დასწრებაც სცადა. მოულოდნელად დაადგა შემოქმედებით ჯგუფს თავზე. კართან ახლოს, სიბრძელეში დადგა. „ვერავინ ხედავდა. დოი და ნიკა ზურგით

ისხდნენ, მე კი სცენიდან შევნიშნე და გავჩერდი, ხმა ვეღარ ამოვიდე. თავი ვიმართლე, კონცერტის წინ არ მინდა, თავი დავიტვირთო-მეტე. მაგრამ მერე უანრი ლოლაშვილს ვუთხარი, რაც მოხდა და მან სთხოვა გიას, ისედაც ნერვიულობენ და ცოდნები არიანო. შორინდან მოგვესალმა და გავიდა“.

მერე იყო კონცერტი. „შიში აღარ ერქვა იმას, რასაც ვგრძნობდი. მეგონა, რომ გაიღებოდა კარი, საიდანაც სცენაზე უნდა გავიდე და იქ დამთავრდებოდა ყველაფერი. ზუსტად იქ, ზღურბლზე, ფაქტის წინაშე როცა დავდექი, როცა ჯერ ხალხს ვერ ვხედავდი დარბაზში, მაგრამ ვხვდებოდი, რომ გადავსებული დარბაზის წინაშე მიწევდა გასვლა. გავაცნობიერე ყველაფრის მნიშვნელობა, ჩემი პასუხისმგებლობა. მივხვდი, რომ მორჩა, გამიშრება ყელი და წყალს ვერავინ მომაწვდის, შემეშლება რამე და თავიდან ვერ დავიწყებ“...

იყო ორი კონცერტი და ორ საღამოს განცდილი უდიდესი სიამოვნება.

„ყველაზე დიდი კომპლიმენტი გია ყანჩელმა მითხრა. მადლობა გადამიხადა იმისთვის, ჩემი მუსიკა ასე სწორად რომ გაიგე და გაატარეო; რადგან თვითონაც თვლის, რომ არ არის ასე მარტივად გასატარებელი. მოსასმენად - შეიძლება კი, მაგრამ შესასრულებლად - არა“.

„აი, ზუსტად ეს პროექტი მივსებს უქმად გატარებულ დროს. მართლაც იმდენად პასური ვარ, რომ თავის დროზეც ბოლომდე ამავსო და ახლაც მყოფნის. მას შემდეგ მხოლოდ ერთი სიმღერა ჩავწერე, მაკა ცქიტიშვილის სიმღერა, რატი ამაღლობელის ლექსზე. რადიოში ტრიალებს, მაგრამ ნაკლებად პოპულარულია. ეს არ მადარდებს. მთავარია, რომ მე მომწონს ძალიან“.





‘es Cemi saxl i a-

ბევრი ვილაპარაკეთ სახსოვრებზე. ერთ-ერთი ასეთი გა-
მორჩეული სახსოვარი თბილისის ჯაზ-ფესტივალი და ალფრ-
თოვანებული კრის ბოტიც იყო:

„ეს რაღაცით მართლაც ჰგავდა ზღაპარს. ყანჩელის პრე-
მიერისთვის ჩაწერილი სინგლი კრის ბოტის ამერიკაში ჩემმა
მეგობარმა სერგი ნაკაიძემ მოასმენინა“. მან კი თქვა, რომ
ასეთი კარგი რამ დიდი ხანია არ მოუსმენია და სურვილი გა-
მოთქვა, რომ თბილისში ჩამოსულს, ნატოსთან ერთად შეეს-
რულებინა ეს და კიდევ ერთი კომპოზიცია, რომელიც მას
სტინგმა აჩუქა. ასეც მოხდა. იმ საღამოს ჯაზ-ფესტივალზე
ნატო მეტონიძემ და კრის ბოტიმ შეასრულეს „მიმინო“ და
სტინგის ნაჩუქარი მელოდია. ნიკა მემანიშვილთან ერთად
შესრულდა „ყვითელი ფოთლებიც“. შემდეგ ეს კომპოზიცია
კრისმა თავის კომპაქტშიც შეიტანა. მოკლედ, რაღაცით ეს
საღამო მართლა ჰგავდა ზღაპარს.

თუმცა, ასეა თუ ისე, უკვე ზეპირად ვიცი, რომ ნატოს ამ
ყველაფრის განცდა და თავისთვის გახსენება უფრო სიამოვ-
ნებს, ვიდრე სხვებთან გაზიარება. ეს სულ არ მაღიზიანებს,
რადგან უკვე მითხრა, რომ ასეთია - მშვიდი, სახლის მოყვა-
რული. „სახლი ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. დედა მიყენება,
თურმე, პატარაობაში, თავს მოვუყრიდი ხოლმე ჩემს თოჯი-
ნებს, მაგიდის ქვეშ შევძრებოდი და იქ ვთამაშობდი - რად-
გან მომწონდა, რომ მქონდა ჩემი სივრცე, არავისთან გაყო-
ფილი, მხოლოდ ჩემი“.

ასეა ახლაც. სახლის დასრულებას, რომელსაც მეუღლეს-
თან, დათო ოძელაშვილთან ერთად იშენებს, სულმოუთემე-

ლად ელის. დათო მევიოლინეა, ერთხანს „რეროში“ უკრავდა,
მაგრამ ახლა საკონცერტო ხმის რეჟისორია. ერთად სამი
წელია, რაც ცხოვრობენ. ერთმანეთი ჯაზ-კლუბში გაიცნეს,
აი, სწორედ მაშინ, თბილისში ცუდი დრო რომ იყო, აჭარის
კლუბში კი - ჯაზური სითბო და განწყობა. ალბათ, მაშინ
ამანაც იმოქმედა. რომანი თითქოს დაიწყო და არც დაიწყო.
ნატოსთვის მძიმე ალმოჩნდა ის, რომ დათოს იმ ჰერიოდში
ოჯახი ჰყავდა. ამიტომაც ერთმანეთს დაშორდნენ და ურ-
თერთობა მხოლოდ სამი წლის წინ აღადგინეს.

და ახლა უკვე ნატოს ოჯახს ასე ჰქვია: „მე და დათო“. „ძალიან მიყვარს. ახლა ხმამაღლა მომინდა, ეს მეთქვა. რად-
გან ასე მგონია, თვითონ არც იცის, რა კარგი ადამიანია და
ასე მგონია, ეს მარტო მე ვიცი. უბრალოდ, ხშირად, ისე გა-
დის ხოლმე დრო, რომ ამის სათქმელად ვერ ვიცლი. არადა,
საჭიროა“.

მანამ კი, სანამ სახლი აშენდება, კომფორტს ძველი სი-
მღერები, მეუღლე და შეჩევული ცხოვრების წესი უქმნის: 12
საათამდე ძილი, ფინჯანი ყავა და სიგარეტი, და ის ალმოჩ-
ნები საკუთარ თავში, თუ თუნდაც მეუღლეში, რომელიც ყო-
ველდღიურობისა და საყვარელ ადამიანთან თანაცხოვრების
ყველაზე დიდი ხიბლია. კიდევ რა უყვარს? „როცა სიტყვების
გარეშე შემიძლია ურთიერთობა, როცა უხილავი ძაფებია გა-
ბმული შენსა და მას შორის და როცა ყველაფერი უთქმელად
გესმის“.

ეს არის ნატო მეტონიძე. დაახლოებით მაინც. სულ - არა-
ვინ იცის.



TED LAPIDUS
PARIS



საქართველო, თბილისი, კერესელიძის I შესახვევი № 12 (სავაჭრო ცენტრი „მეგალაინი“)

saxl i dan wasvl a _ msof i os naxva...

interviu | evan kORuaSvi | Tan

ნენე: „ანო და ვანოთი“ რომ დავიწყოთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნები? თუ არა, მაშინ გაიხსენე და მოგვიყევი, წლების მანძილზე პოპულარობის ზენიტში მყოფი სიმღერის ვიდეო როგორ მოამზადე?

ლეკა: „ანო და ვანო“ ავანტიურა იყო, გამოცდილება ნოლი მქონდა. ძმაკაცის დედამ, რომელმაც იცოდა, რომ ტელევიზიაში ვიყავი და ვრეულისორობდი, მითხრა, კლიპს ხომ არ გადაიღებთო. მაშინ უარს არაფერზე ვამბობდი. რა თქმა უნდა, გავაკეთებ-მეტქი.

კლიპი გიორგი შარაძესთან ერთად გადავიღე, რომელსაც რამდენიმე კლიპი უკვე ჰქონდა გაკეთებული. არა სცენარი, არა კადრირება, უბრალოდ, ბეტაკამი, ბლომად ბავშვები და ახალგაზრდა დედები გადასალებ მოედანზე, რომლებსაც შიგადაშიგ ვეპრანჭებოდით. აი, ეგ იყო „ანო და ვანო“.

რეჟისორობას რაც შეეხება, ერთი რამ შევნიშნე: გიორგი უფრო რიტმში მუშაობდა, სამონტაჟო კადრებს იღებდა, ლამაზებს და ეფექტურებს. კლიპების კარგი მემონტაჟე იყო და წინასწარ იცოდა, რა დასჭირდებოდა. მე უფრო სიუჟეტებს ვაკეთებდი, ანუ პატარა „ამბუშკებს“. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მართლა პირველი რეჟისორული გამოცდილება იყო. თან, კლიპმაც იმ დროისათვის გაამართლა, – ხშირად ატრიალებდნენ.

სხვათა შორის, ახლა რომ ვკითხულობ, მაგალითად, ამერიკაში როგორ იწყებოდა კინოწარმოება და დიდი რეჟისორები როგორ სწავლობდნენ პროფესიას, – აი, ანო-ვანოსეულ დამოკიდებულებასთან ბევრ საერთოს იპოვი. იქაც ეგრე იყო, მოვიდოდა დილით ვიღაც ტიპი და რომელიმე რეჟისორს ეტყოდა, რომ დღეს 10 წუთიანი ფილმი არის გადასალები. ინდიელები, ცხენები, კოვბოები, სროლა და მორჩა. არა სცენარი, არა ამბავი. ასე იწყებდა ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორი ჯონ ფორდი. გადიოდა დილით და საღამოს კინო მოჰქონდა. მეორე დღეს ახალს იღებდა და ასე გრძელდებოდა თვეობით. ბოლოს შედევრები გადაიღო.

ეს ამბავი ჩემმა მასწავლებელმა მიამბო წიუ იორქში, თან ძალიან საჭირო დროს. მეორე დღეს საკურსო ფილმის გადაღებას ვიწყებდი და ძალიან ვღელავდი იმიტომ, რომ ვგრძნობდი, სცენარი დასრულებული არ მქონდა. ამით გამამხნევა, – მიდი, დაწყნარდი, რაც გაქვს, გაქვს; შეეცადე, რომ პროცესისგან სიამოვნება მიიღო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ ხულიგანური სულისკვეთების შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა მოამზადო, მაგრამ ანყობილი სცენარის და წარმოების პირობებშიც კი აუცილებელია ამ დამოკიდებულების შენარჩუნება. გულში, აი ის ხულიგანი უნდა დარჩე (კარგი გაგებით, ხულიგანი), რომელიც დილით დგება და არაფრისგან საღამოს სახლში კინო მოაქვს. საიდუმლო იმაშია, რომ გასვლის არ უნდა შეგეშინდეს და ქართველების შემთხვევაში, არ უნდა დაგვეზაროს. (მით უმეტეს, ამ ვიდეო ხანაში).

ნენე: შენს CV-ს რომ გადახედო, თვალში ყველაზე მეტად მოსახვედრი „პენითჰაუზის“ რედაქტორობაა. საიდან მოხვდი ამ უურნალში და რა ხდებოდა რედაქციაში?

avtori : nestan kvi nikaze





ლეკა: „იბერვიზიაში“ ვიყავი, როდესაც ავსტრიულ კომპანია „დიავესტში“ შემომთავაზეს მუშაობა. კომპანია, სხვა საქმიანობასთან ერთად, საგამომცემლო საქმითაც იყო დაკავებული. თავიდან არ მინდოდა წასვლა. რთული იყო „იბერვიზიას“ და „მონიტორის“ მიტოვება, მაგრამ მერე მივხვდი, – „იბერვიზია“ უკვე განვლილი ეტაპი იყო და ახალი რამ უნდა მეცადა.

თან 20 წლის ვიყავი, ამბიციებითა და მუშაობის სურვილით აღსავსე (ეს ახლაც არ მაჟლია, მაგრამ თინეიჯერული დრაივი მაინც სხვაა). შესაძლებლობა მომეცა. თან ეს ყველა-ფერი ვენაში ხდებოდა, ევროპა, რამე... შადრევნები, მუზეუმები, კაფეები, ყავა, სალათები. თან, იმავე კომპანიაში ჩემი ბავშვობის ძმაკაცი მეგულებოდა, რომლის რეკომენდაციის წყალობითაც მიმიწვიეს სამუშაოდ. მაგრამ მთავარი მაინც იყო ის, ყველა ახალგაზრდისთვის დამახასიათებელი და მამოძრავებელი – სახლიდან წასვლის და მსოფლიოს ნახვის სურვილი. ახალი ემოციები მაინტერესებდა, ახალი გამოცდილება. და მართალია, ტელე-ურნალისტობა საოცრად მიყვარდა, მაგრამ სადღაც გულში უკვე ვგრძნობდი, რომ მთელ ცხოვრებას ამას ვერ მივუძღვნდა.

კინო-სარეჟისორო ფაკულტეტზე უკვე ვფიქრობდი, მაგრამ სერიოზულად არა.

თან, ჩემი მაშინდელი მორალური კრიტიკოუმები გაცილებით უფრო ლიბერალური იყო, ვიდრე ვთქვათ ახლა, და ამიტომ იმაზე არც კი დავფიქრებულვარ, რომ თითქმის პორნოგრაფიულ უურნალში მუშაობა ახალგაზრდა ადამიანის სწორშინაგან განვითარებას ნაკლებად შეუწყობდა ხელს. ეს საკითხი დღის წესრიგში არც კი მდგარა. თან, რა არის, იცი? რეალურად, მე იმ ქალბატონების ფოტოებთან თითქმის არ მქონდა შეხება. ამას გარდა, უურნალში იბეჭდებოდა ჩვეულებრივი სტატიებიც – პოლიტიკაზე, მაფიაზე, ტერორიზმზე, კარგ მანქანებზე, ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან, ანუ ის, რაც ხებისმიერ ხარისხიან დასავლურ გამოცემში არის. ჩემი მთავარი მოვალეობა სწორედ ამ სტატიების შოვნა და საბოლოოდ ნომრის აწყობა იყო.

თავიდანვე, რა თქმა უნდა, რედაქტორი არ ვყოფილვარ. ჩვეულებრივ, ოფისმენეჯერი ვიყავი, მაგრამ მერე აქტიურობა დავზინებ და ეს ფირმის პრეზიდენტმა მიხეილ სურგულაძემ დაინახა და, ასე ვთქვათ, დამანინაურა. ჯერ ერთი სტატიის გაკეთება დამავალა, მერე ერთი კონტრაქტის მომზადება, მერე მთელი ნომრის... და ასე, ნელ-ნელა რედაქტორად ვიქეცი.

თან, ბევრი რამეც ვისწავლე, დასავლური მუშაობის ანბანს ვეზიარე (უამრავი შეცდომა დავუშვი). ერთი პერიოდი, ჩემი სიტუტუციის გამო, მთელი რედაქცია გადავიკიდე და ვერ მითანდნენ, ანუ, მოკლედ, ცხვირიც კარგა მაგრად წავიტეს), რაღაცებიც გამოვიდა. ბოლო ნომრებს არა უშავდა. სერიოზულ ხელფასს მიხდიდნენ.

მერე მოსკოვში გამიშვეს, მივლინებაში. საქმეები რომ დავამთავრე, ვგიში შევიარე და მარლენ ხუციევს მის სახელოსნოში თავისუფალ მსმენელად სიარულის შესახებ მოველაპარაკე.

რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ფულიც კარგია და ევროპაც, მაგრამ დიდხანს „პენთაუზი“ ჩემმა მტერმა აკეთოს-მეთქი და რედაქტორიდან უეცრად სტუდენტად გადავიქეცი.

ნენე: ერთი წელი თბილისის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, ამის შემდეგ შემოქმედება მოსკოვში, ვგიკ-ში... როგორი იყო ტენდენციები, შენი დამოკიდებულება და კინოფირთან ზიარების პირველი შეგრძნება?

maSi n ki nos yur ebas
vswavl obdi da vgi ki ami T
i yo sai ntereso. Tan i q i yo
xal xi _ studentebi , ucnaur i
da ni Wi er i ti pebi mTel i
msofl i odan.
maTTan ur Ti er Toba,
saubr ebi , raRac gar Tobebi
da ki nodan Cumad, emoci i T
damuxtul i gamosvl a, Cumi
gadaxedvebi da mere metroSi
xangr ZI i vi Caq-Caqi , axal -
axal i wi gnebi s ryeva-
ryevi T ki Txva, koncer tebi ,
gamofenebi ; anu moskovi ,
romel i c Zal i an mi yvars.



kadr i r.bresonis fil mi dan 'j i bis qu di ~



ლეკა: სამწუხაროდ, ჩემს დროს ვგიყი ის ვგიყი აღარ იყო, რაც წინათ, 50-იან, 60-ან და 70-იან წლებში (ალბათ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესი კინოსკოლა), რამაც, ჩემი აზრით, ქართული კინოს აყვავებას ჩაუყარა საფუძველი, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენი ნამყვანი რეჟისორი იქ სწავლობდა. ჩემს დროს ვგიყი დაშლილი იყო. სტუდენტები საკურსოებს თითქმის აღარ იღებდნენ. ბევრი დიპლომს სცენარითა და კადრირების ნარმოდგენით იცავდა. ამის გამო, როგორც კინემატოგრაფისტს, პროფესიული კუთხით, ვგიყში ბევრი არაფერი მისნავლია. მაგრამ ვისნავლე სხვა რამ – კინოს სიყვარული. კინო ძალიან დიდი დოზით მივიღე. მოსკოვში კინო-მუზეუმია და ვგიყელები უსასყიდლოდ სარგებლობენ. ყოველდღე იქ ვიყავით. ერთად არც კი ვსხდებოდით. ეკრანიდან ნამოსული ემოცია, ხშირად იმდენად დიდი იყო, რომ გვერდით სხვა არც გინდოდა. ეს იგივეა, შეყვარებულთან ერთად რომ ხარ, მაშინ ხომ არავინ გჭირდება. კინოს ყურებაც ეგრე იყო მაშინ.

ერთმა ჭკვანმა კაცმა მითხრა, რომ კინოს კეთება ორი გზით შეიძლება, – ან ყურებით, ან კეთებით (კეთებით უფრო მაღლე ისნავლი). აა, მაშინ კინოს ყურებას ვსნავლობდი და ვგიყი ამით იყო საინტერესო. თან იქ იყო ხალხი – სტუდენტები, უცნაური და ნიჭიერი ტიპები მთელი მსოფლიოდან.

მათთან ურთიერთობა, საუბრები, რაღაც გართობები და კინოდან ჩუმად, ემოციით დამუხტული გამოსვლა, ჩუმი გადახედვები და მერე მეტროში ხანგრძლივი ჩაქ-ჩაქი, ახალ-ახალი ნიგნების რყევა-რყევით კითხვა, კონცერტები, გამოფენები; ანუ მოსკოვი, რომელიც ძალიან მიყვარს და სტუდენტობა, რომელიც არ შეიძლება, რომ არ გიყვარდეს.

რამდენიმე ფანტასტიური მასნავლებელი მყავდა. პირველ რიგში, მარლენ ხუციევის სახელოსნოში ვიყავი. არაჩეულებრივი ადამიანია და ბრწყინვალე რეჟისორი. სამწუხაროდ, მის ფილმებს მაშინ ისე არ ვაფასებდი. ამას წინათ კი, „მაისის თვე“ ვნახე და გავგიუდი – შედევრია. ტარკოვსკის ყველა ფილმს („ივანეს ბავშვობის“ გარდა) მირჩევნია.

თუმცა მარლენ ხუციევისაგან კინორეჟისორისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნის მიღება, მგონი, ძალიან რთულია. ამიტომ მისი, როგორც პედაგოგის მიმართ, გაორებული გრძნობა მაქვს. ცხოვრების და პროფესიის მიმართ მისი დამოკიდებულება უკვე დიდი სკოლა იყო ჩემთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, გამიჭირდება იმის გახსენება, თუ პრაქტიკულად, რა ვისნავლე მისგან.

ამას მივხვდი ნიუ იორკში, სადაც ჩემი პროფესიული ცხოვრების მთავარი მასნავლებელი – ბორის ფრუმინი შემხვდა და პედაგოგის ფასა და მნიშვნელობას რეალურად მაშინ მივხვდი.

ნენე: „2“ ლეგენდარულ ოპერატორთან ერთად გადაიღე. იქ გარემოა განწყობის შემქმნელი და დომინანტური, რაც ბოლო პერიოდის შენს ფილმებში აღარ შეიმჩნევა. რატომ? შემთხვევით, თუ გარემო პირობითობა აღმოჩნდა?

ლეკა: „2“-ში, მგონი, მართლა არის რაღაც განწყობა, ნამდვილად არის რაღაც შინაგანი განცდის თუ ტკივილის გულწრფელად გადმოცემის მცდელობა და ამის გამო, ეს ნამუშევარი ჩემთვის ძვირფასია. მაგრამ რეჟისორული საზომით რომ მივუდგეთ, არაფერი ნამუშევარი არ არის. ეგეთი კინოს კეთება ადვილია. საკმარისია, რაღაც შინაგანი მუხტი გქონდეს და ცოტა გემოვნება. ტაშსაც დაგიკრავენ (ოღონდ დიდხანს არა).

ნამდვილი კინოს კეთება კი, ბევრად უფრო რთულია და

თუ „2“-ის მსგავს კინოს აღარ ვაკეთებ, ეს მხოლოდ მიხარია. თან, „2“-ზე მუშაობისას, სუფიზმით და აღმოსავლური მისტიკით ვიყავი გატაცებული და სიუჟეტიც, უფრო სწორად, სათქმელიც ამაზე ავაგე. „2“-მა ჩემთვის აქტუალობა დაკარგა. ის, რაც მაშინ მაინტერესებდა, დღეს ჩემთვის არაფრითაა საინტერესო.

ბატონ ლევანთან მუშაობა კი, ერთი-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილებაა ჩემს ცხოვრებაში. აღბათ, ყველაზე დიდი ხელოვანია, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. ხელოვანი არამარტო პროფესით, არამედ, პირველ რიგში, ცხოვრების წესით.

მჯერა, რომ ნამდვილი ხელოვანის დამახასიათებელი ნიშანი ბოჭემურობა როდია, არამედ სისადავე, უბრალოება და თავმდაბლობა, და ამასთან, შინაგანი მუდმივი პროცესი (ოლონდ ეს სხვა თემაა). ლევანი ამის 200 პროცენტიანი განსახიერებაა. სისადავე და თავმდაბლობა ადამიანებისთვის აუცილებელია. შინაგანი პროცესი (რომელსაც პოეტური პროცესი შეიძლება ეწოდოს) იმდენად მძაფრი და მდიდარია, რომ მას თუ აპყევი, სხვასაც შეაწუხებ და თვითონაც შეწუხდები. პროცესი რაღაცნაირად უნდა აკონტროლო და საქმისათვის სასარგებლოდ უნდა გამოიყენო. ამისთვის კი სწორედ ის უბრალოება და თავმდაბლობაა საჭირო.

ჩემთვის უდიდესი პატივი იყო მასთან მუშაობა. რეჟისორის ლიმილი გაქვსო, მითხრა და ერთი კოლოფი ფირი მაჩუქა. რაიმე მარტივი მოიფიქრე და გადავიღოთო. ეგრე გაჩნდა „2“.

ამას წინათ, ნიუ იორკში 60-იან წლებში მის მიერ რუსეთში გადაღებული ფილმი („მშვიდობით, ბიჭებო“, რეჟ.: მ. კალიკი)

ვნახე. თითოეულ კადრში იმდენად დიდი ლირიზმი და რაღაცნაირი სევდა – ქართული, დალოცვილი სევდა იყო, რომ თავს ვერ ვიკავებდი, ცრემლები მომდინადა და ისე ვუყურებდი. მერე მოსკოვში დავურევე და უნიჭოდ შევეცადე მეთქვა, რა მაგარი ხარ, ძია ლევან-მეთქი!

მართლა? - გაუკვირდა და გაეხარდა იმიტომ, რომ ყველას მიერ დაგინებულია... ქართულ კინოსკოლაში ვერ ხვდებიან ამ ადამიანის ფასს (ან ხვდებიან, მაგრამ არაფერს აკეთებენ, რომ ჩამოყალიბების გარეშე). ის ერთადერთია, რომელსაც პროფესიის სწავლება შეუძლია, რაც ჩვენი, ძალიან დაბალ დონეზე დასული კინოსთვის აუცილებელია. ახალ თაობაში ნამდვილ კინოს და შემოქმედებას აღარ სცემენ პატივს. ამ გენიალურ პერატორს უკვე აღარ სჯერა, რომ ვინმეს მისი არსებობა ახსოვს და - რაც შემოქმედისათვის ყველაზე გულსატყენია, - რომ ვინმეს მისი შრომის ფასი ესმის.

ბატონ ლევანზე შემიძლია საათობით ვილაპარაკო იმიტომ, რომ ჩემთვის სამაგალითოა. მართალია, ქართველები, უდავოდ, ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ სერიოზულ, მსოფლიო დონეზე, რეალურად, ძალიან ცოტა ქართველს უმუშავია. ლევან პატაშვილი სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება.

ეტყობა, ამისთვის, ნიჭის გარდა, კიდევ ბევრი სხვა რამაა საჭირო. პირველ რიგში კი, აღბათ, აი ის, ლევან პატაშვილის თავმდაბლობა, ერთგულება და უკომპრომისობა – ბოლო წამამდე, ბოლო კადრამდე.

უნდა გენახათ, ეს 75 წლის კაცი, ბოლო ხმაზე რომ ჩხუბობდა და კაბინეტიდან კაბინეტში დარბოდა, ჩვენი 10 წუთიანი სტუდენტური ფილმი (რომელზეც უფასოდ იმუშავა) ნორმალურად რომ დაებეჭდათ მოსფილმის ლაბორატორიაში.



kadri fil mi dan '2'

mosfil mSi raRacaze er Ti
kor pusi dan meor eSi gagvagzavnes.
ukve yvel asTan naCxubr ebi vi yavi T,
daRI il ebi , Tan zafxul i i yo
da cxel oda. mokl ed, mi vdi var T
batoni I evani da me. uceb
Semomi tri al da da meubneba:
— i code, Tu pati osnad cxovrebas
api reb, axl ave mzad i yavi , rom



kadri fil mi dan ^2-

Zal i an rTul i i qneba, saSi nl ad
gagi Wi rdeba. Sei ZI eba Tav-bedi
i wyevl o.
gaagrZel a si arul i . 5
nabi j Si i sev gaCer da da
Semomi tri al da:
_ magram i code, sxva gza ar
ar sebobs.

და ბოლოს, მიაღწია თავისას. აი, ასე გაატარა მთელი ცხოვრება. არასოდეს წასულა კომპრომისზე. არ დამავიწყდება, მოსფილმში რაღაცაზე ერთი კორპუსიდან მეორეში გაგვაგზავნეს. უკვე ყველასთან ნაჩხუბრები ვიყავით, დაღლილები, თან ზაფხული იყო და ცხელოდა. ეს მოსფილმიც ხომ უზარმაზარ ტერიტორიაზეა გაშლილი და, მოკლედ, მივდივართ ბატონი ლევანი და მე. უცებ შემომიტრიალდა და მეუბნება:

— იცოდე, თუ პატიოსნად ცხოვრებას აპირებ, ახლავე მზად იყავი, რომ ძალიან რთული იქნება, საშინლად გაგიჭირდება. შეიძლება თავ-ბედი იწყევლო.

გააგრძელა სიარული. 5 წაბიჯში ისევ გაჩერდა და შემომიტრიალდა:

— მაგრამ იცოდე, სხვა გზა არ არსებობს.

შეტრიალდა და წავიდა და აღარც გაჩერებულა იმიტომ, რომ რისი თქმაც სურდა, მითხრა.

ნენე: ექცევა თუ არა შენი კინო კონკრეტული ლიტერატურის, გმირის, საყვარელი რეჟისორის ან რამე სხვა ესთეტიკის გავლენის ქვეშ?

ლეკა: რა თქმა უნდა. თუ ხელოვნებამ გავლენის ქვეშ არ მოგაქცია, თუ შენზე ძლიერად არ იმოქმედა, არ დაგაფიქრა, მაშინ რა ხელოვნებაა?!

ნენე: პირადად შენზე, რას მოუხდენია ყველაზე ხანგრძლივი გავლენა (პირადად შენ, და არა კინოეფექტში შეფუთული სათქმელი, ანუ შემოქმედება)?

ლეკა: არ ვიცი, ძალიან ბევრ რამეს. აღარც მახსოვს, იმდენია... ამ ეტაპზე... ვუსმენ ხოლმე კომპიუტერში ჩატვირთულ გალაკტიონის „ნიკორნმინდას“ და როცა საგმი-

რო-პოეტურ განწყობაზე მინდა მოსვლა და თან, საკუთარი ქართველობის მოქოქვა, რაც ნიუ იორკში აქტუალური ამბავია, ბოლო ხმაზე უუსმენ ხოლმე. სადღაც მეოთხე-მეხუთე გაურიალება-დაბურძგვლაზე ვრთავ ხოლმე და ქალაქ ნიუ იორკში გავდივარ.

კიდევ ყანჩელის სიმფონიები, რომლებიც ადრე მოსმენილი არ მეონდა და მხოლოდ აქ მოვუსმინე. უდიდესი შემოქმედია. კიდევ რა? ხო, ამას წინათ ერთმა კარგმა ადამიანმა გამომიგზავნა თუშური სიმღერების დისკი და ისეთი მაგარია, რომ რა ვიცი, აბა.

კიდევ 3 დღის წინ ვნახე სკორსეზეს პირველი სერიოზული ფილმი („ბოროტი ქუჩები“, დე ნიროს დებიუტი) და სამი დღეა ამ კინოზე ვფიქრობ. თან რაღაც სცენარის დაწერას ვცდილობ. ამ ფილმმა ყველაფერი სხვანაირად დამანახა.

ნენე: კულტურული შოკები, თუ იყო ასეთი?

ლეკა: შოკები არა. უბრალოდ, რაღაც მოგწონს და რაღაც – არა.

ნენე: Let's talk about love... შენი ვერსია...?

ლეკა: აბა, რა გითხრა, ჩემო ნენე, რით გაგახარო? იმედია, შენც და მეც მალე შევქმნით ოჯახებს და გვეყოლება ბევრი შვილი. ნამდვილი სიყვარული, მგონი, ეგაა. სხვა ყველაფერი დროებითი ამბავია. დღეს არის, ხვალ – ალარ.

ნენე: არაფერი იყო უჩვეულო იმაში, რომ წიუ იორკის დიდი ტრადიციების კინო-სკოლაში, მისაღებ გამოცდებზე 900 კაციდან 34 აირჩიეს და ერთ-ერთი შენ იყავი? თუ არ ვცდები, NYU-მ ცოცხალი ლეგენდები გამოუშვა, რეჟისორები: ვუდი ალენი, ჯიმ ჯარმუში, მარტინ სკორსეზე, ძმები კონები და უამრავი სხვა.

ლეკა: არ ვიცი, იყო თუ არა ეს უჩვეულო. კონკურსი მართლა დიდია და საქმაოდ მყაცრი. თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, საქართველოში ჩემი თაობის რეჟისორებმა, ვისაც ვიცნობ, თუ მოინდომეს, ყველას შეუძლია ამ კონკურსის გავლა. შენ სწავლისათვის ფულის შოვნა იყიდოვ...

ნენე: რა არის NYU-ს ძირითადი აქცენტები?

ლეკა: ხელობის სწავლა, თან ყველა ასპექტის – სცენარის ნერიდან დაწყებული, მიკროფონის სწორად ჭერით დამთავრებული.

ძალიან ბევრს მუშაობ პრაქტიკულად. სამი საკურსო და სადიპლომო უნდა გადაიღო – როგორც დოკუმენტური, ისე მხატვრული, ფირზეც და ვიდეოზეც.

გარდა ამისა, ვალდებული ხარ, სხვა გადაღებზეც იმუშავო – ოპერატორად, ხმის რეჟისორად, გამნათებლად, მტკირთავად, მემორტაუდ, პროდიუსერად, რეჟისორის ასისტენტად. საკუთარი ფილმების გარდა, ყოველწლიურად (სამწლიანი პროგრამა) 4-5 ფილმზე მუშაობ. ეს საქმაოდ დიდი გამოცდილებაა. ფაქტობრივად, გადასაღებ მოედანზე მუშაობას სწავლობ. ინტენსიური პროგრამაა. სამი წლის განმავლობაში, 100%-ით დაკავებული ხარ. მაგრამ მთავარი, რაც წიუ იორკის უნივერსიტეტში მომცა, ეს იყო ბორის ფრუმინთან შეხვედრა. მგონი, ჩინური გამონათქვამია, რომ ბედნიერია ის კაცი, ვინც თავის ცხოვრებაში მასწავლებელს შეხვდაო. მე სწორედ ის ერთ-ერთი ბედნიერი ადამიანი ვარ. წარმოშობით რუსეთიდან არის. დაამთავრა ვგიყო და ძალიან ახალგაზრდამ, 70-იანი წლების ბოლოს, „ლენფილმში“ საოცრად საინტერესო ორი ფილმი გადაიღო. მეორე ფილმი კომუნისტებმა აკრძალეს და ბორისი მაგარ პრესში გაატარეს. ხასიათი ფიცხი აქვს და ვერ მოითმინა. ებრაული წარმოშობის გამო, ამერიკაში წავიდა. იმედი ჰქონდა, რომ



2.-is gadasaRebi moedani

me r om amer i kel gmi r ze
dawwer o scenar i , i mTavi Tve
ar i var gebs. sxva kul tur i s
wi aRSi var gazr dil i , Cemi
gadawyoba gamor i cxul i a da
rac mTavar i a, ar mi nda. es
Temat i ka, es mgr Znobel oba,
es dar tymul i qar Tul i
mental i teti , di al ogabi ,
si yvar ul ebi , da es raRac
ucnauri ms ofl mxedvel oba
da cxovrebi s wesi , CemTvi s
i mdenad poetur i da
dramatul i a, r om Cems
fil mebSi ami s mc i re
nawi l i s gadmocema mai nc
Tu SevZel i , met i naRdad
arafer i mi nda.



პოლივუდში მოხვდებოდა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს არ მოხერხდა და ამერიკაში მან მხოლოდ ერთი ფილმი გადაიღო. სამაგიეროდ, უნიკალური სწავლების მეთოდის გამო, ის ბრწყინვალე პედაგოგი აღმოჩნდა (ნიუ იორკში მასზე ლეგენდები დადის). ბორისმა აბსოლუტურად ყველაფერი გვასწვალა, რისი სწავლაც შეიძლება. მეტის სწავლა საჭირო აღარ არის. დანარჩენი მხოლოდ პრაქტიკული მუშაობაა.

ბორის ფრუმინმა 100%-ით შეცვალა პროფესიის და საქმის მიმართ ჩემი დამოკიდებულება. უფრო სწორად, მან დამანახა ის, რაც ჩემი შესაძლებლობების გამოვლენაში ხელს მიშლიდა. თავიდანვე მითხრა: ნამდვილი ქართველი ხარ, ნიჭი გაქვს, თვალი გაქვს, ყური გაქვს, გემოვნებაც გაქვს, მაგრამ საქმე არ მიგყავს ბოლომდე. ამერიკაში, პირველ რიგში, ეს უნდა ისწავლო. ეს ყველაფერზე იყო ნათქვამი. პირველ რიგში კი, კომპრომისის გამორიცხვაზე – იქნებოდა ეს სცენარის ბოლომდე მიყვანა, ნატურის არჩევა, თუ მსახიობთან მუშაობა. ნებისმიერ ეტაპზე უნდა ეცადო, რომ შენი მაქსიმუმი გააკეთო. ეს რაღაც შინაგანი სამუშაო ეთიკის ჩამოყალიბებას გულისხმობს. არდაზარება ამ ეთიკის ქვაუთხედია.

ნენე: ტელეკომპანია „მზისთვის“ დამზადებული შენი სიუჟეტები, უახლესი წარსულის ყველაზე მტკიცნეული პრობლემის გამჟღავნებაა. ქართველი ემიგრანტები... აგრძელება ამ თემას?

ლეკა: ემიგრანტების თემატიკა ჩემთვის ბუნებრივი არჩევანი იყო. არა მხოლოდ „მზის“ გამო. მჯერა, რომ კინორეჟისორმა იმ მასალაზე უნდა იმუშაოს, რომელსაც ზედმიწევნით კარგად იცნობს. არა მხოლოდ იცნობს, არამედ გრძნობს. გრძნობს ფაქტურას, ემოციას, დინამიკას. ასეთი მასალა ჩე-

გამოამერავნეთ თქვენი ხიცამაზე

მერზის საესილაჟის ღრუბელი

• "ესაღოდ კინაღა კარი"

მექისის სპეციალური ღხაების ფორმება B-ეიკამინების კომპლექსით და ბეტაჰიმოცენით, განაპირობებს კანის უქედების ყოველობურ ალღენა-განახლებას

• "ჯანსაღი, მბზინავი თმა"

მექისის სპეციალური ღხაების ვიკამინ A-ს, კალციუმის პანთოცენაცის და ფორის მჟავას, ხაც იძლევა თმის ძიხების სწორი კვებისა და სუჟექტურის ალგენის საშუალებას

• "ღამაზი, მცაციც ფერხილები"

მექისის სპეციალური ღხაები შემავალი ბიოცინი, ხელნასთან და ამინომეჯავებთან კომბინაციაში განაპირობებს ფერხილების სწავას, ზედაპირის სიგლუვეს და იკავს მას განშევებისაგან



მთვის ამერიკაში მხოლოდ ქართველი ემიგრანტები იყო. ამიტომ, არა მხოლოდ ჩემი ტელესიუჟეტები, არამედ ჩემი ყველა საკურსო ფილმი მათ შესახებაა. გარდა ამისა, ამჯერად ორ სხვადახვა სრულმეტრაჟიან სცენარზე ვმუშაობ, რომელთა მოქმედება ნიუ იორქში ვითარდება. ორივეს მთავარი გმირები აქ მყოფი ქართველები არიან.

მე რომ ამერიკელ გმირზე დავწერო სცენარი, იმთავითვე არ ივარგებს. სხვა კულტურის წიაღში ვარ გაზრდილი, ჩემი გადაწყობა გამორიცხულია და რაც მთავარია, არ მინდა. ობიექტურადაც რომ ვუფიქრდები, ეს თემატიკა, ეს მგრძნობელობა, ეს დარტყმული ქართული მენტალიტეტი, დიალოგები, სიყვარულები, და ეს რაღაც უცნაური მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი, – სადაც იმდენად არეულია სიცილი და ცრემლი, რომ თავს და ბოლოს ვერ გაუგებ, – ჩემთვის იმდენად პოეტური და დრამატულია, რომ ჩემს ფილმებში ამის მცირე ნაწილის გადმოცემა მაინც თუ შევძელი, მეტი ნალდად არაფერი მინდა.

ნენე: NYU-ს კონკურსში, რომელმაც სულ ახლახან გამოავლინა გამარჯვებულები, მეორე ადგილი აიღე ფილმისთვის „ვაღი“. რა კომენტარები გაკეთდა და რას უნდა ველოდეთ ამ უმნიშვნელოვანესი წარმატებისგან?

ლეკა: უნდა ველოდო 7 000 \$, რომელსაც სულ მალე მომცემენ. ასევე, 24 მაისს ჩვენება ლოს ანჯელესში, ამერიკის რეჟისორთა გილდიაში გვექნება. ეს ყველაფერი, პროდიუსერთა მხრიდან, გარკვეულ ინტერესს იწვევს. ისინი ახალ სახეებს ეძებენ, ანუ რაღაც წიაღაგი მზადდება. მთავარია, ახლა ძლიერი სცენარი, რომ ამ ყველაფერმა კონკრეტული შედეგი გამოიღოს.

ნენე: ყველაზე მეტად რა აკლია ქალაქს, რომელშიც ამ-ჯერად ცხოვრობ? არის თუ არა გამაოგნებლად სწრაფი ნიუ იორქი შენი განაწყობის ადექვატური?

ლეკა: ნიუ იორქს მეტი ხეები და ბუნება, მეტი ადამიანური სითბო სჭირდება, და ნაკლები ფიქრი – ფულზე, საკუთარ წარმატებასა და კარიერაზე. ნიუ იორქი ცალკე სკოლაა. რთულია, აქ არ ადიკარგო, შენი შინაგანი სამყარო არ გაფლანგო. თუ ამას მოახერხებ, მაშინ ამ ქალაქში ბევრ რამეს ისანავლი. ტემპი კი ყველგან შენი უნდა იპოვო და გარემოებებს არ უნდა აპყვე.

ნენე: უცხოეთთან მჭიდრო კავშირის შესაძლებლობას „მივლინებად“ აღიქვამ. „ტურისტად“ ჩჩები, თუ ეს სათქმელის რეალიზების შანსია?

ლეკა: ყველაფერი ერთად: ვარ მივლინებაში, ვარ ტურისტი და თან ცოტა აქაურიც. სათქმელის რეალიზების შანსი კი, ნამდვილად მაქს. ალბათ არცერთ ქალაქში არ მიმუშავია ისე პროდუქტიულად, როგორც აქ.

ნენე: Your best day...?

ლეკა: საუკეთესო დღე იყო, როცა მიეხვდი, რომ ყველა დღე კარგი შეიძლება იყოს. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი დიდი სიბრძნე, რაც წამიკითხავს და გამიგია, არის ის, რომ ყოველი დღე ადამიანმა ისე უნდა იცხოვოს, თითქოს უკანასკნელი დღეა და მაშინ ნაკლებ შეცდომას დაუშვებს და ნაკლებს იზარმაცებსო.

ამ ცხოვრებაში ყველაფერი კარგია და ღმერთმა ჩვენს სასარგებლოდ შექმნა. მთავარია, დავინახოთ და დავაფასოთ. მაშინ წელ-წელა და ნაბიჯ-ნაბიჯ, ტკიცილიც კი სიხარულად იქცევა, ყველაზე ცუდი დღე კი – საუკეთესოდ.

ნენე: რას დაემთხვევა შენი საშმობლოში დაბრუნება?



foto fil mi dan '2-

ლეკა: ზაფხულს.

ნენე: და ბოლოს, შენი subject-ი, ანუ – ერთი სიტყვით...

ლეკა: ჩვენ ყველაფერისგან გამორჩეული, დიდებული ქართული კინო დაგვიტოვეს. ვისაც ახლა ასაკით ამ სფეროში მუშაობა გვეკუთვნის, უფლება არ გვაქვს, რომ საკუთარი თავი დავზოგოთ და ამ ფენომენის აღორძინება არ ვცადოთ.





ყველაფერი ისე სწრაფად რომ ხდებოდეს, როგორც ჩემმა შეკითხვებმა წამებში გადალახეს კონტინენტები; გადაუფრინეს ოკეანის ორაგულებს; გაარღვიეს ფაბრიკების გამონაბოლქვი, თუმცა მაინც გამჭვირვალეები დარჩნენ; ჩაუქროლეს მილიარდობით რეკლამას, აბრას და სლოგანს – ხან ერთმანეთის სიყვარულს, ხანაც ემიგრანტებს სამშობლოში დაპრუნებას რომ მოუწოდებენ; ისე სწრაფად, როგორც სამყაროს ეპიცენტრში - ნიუ იორკში აღმოჩნდა, გაარღვია მანჰეტენის მაღალჭრიანი ბინების ორგანიზებული სიმშვიდე; შეაღწია ლეკას ლეპტოპში და მონიტორზე გაჩნდა.

და მერე უკან: აზერბაიჯანიდან ზოროასტრის სუნთქვა; კოლხეთიდან მედეას კივილი; გოგირდის აბანოები... თავადები სისხლის გარეშე; ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი აგარაკები; ჭიშკრები, რატომღაც მწვანე... გზა – ტკეცილები; მთა – გრეხილები; მე – ლექსეები; მე – სვეტეები და ბიოლოგიური დერეფნები, რომ ჩვენ, ყველას გვქონდეს გადაადგილების საშუალება და უფლება... ვაკე, სულ ვაკე, რედაქციის ოთახი და ჩემი მონიტორი...

spec-pr oeqt i





avtori: sal ome ki kal ei Svi li
foto: niko tariel aSvi li



sofo Wyoni a

ერთნაირი დილა არასდროს არ მაქვს. გააჩნია, როგორ ხასიათზე ვიღვიძებ. თუმცა, დილა საკმაოდ რთულად გადამაქვს:



bi znesmeni

სამსახურის გამო, 9-ის ნახევარზე მიწევს ადგომა... მაგრამ თუ არსად არ მივდივარ...



basa focxi Svi I i

აქედან სრულ მზადყოფნაში მყოფი უურნალისტის ხმა: – „ბასა, უკვე 11 საათია. ერთ საათში მანდ ვარ“; იქედან გათიშული, ნამდინარევი ხმა – „აუ, გეხვეწები, 10 წუთი დააგვიანე რა?!”

ერთი საათის და 10 წუთის შემდეგ: „ძალიან ძნელად ვიღვიძებ, ეს რაღაც რიტუალს უფრო ჰგავს. როცა სადმე მივდივარ, სამი საათით ადრე ვიწყებ თვალის გახელას, მერე ყოველ შემოძახილზე - ადექი! – ხელით ვაჩვენებ ხოლმე 2-ს ან 5-ს, რაც



reJisori

ნიშნავს – დამაცადეთ ორი-ხუთი წუთი; მერე ვიწყებ ჟურნალების თვალიერებას, საწოლში პასეანსის გაშლას, რამდენიმე ჭიქა ყავითა და ფორთოხლის წვენით. ეს ყველაფერი ერთ საათს გრძელდება სამზარეულოში... მაგრამ როცა ვმუშაობ, შემიძლია, 24 საათი თვალი არ მოეხუჭო.



nana Soni a

ძალიან მიყვარს დილა! მიყვარს დილით მაღაზიაში პროდუქტებზე გასვლა. ეს ბოლო პერიოდია, ჩემი დილა იწყება მაშინ,



msaxi obi

როცა პატარა გაბრიელი იღვიძებს...



ni no dar asel i

24 საათიც არ მყოფნის ცხოვრებაში, ამიტომ დილით ძილი არ მიყვარს. პრეზიდენტი რომ მოდიოდეს, თუ შხაპი არ მივიღე და



Jurnal isti

არ ვისაუზმე, გარეთ არ გავალ. აი, მარტო ამის შემდეგ იწყება ჩემი ცხოვრება.



Ti na xi daSel i

ჩემი დილა? გააჩნია, როდის და სად ვარ წასასვლელი. ისე, საერთოდ, 7 საათიდან იწყება, როცა სანდრო ძვრება საწოლში და



iuristi

თავზე მაჯდება. მერე სტანდარტული ყავის სმა და... ელ-ფოსტის შემოწმება. ესაა და ეს.



maka maxar aZe

პირველი, რასაც გაღვიძებისთანავე ვაკეთებ, თვალები უნდა დავიხატო. ვდგები ყველაზე ადრე, ტელევიზორთან



bal erina

ურთიერთობის დროც სწორედ დილითაა, ყავით ხელში; ვუყურებ, რა ხდება ქვეყანაში; ხან აქეთ ვრთავ, ხან იქით...
დიდი არაფერი. სულ ესაა ჩემი რიტუალი.



nanuka xuski vaZe

მთელ ჩემს დღეს: ოჯახს, შვილს, სახლს – დილის 7-დან 11–საათამდე ვატევ, რადგან მერე რეპეტიციები იწყება. ამიტომ



msaxi obi

რასაც დიასახლისები მთელი დღის მანძილზე აკეთებენ, ამ ყველაფრის 4 საათში ჩატევა მიწევს ხოლმე.



nanka kal atozisvili

აბაზანა, ვაშლი და არავითარი ყავა. ჰო, კიდევ, ცოტა ყინული სახეზე.



msaxi obi , tel ewamyvani

rogorc ki sabari momaval
gegmebs Seexo, maSi nve mi Txra _
amaze ar afer i ar mki Txo, mai nc
ar getyvi o. ami tom, Tu vi nme am
mi zni T api rebs stati i s waki Txvas,
r Ceva: tyui l ad nu gai rj ebi T,
amdagvar s aq ver afer s naxavT.

P.S. gansakuTr ebi T
cnobi smoivar eTaTvi s: vi ci , r om
raRac xdeba.

foto: mixo kvirikaze, 2000 wel i



ავტორი: სალომე კიკალეიშვილი

er TsaaTi ani mogzaur oba
nana j orj aZi s bi ogr afi aSi



დილა მშვიდობისა!

გათენდა!

პატარა სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივი უცებ მოეფი-
ნება მოცუცქნული ოთახის ყოველ კუთხე-კუნჯულს და...

ვაშა, გათენდა! ახლა თავიდან დავიწყებ დილის რიტუალს, - გაიფიქრებს თავისთვის პატარა ადამიანი. სასწრაფოდ ჩა-
მოხტება სანოლიდან და ფეხშიშველი, გაჩერილი თმებით,
ნაძინარევი სახით - აი ისე, ერთი ხელით თვალებს რომ
იფშვნეტ და მეორეთი ჯერ კიდევ იზმორები; ტრუსების და
მაისურის ამარა, პირდაპირ სარკმლისკენ იღებს გეზს; სწრა-
ფი მოძრაობით ალებს მასსავით მოცუცქნულ სარკმელს და
ჰოპ... ერთი მოქნილი ნახტომი და ის უკვე სახურავზეა. ქვე-
მოთ - ჭოროხის ქუჩა, თავისი ბევრი, ბევრი მოფუსფუსე
მობინადრით; ზემოთ უსაშველოდ დიდი, უსასრულო ცა...
შუაში? შუაში თვითონ! - აუ, რა მაგარია სხვენზე ცხოვრე-
ბა! - ალბათ მერამდენედ გაიფიქრებს თავისთვის და ბე-
დნიერი სახით ინყებს დილის საქმიან, ძალიან საქმიან რი-
ტუალს: ხომ უნდა მოინახულოს სახურავზე წყლის უოლო-
ბთან ობლად ამოსული პატარა ხე?! შეამონმოს, წესრიგშია
თუ არა მერცხლის ბუდეები?! რა იცი, იქნებ სადმე უკვე
ბარტყებიც გამოიჩეკა?! ოო, ეს საზიზლარი კატები ხომ... ეე,
ეს რა ისმის? ისევ მოვიდნენ მუსიკოსები?! ეს ხომ ერთი პა-
ტარა, მოხტიალე ტრიოა, ცოტაოდენი ფულის შოვნის მიზ-
ნით რომ ჩამოუყვებიან ხოლმე ქუჩებს. ფეხშიშველი, სახლის
სახურავზე სწრაფად, ხტუნვა-ხტუნვით მისდევს საყვარელ
მუსიკოსებს - რა კარგად უკრავენ... მერე ჩაქანდება კიბეე-
ბზე და... აი, ისინიც: ერთი გიტარით, მეორე ვიოლინოთი და
მესამეც აკორდეონით. არ ვიცი, იცოდნენ თუ არა ჭოროხის
ქუჩის მუსიკოსებმა, როგორი ერთგული მსმენელი ჰყავდათ
სახურავზე, რომელიც მრავალი წლის შემდეგ, როცა გაიზრ-
დება და დიდი გახდება, მათზე ფილმს გადაიღებს „ტრიოს“
და ყოველთვის ემახსოვრება - „ერთი გიტარით, მეორე ვიო-
ლინოთი და მესამეც აკორდეონით.“



saswr afod
Camoxteba
sawol i dan.
fexSi Svel i,
gaCeCi I i Tmebi T,
namZi nar evi
saxi T, trusebi s
da mai sur i s
amar a. pi r dapi r
sar kml i sken
i Rebs gezs da
hop...

nana da Temur j orj aZeebi . axal daba

ამის მერე კი, ახალი გართობა იწყება - მეხანძრები.
სახლთან ახლოს მდებარე სახანძრო, რომელსაც მეგობრე-
ბთან ერთად ხშირად სტუმრობდა, - ვგიუდებოდი მათზე
და სულ მინდოდა, მეც მეხანძრე გამოვსულიყავი, მაგარი,
ბრჭყვიალა, ვერცხლისფერი ქუდით თავზე!; მათთან ერთად
ხომ ხშირად რეცხავდა დიდ, სახანძრო მანქანებს! სწორედ
ამ ნეტარებაში იყო ხოლმე, როცა ბებია გამოჩნდებოდა, და
ინყებოდა საშინელება, აბსოლუტური კატასტროფა: ფეხზე
ჩაცმა (რაც დაახლოებით სიკვდილის ტოლფასი იყო) და მეო-
რე, კიდევ უარესი - თმების დავარცხნა! - „მთელი ბავშვობა
ფეხშიშველა დავრბოდი. ფეხსაცმელს ძალით რომ მაცმევდ-
ნენ, ასე მეგონა, ხაფანგში მაყოფინებდნენ ფეხებს! იცით,
ეს რა საშინელება იყო?!“ - განაგრძობს აბსოლუტური აღშ-
ფოთებით. ერთხელაც, სახურავზე მორიგი შემოვლის დროს
იყო, რომ კატის კლანჭებისგან ცოცხალ-მკვდარი მერცხლის
ბარტყები გადაარჩინა და გულის ფანჯალით გააქანა სახლ-
ში, შეტა ფანჯარაში და - „დე, ნახე“. გაზარდა, მოამაგრა,
თქვენ ნარმოიდგინეთ, ფრენაც კი ასწავლა! აი, ასე უნდაო,
უხსნიდა - დაიჭერდა ფრთხებით და აქეთ-იქით აქანავებდა.
მოკლედ, მთავარია, ჩიტმა ფრენა ისწავლა, ოლონდ ისე კარ-
გად, რომ ერთ დღესაც ღია სარკმლიდან გაფრინდა და გა-
ფრინდა. მართალი გითხრათ, ალბათ დროც იყო გაფრენის,
რადგან როგორც დროთა განმავლობაში გაირკვა, ოჯახის
ახალი წევრი სრულებითაც არ იყო მერცხალი - „უზარმა-
ზარი ნისკარტით, მტაცებელი გახდა, რომელიც მაგიდაზე
იჯდა და სათითაოდ ყველას თეფშზე გვინისკარტებდა. რა-
ღაც უსაშველო იყო. არადა, ამ პატარა ბინაში ვცხოვრობდით
მე, ჩემი ძმა, დედა, მამა, ბებია და დეიდა. ბევრია, არა?!“.

naZvi s xe caSi ?!

აქ ისე არაფერი ხდებოდა. როგორც ასეთი, სიტყვა - ყო-
ველდღიურობა, ხომ საერთოდ არ არსებობდა. ხშირ-ხშირად
კი დაუჯერებელი, ზღაპრული ამბები ხდებოდა: მაგალითად,
როდესაც საზიზლარი ქუნთრუშის გამო, საახალწლო საღამოს
ლექსების და სიმღერების შესრულება ჩაეშალა, და სანატრე-
ლი კონცერტის მაგივრად, სრულიად იზოლირებული, საწოლ-
ში ჩაბუდნული აღმოჩნდა. ალბათ იმასაც კი ფიქრობდა, რომ
მასსავით უბედური ადამიანი მთელ დედამიწის ზურგზე არ
არსებობდა, როცა უეცრად სარკმლიდან ანთებული ნაძის
ხე დაინახა! ნამდვილი ნაძის ხე, რომელიც ნელ-ნელა ეშვე-
ბოდა ციდან და... მაშინვე აუტანელი სიყვარულით აღივსო
საყვარელი თოვლის ბაბუის მიმართ, რომელმაც არ დაივიწყა
ქუნთრუშიანი გოგონა და საჩუქარი მოუვლინა ციდან. არა,
ამ ასაქში თქვენც ასე იფიქრებდით, რადგან ამის დაჯერება
უფრო ადვილი იყო, ვიდრე იმის, რომ დედა და დეიდა თო-
ველში და ყინვაში სახურავზე იდგნენ და მძიმე ნაძის ხეს
სარკმელთან თოვით უშვებდნენ! ეს ხომ მაშინ აზრადაც არ
მოუვიდოდა! (ასე იწერენ ხოლმე ზოგიერთები ცხოვრებაში
სხვების მილნევებს.).

მერე? მერე უსასრულობამდე შეიძლება მოყოლა: ერთი
წლის შემდეგ, როგორ დაბრუნდა ის ჩიტი, მერცხალს რომ
პგავდა. მან ოთას შემოუფრინა, ეტყობა - აქა მშვიდობა,
გმადლობთ, ფეხზე რომ დამაყენეთ და ფრენაც მასწავლეთო,
- და ისევ გაფრინდა; გულამოსკვნილი როგორ ეძებდა ყო-
ველ აღდგომას კურდელეს, რომელიც და-ძმას სადარბაზოს
კარებთან თურმე საალდგომო კვერცხებს უტოვებდა; როგორ
ჯდებოდა და სეირნობდა დედას მოსწავლის (რომლის სახელი



nana j orj aZe. 1990 wel i. sinj ebi amerikul i fil misaTvis

rodesac moskovSi ,
 arqi teqtur i s
 fakul tetis
 aspiranti xdeba,
 Tbilisi sarejisoro
 fakul teti i xsneba.
 Tengiz abul aZis da
 irakl i kvi r i kaZis
 saxel osno. nana
 r Ceba da sabuTebi
 Seaqvs. swavl a zustad
 pi r vel oqtomber s
 i wyeba. 27 oqtomber s
 ki col ad irakl i
 kvi r i kaZes mi hyveba.



nana j orj aZe da irakl i kvi r i kaZe. foto: Tomas korferi

ახლაც ახსოვს და დაე, თქვენც იცოდეთ – მერაბ გაჩეჩილა-
ძე) უშველებელ დოგზე, რომელიც დიდხანს ცხენი ეგონა და
– „ცხენოსნობით გატაცებაც აი, იმ დოღიდან დაიწყო. მერე
მოტოციკლეტი იყო...“

– თქვენ რა, მოტოციკლეტაც ატარებდით?

– რას ამბობ, 6 წელი მოტო-„გონშჩიცა“ ვიყავი, – გაისმა
სრულიად მოულოდნელად.

ჯადოსნური სამყარო და სახურავზე ცხოვრება მაშინ და-
მთავრდა, როცა ოჯახი მაშინდელი პერინის ქუჩის ბოლოში,
ახლად აშენებულ სახლში დასახლდა. ჩვეულებრივ, როგორც
თვითონ ეძახის, 4-კედლიან სახლში აღმოჩნდა, სადაც დას-
რულდა ტრუქების ამარა სახურავზე სირბილის, მეხანძრე-
ბის დიდი მანქანების რეცხვის და მუსიკოსების საოცარი ის-
ტორიები.

არა, ახალგაზრდა ჯორიკა (როგორც მაშინ ეძახდნენ) რომ
ნამდვილი ექსტრემალი იყო, – ფაქტია. უამრავი, დაახლო-
ებით ასე, 9 ტვინის შერყვეთა... ოღონდ ისე კი არა, ადამია-
ნურად მიღებული შერყვებით, არა! ველოსიპედით ბეტონის
ორმოში ჩავარდა; მე-4 სართულიდან ქოლგით გადმოხტა –
ეს ჩემი პარაშუტია; სკოლაში, ფიზულტურის დარბაზში
ჰაერში იფრინა და აგურები თავით გაიტანა; მოტოციკლე-
ტით რაღაცებს შეასედა...

ეს ისე, ცნობისათვის.

studenturi ambebi

მატარებლის ბორბლები სწრაფად მიგუგუნებს რელსებზე.
თან, რაღაც აუტანელად გაჰყივის. კუპეში, არა, უფრო სწო-
რად, კუპეს ზემოთ, სადაც ბარგს დებენ ხოლმე, ორი სტუ-
დენტია გასუსული. ჩუმად! მათ ხომ ბილეთის ფული არ აქვთ,
იპარებიან ხოლმე ვაგონებში და ასე ახერხებენ „არალეგა-
ლურ“ მოგზაურობას. 8 თვე და ყოფილი საბჭოთა კავშირის
ყველა ქვეყანა! მან და ნესტანმა, სამხატვრო აკადემიიდან

ტალინში, არქიტექტურის პრაქტიკები დროზე ადრე დაამთა-
ვრეს, და რა უნდა ექნათ? „არალეგალური“ მოგზაურობაც
დაიწყეს. ოღონდ ისე, რომ მშობლებისთვის არც არაფერი
უთქამთ. თუ დაიჭირეს? დიდი არაფერი, პასპორტიდან რა-
ღაცებს ამონიშნავენ და „ბედნიერ“ მშობლებს ჯარიმებს
უზავნიან. ეს უკანასკნელი კი, ლამის ყოველთვე საბჭოთა
კავშირის სხვადასხვა წერტილიდან ასეთ ქვითრებს ღებუ-
ლობდნენ – „ასე რომ, ჩვენი მშობლები ამ ჯარიმებით სულ
ხვდებოდნენ როდის, სად ვიყავით. მამა სულ მეუბნებოდა –
აი, ამას შევინახავ! და როცა შვილები გეყოლება, ვაჩვენებ,
რა მანანალა დედა ჰყავდათო! ისე, ამ ქვითრებს დღესაც
ვინახავ“. ამ 8 თვეზე რომ ჰყითხოთ, გეტყვით, ეს საუკეთესო
პერიოდი იყო, რომლის დროსაც მიღებული შთაბეჭდილებები
და მოსმენილი ისტორიები დღესაც ასაზრდოებს – „ყველა-
ფერი, რაც ფიზიკურია, კვდება! ეს კი ისაა, რასაც ვერას-
დოს, ვერსად ვერ დაკარგავ“.

მის ოჯახში ხომ ყოველთვის ყველაზე მთავარი – მოგზაუ-
რობები, წიგნები და სამყაროს გაცნობა იყო... სადაც არავინ
ზრუნავდა ძვირფას ავეჯზე ან, თუნდაც, ლამაზ ჭურჭელზე!
მამა რომანსებს უმღერდა დედას, ლექსებს უკითხავდა... და
უცებ, იცით რა ფრაზას მეუბნება – „ბედნიერი ადამიანი ვარ,
რომ ასეთი მშობლების ოჯახში დავიძადეო!“ ბედნიერია კი-
დევ იმით, რომ მუშაობისას საშინალებელი სწავლობს ბედი; რომ
ნიჭიერ კომპოზიტორებთან, ოპერატორებთან, მსახიობებთან
თანამშრომლობს... მიუხედავად ბევრი სირთულისა, მაღლევე
ივონებს წყნას, ამბობს, – რაც წასალებია, წყალს მიაქვს...
თუმცა, ზოგჯერ მანიც რჩება რაღაც ამბები ფილმის სცენა-
რისთვისო. „ჩემი ცხოვრება ხომ ძალიან კოლაჟურია: საინტე-
რესო შეხვედრებით, ადამიანებით, ლამაზი მოგზაურობებით,
სახლებით, ეზოებით... მიჭირს კიდეც მისი ქრონილოგიურად
გახსენება. ხან რა ამოტივტივდება, და ხან – რა.“

ყველაზე ხშირად „ამოტივტივებაში“ სურნელი ეხმარე-
ბა: დარიჩინის, ბალახის, ირისის და თქვენ წარმოიდგინეთ,
თევზისაც კი, რომელიც სულ იმ საოცარ ვეშაპს ახსენებს,

წყლიდან რომ ამოვარდა და თავი მოიკლა; ანდა იმ გასაოცარი ფილოსოფოსი ჩიტს, ლოს ანჯელესში, ოკეანის პირას რომ დგას გაუნძრევლად და წყალს საათობით უყურებს – „მე და ჩემი შვილიშვილი ნიკუშაც იქ ყოფნისას სულ ამ საოცარ ჩიტს უყურებდით და...“ პო, ისე ბებია ნანამ ისე გემრიელად ამიხსნა ნახევრად ეთიოპელი შვილიშვილის ფერი, რომ... – „არა, შავი არ არის. ესაა უფრო კიფე ც მოლოკომ“.

რადგან შვილიშვილი ვახსენეთ, გეტყვით, რომ ისინი სულ სამი ჰყავს: ერთი კიფე ც მოლოკომ ნიკუშა და მეორე შვილისგან – ორი: პოეტი-სიმბოლისტი ალექსანდრე (მართალია, ალექსანდრე 6 თვისაა, მაგრამ ისეთი თვალებით უყურებს ბებიას, „რომ არ ვიცი, სად ნავიდეო“. თან ამატებს, „სულ დელფინივით იცინისო“) და 5 წლის ნანუკა – „საშინელი ხულიგანი და გადარეული“.

ეტყობა ბებიას ჰგავს.

si yvar ul i kuWi s aSI amde

ყოველთვის ძალიან, ძალიან უნდოდა რეჟისორობა და სწორედ მაშინ, როდესაც მოსკოვში, არქიტექტურის ფაკულტეტის ასპირანტი ხდება, თბილისში სარეჟისორო ფაკულტეტი იხსნება. თენგიზ აბულაძის და ირაკლი კვირიკაძის სახელოსნო. ნანა რჩება და საბუთები შეაქცეს. სწავლა ზუსტად პირ-

ველ ოქტომბერს იწყება. 27 ოქტომბერს კი ცოლად ირაკლი კვირიკაძეს მიჰყვება. – „რამეს თუ დავგეგმავ, არ გამოდის. ამიტომაა, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ძალიან სპონტანურად ხდება და არასდროს არაფერს ვგეგმავ. ეტყობა, ღმერთის ხელით ხდება ის, რაც უნდა მოხდეს“.

– შეიძლება ისე შეგიყვარდეს, რომ კუჭი აგეშალოს? – მახსენდება ფრაზა ფილმიდან „27 მოპარული კოცნა“

– კი. მთელი ცხოვრება სულ ასეთი შეყვარებული ვარ. მახსოვს, 5 წლის ასაქში როგორ შემიყვარდა მეზობელი, 26 წლის მსატვარი; როგორ მეჯუმშებოდა გული მის დაახვაზე...“ აი აქ, უკვე კარგად მოშინაურებულს, ჩემი ლამაზი თანაბალელი მახსენდება და – „მე არა. მე ყოველთვის ჩემზე უფროსები მომწოდდა. არასდროს ვყოფილვარ თანატოლზე შეყვარებული.“

აქედან კი, ბუნებრივია, საუბარში ახალი პერსონაჟი – მეუღლე და პედაგოგი ბატონი ირაკლი ჩინდება.

– „ის ხომ გასაოცარი ადამიანია. თავით ფეხებამდე ხელვანია, შემოქმედი, გამომგონებელი. არასოდეს არ ყოფილა მეუღლე, ტრადიციული გაგებით... ყოველთვის იცოდა, რომ ჩვენ ერთ სამყაროში ვცხოვრობთ, და ეს იყო ყველაზე მთავარი. ყველაფერი, რაც კინოს ეხება, ჩემი და ირაკლის ცხოვრებაა. ეს ყველაფერში მეხმარება. მართალია, სამუშაოს გამო, ხშირად გვიწევს სხვადასხვა ადგილას ყოფნა და



nana j orj aZe da pier riSari. gadaRebebi fil misaTvis `27 moperul i kocna-. 2000 wel i. foto: mixo kvi ri kaZe

sofel Si , ubral o gazeTSi
 SefuTul i amanaTi
 gamoi gzavna. amanaTma
 dani Snul ebi s adgi l s
 mi aRwi a i seve, rogorc
 gazeTma - saWi ro oTaxis. am
 ambi dan arc i se di di dro



parizi . 1997 wel i

ზოგჯერ თვეობით ვერ ვნახულობთ ერთმანეთს, მაგრამ ეს განშორება იმდენად მნიშვნელოვანია... რადგან მერე იწყება მოლოდინი, სატელეფონო რომანი, ეპისტოლური რომანი. როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, ყველაფერი თავიდან იწყება... ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ირაკლი მაჩუქა... და, საერთოდ, მთავარი სიყვარულია! ბევრი სირთულე გვაქვს გამოვლილი, მაგრამ როცა ერთმანეთი გიყვართ, ყველაფერს აიტან, ყველაფერს გაუძლებ.

- მონტაჟაც?

- მონტაჟი?! არა, ეს ჩვენთან პრობლემაა. ირაკლი დიდი ხანია სცენარების წერაზე გადავიდა, მაგრამ მას editing director-ს ეძახიან, რადგან სრულიად უიმედო ფილმებიც კი ფეხზე დაუყენებია. ამ საქმის ვირტუოზია. სწორედ ამის გამო გვაქვს სულ ომი: ყოველ კადრზე, ყოველ ეპიზოდზე ისეთი ჩხუბი გვაქვს, რომ გამოეფინება ხოლმე გარეთ მთელი სამონტაჟო და მიდის – აი, დახოცეს ერთმანეთი; აი, ან ეს გადარჩება, ან ის... მაგრამ, გამოხილისას, როდესაც შინ ვბრუნდებით, ირაკლი ხელს გადამხვევს ხოლმე და მეუბნება – „ნანუკა, რა ბედნიერებაა, ამდენი წელია ერთად ვართ, და არცერთი კონფლიქტი არ გვქონია!“ და მართლაც, კონფლიქტი არ გვქონია. თუ ვკლავთ ერთმანეთს, მარტო კადრის გამო: რა სად ჩაჯდება. ასეთია ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა.“

შემოქმედება და მუშაობა – ყველაფერია. ღამეში 4 საათით თუ გამოიძინა, ესე იგი კარგად ეძინა. წარმოუდგენლად მიაჩნია საწოლში კოტრიალი და საქმის კეთებას დილიდან იწყებს; თუ ფილმზე არ მუშაობს, მაშინ წერს, ან ხატავს ან... ნუ, რაღაცას აკეთებს. ჰო, მაგალითად, სახლებს აპროექტებს! იცოდით? ნანას ხომ არამარტო თბილისში, არამედ საზღვარგარეთაც დაპროექტებული აქვს ვილები, საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, ხელოვნების სახლი... მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნო პროცესი მაინც მაღაზიის ვიტრინების გაფორმება, ფილმის აფიშების ხატვა, და ინტერიერის მოწყობა; გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკაში... ანუ იქ, სადაც იქნება სამუშაო. თავადვე ასე პასუხობს, ძალიან მოკლედ – ვარ იქ, სადაც სამუშაოა. ამ ორ პროფე-

სიას ხომ ბევრი რამ აკავშირებს: სივრცის ორგანიზება, მისი მთლიანობაში აღქმა და რაც მთავარია, მშენებლობა! ისე, დღეს განსაკუთრებული წუხილით საუბრობს დღევანდელი თბილისის იერსახეზე და – „როგორც ჩვენ ვამაყობდით ჩვენი ქალაქით, ჩვენმა შვილებმაც ხომ უნდა იამაყონ?! როდემდე შეიძლება, უსახური მშენებლობებისთვის არ არსებობდეს წითელი ზღვარი?!“

P.S. გადასალებ მოედანზე ახალი ტანსაცმლის ჩაცმა არ უყვარს და, ძირითადად, ბების ფეხსაცმელებით, ან ბაბუის ჟილეტით, ან დედის კაბით მიდის. მათ ენერგიას ვგრძნობო, – ამბობს.

cudi raRaceebi sabWoTa kavSi rze

ყველაზე რთული ალბათ მაშინ იყო, როცა იწყებდა. როცა უსამართლოდ იხურებოდა ფილმები, ირეცხებოდა ფირები. მართალია, ნანა ყველაფერი ცუდის და უსიამოვნოს გახსენების შემდეგ სულ იმეორებს – „ეჱ, რაც იყო, იყო“... მაგრამ ერთხელ ისე გააბრაზეს, რომ წლების მერეც დეტალურად ახსოვს მოსკოვის ცენტრალური ტელევიზია და მისი ისტერიული კივილი, ფაშისტებო, ფაშისტებო. ეს იყო დრო, როცა მთლიანად დაუბნელდა გონება, თავი ველარ შეიკავა და საჟუთარ თავს ისეთი რაღაცების თქმის უფლება მისცა, რასაც სხვა დროს არ ვიზამდი; როდესაც დიდი ხნის და საქმაოდ მძიმე გადალებების შემდეგ, ფილმი „დამეხმარეთ იალბუზზე ასვლაში“ შეიქმნა. მოსკოვის ცენტრალურმა ტელევიზიამ კი, ზუსტად ერთ ღამეში ფილმი „შეასწორა“; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სრულმეტრაჟიანი ფილმი მოკლემეტრაჟიანი გახდა და მთელი 40 წუთი გაქრა. გადააკეთეს ფინალი, დაადეს ახალი ხები და მერე ამაყად მოუთათუნეს მხარზე – აი, ჩვენც დაგეხმარეთ იალბუზზე ასვლაშიო. „აი, აქ კი გადამეკეტა! რას ვეძახდი და რას ვყვიროდი, ალარ მახსოვს. თქვე, ფაშისტებო! ვყვიროდი ცუდ რაღაცებს საბჭოთა კავშირზე, რომ ის დალპება და ჭაობში ჩაიძირება... და თან მახსოვს, ჩვენი საწყალი, უბედური მთავარი რედაქტორი, რომელიც თან მიმათრევდა და თან – „ნანა გაჩერდი! ნანა დაგვლუპავ!

i yo gasul i , rom saWi ro
 oTaxi dan i rakl i s xma
 gai sma - `nana!!!~... moxeul
 gazeTze ewer a: `san_
 remos ki nofestival i s
 gran-pr i gadaeca i rakl i
 kvi r i kaZes, fil mi saTvi s
 `mocur ave~



ნანა, დაგვიჭერენ! ნანა!...“ მართალია, არავინ დაუჭერიათ, მაგრამ ფილმი ისე გაქრა, როგორც ქრებოდა ხოლმე ფი- რები. რა ბედი ეწია? ჩარეცხეს ან ვერცხლად გადაადნეს. უბრალოდ, მოპარვა, დიახ, მოპარვა ვერ მოასწრეს, თორემ... იქნებ გადარჩენილიყო ისევე, როგორც ირაკლი კვირიკაძის „მოცურავე“. ვინ იცის?!

ჰო, „მოცურავეზე“ გამახსენდა. ამ ისტორიას ნანა ძალიან უწესო ამბავს უწოდებს.

მას შემდეგ, რაც რეჟისორი ირაკლი კვირკაძე საგრძ- ნობლად შეუზღუდა მთავრობამ გადალებები, იგი ხშირად სტუმრობდა ყაზახეთს, ადგილს, სადაც მეტ-ნაკლებად პოუ- ლობდა თავისუფლებას და სამუშაო პირობებს.

კოცელი
 აჩვითმნაც
 ჩასახვის
 საზონალოება
 საშუალება

საიმეო
 ესვის
 მიხაბი
 მარიზები

ანაირიანგაც
 მოწევება

აჩნიუჩი
 აკარცება

მოხახუბის
 მახტივი
 ნასი

უნდოვა საუკანასია

კაზენიეს რვალი®



ეს ჩვენი ამბავი კი ყაზახეთის სოფელ კარაოიში ხდება – უდაბნოში, რომლის სახელიც თარგმანში – შავი ჯურლმული, ასი პროცენტით ამართლებს სახელს; სადაც, წყლის უქონლობის გამო, დაბანის ერთობ ველური მეთოდი არსებობდა: გარკვეული დროით წვებოდი ქვიშაში, იქიდან ამოსული კი მონებებულ ქვიშას მთელი ძალლონით ზედ იხეხავდი და... საქმეც გაეთებული იყო. ახლა ამის მეთხველი, იმასაც მიხვდებით, რომ არც დანარჩენ საქმებში იყო დიდი კომფორტი და ნეტარება. ჰოდა, (დიდი ბოდიში ასეთი დაკონკრეტებისთვის, მაგრამ საქმე მოითხოვს) არც საჭირო ოთახში შესული განებივრდებოდით საჭირო ქალადით. ამიტომ გადაწყვეტილება, უმაღ მიიღეს. გამოყენებულ იქნას ერთადერთი ქალადი, რომელიც მთელ დასახლებაში არსებობდა – ირაკლის სცენარი. ასეც მოხდა. იკითხავთ, და რა არის აქ საინტერესო? საინტერესო კი მაშინ დაიწყო, როდესაც სოფელში, უბრალო გაზეთში შეფუთული ამანათი გამოიგზავნა. ამანათმა დანიშნულების ადგილს მიაღწია ისევე, როგორც გაზეთმა – საჭირო ოთახს. ამ ამბიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, რომ საჭირო ოთახიდან ირაკლის ხმა გაისმა –

რაღაც ხდება... სცენაზე გაბრუებული ავიდა, საუკეთესო დებიუტისთვის „ოქროს კამერა“ და კონვერტი გადასცეს... რაღაც თქვა... შემობრუნდა და უკან ნამოვიდა. გილოცავთ! – ისმის რუსულად და კულისებში ჩასაფრებული ძვირფასი „გოს.კინოელი“ კაცი ელვის სისწრაფით ართმევს კონვერტს... რატომ? უცებ ვერ მიხვდა. „თურმე იქ, ძალიან დიდი თანხა იდო“. კანის კინოფესტივალის წარმომადგენლის დაუინებული მოთხოვნა რომ არა, ეს ფილმი („რობინზონიადა“) არათუ ფესტივალზე, „გოს.კინოს“ დამტვერილ თაროზე აღმოჩნდებოდა. აქაც მოხდა ის, რასაც ნანა ბედის წყალობას უწოდებს: ფილმს ბიძები უყურებდნენ და ამბობდნენ – ამას აუცილებლად დავხურავთო. ამ დროს, უკანა რიგებიდან დარბაზში შემთხვევით შემოსული ფრანგი მამაკაცი წამოხტა, მე კანის კინოფესტივალის ამომრჩეველი ვარ, მომეცით, ეს ფილმი ფესტივალზე მიმაქვსო; – მოიცა, რას ამბობთ, ეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და თან რეჟისორიც სასტრიკი წინააღმდეგიაო, – ბიძები არ დაიბნენ. თქვენ თანახმა ხართ? – ფრანგმა უცებ ნანას გახედა. მე?... დიახ.

დამიჯერეთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ



nana da I ari. I os anj el esj . 1997 wel i .

Cveni I ari uSvel ebel i
dur bi ndi T zemodan
gakvi r debaT da Tu
Seni naxvi s xasi aTzea,
i ster i ul ad i wyebs
er Tader Ti wi Tel i
trus i s xel i T qnevas _ aq
var, modi ol mer e wi Tel
bai raRs dauSvebs, fexebs
gauyr i s da hop, trusi c
adgi l zea.

„ნანა!!!“... მოხეულ გაზეთზე ეწერა: „სან-რემოს კინოფესტივალის გრან-პრი გადაეცა ირაკლი კვირიკაძეს, ფილმისათვის „მოცურავე“. როგორია?

si zmar i a?

გადავსებული დარბაზი; ათასი ბრჭყვიალა ძვირფასი თველები, თვალისმომჭრელი ლამაზი ქალები... ყველა რა ნაცნობია!... ისინი ხომ არაერთხელ უნახავს ეკრანზე... სიზმარია? აღბათ. სიზმრის ნაწილია სცენაზე გამარჯვებულის დასასახელებლად ასული ივ მონტანიცა და კაროლ ბუკეც; საერთოდ, ყველაფერი სიზმარია... ეჩვენება, თუ რა არის?! მისი გვარი თითქოს რამდენჯერმე დაიწერა... ბოლოს ვიღაცამ ხელიც კი ჰყრა – მიდი, გადი დროზეო და მიხვდა, რომ

სად ხარ. კანში, გაგანია ფესტივალის დროს, გაბრდლვიალებულ ჯადოსნურ სამყაროში, თბილისში, სასურსათო მაღაზიაში თუ... თუ სადმე. ყველგან საჭიროა – რა? ფული. საზიზლარი, აუტანელი, აუცილებელი ფული. ჩვენი „გოს. კინო“ კი რა თანხის მომცემი იყო, როცა დღედაღამ იქით წართმევაზე ფიქრობდა. ამიტომ იყო, რომ ნანა კანის მშვენიერ ქუჩებში დაბორიალობდა და იცოდა, რომ როგორც არ უნდა მოესურვებინა, მაინც ვერაფერს იყიდდა. მაგრამ როცა პატარა, „კინო ხლაპუშკის“ ფორმის გულსაბნევი დაინახა, ერთ-ერთ ნომინაციაში გამარჯვებული ფილმის და ავტორის სახელით – „Robinzoniada, Nana Djordjadze“ – თან, სულ რაღაც საზიზლარ 40 ფრანკად?! მაშინ?! რა დაავიწყებს ნიკიტა მიხალკოვს, რომელიც მფარველ ანგელოზად მოევლინა. ჯერ იყო და სანატრელი გულსაბნევი უყიდა. მერე შერემეტიევოს

აეროპორტში ისეთი სკანდალი მოაწყო, რომ... იცით, რატომ? წარმოიდგინეთ, ჩამოდიან მოსკოვში და სად არის „რობინზონიადას“ „ოქროს კამერა“?! მოპარება! – „Подонки! Сволочи! Узнаю запах отечества!“ – ღრიალებდა ნიკიტა აეროპორტში და... დაახლოებით 4-5 საათში, პრიზი უკან მოუტანეს. ნუ, ერთადერთი ის იყო, რომ ობიექტივი აღარ იყო ზედ, მოპარეს. დიდი და ძვირფასი ყოფილა. ღმერთო, ობიექტივს ვინ სჩიოდა, პრიზის ნაწილი ხომ მაინც ერგო?!

bevri, bevri saintereso ram

ეს ყველაფერი არა უშავს, რადგან მერე ნანას ცხოვრებაში უამრავი საინტერესო ადამიანი იყო. „ოსკარის“ ნომინაცია... მოგვიანებით, კანის ჟიურიში ყოფნისას, დახურულ ტერიტორიაზე გამოკეტილი მსოფლიო კინოს ვარსკვლავები. კენჭისყრის დღეს, ზენოლა არავისზე რომ არ მომხდარიყო, „რა უნდა გვეკეთებინა მთელი დღე, დავბოდიალობდით მშვენიერ ბუნებაში და მზეს ვეფიცხებოდით“. სრულიად სპონტანურად, მაგიდასთან დაწყებული ახალი საინტერესო

Iaris wi Tel i trusi da caSi dawer i l i NANA

აღარ გვინდა ცუდი, და ნანას ბიოგრაფიიდან ერთ, თითქმის დაუჯერებელ და ერთ ძალიან რომანტიულ ამბავს მოგიყვებით. „უი, აქ ცაზე ნანა წერია?“ – ფოტოსურათის თვალიერებისას ვიკითხე. – „ჰო, იყო ერთი... მეპრანჭებოდა და... მფრინავი იყო. ჰოდა, იმან დანერა ცაზე, კანში როცა ვიყავი“ – ისე, სასხვათაშორისოდ მეუბნება.

რაც შეეხება დაუჯერებელ ამბავს, მისი მოქმედების ადგილი... არა, ამას ჯერ არ გეტყვით, ბოლოში უფრო ეფექტური იქნება.

მოკლედ, ნანას ერთი ძალიან საინტერესო და უცნაური მეგობარი ჰყავს. სახელად ლარის ეძახიან. ის ისეთი მდიდარია, რომ რა გითხრათ? თვითმფრინავიც ჰყავს, ბევრი მაგარი მანქანაც, უიშვიათესი ჯიშის ცხოველებიც, და წითელი ტრუსიც. ოკეანის პირას უზარმაზარი მთა აქვს ნაყიდი, სადაც დატუნტულებს სრულებით შიშველი, ანუ – რაღაც კარგად ჟღერს – დედიშობილა; სძინავს ხევთან დაკიდულ სანოლზე, რომელიც სულ ქანაობს; ეტყობა, თმას არ ივარცხნის, ანდა რისთვის უნდა? დაცუნცულებს დიდი, გაჩე-

`ui , aq caze nana wer i a?_
fotosuratis Tval i erebi sas
vi ki Txe. _ `ho, i yo er Ti ...
mepr anWeboda da... mfrinavi
i yo. hoda, i man dawera caze,
kanSi roca vi yavi ~



foto: nana j orj aZe. kani . 1992 wel i.

პროექტი, სადაც უერარ დეპარდიე რასპუტინს განასახიერებდა, ფილმს გენიალური გოდარის მემონტაჟებდა, ოპერატორი თავად კარლო დი პალმა იქნებოდა... ყველაფერი მზად იყო – მოლაპარაკებები, ჩანახატები. მუშაობა უნდა დაეწყოთ, პროდიუსერი რომ გარდაიცვალა და მისმა შვილმა რუსეთის მხარესთან საქმის დაჭერაზე უარი განაცხადა. არ გამოვიდა არც მაშინ, როცა მარჩელო მასტროიანი და მარია ტრენტინიანი უნდა გადაეღო... აფხაზეთის ომი დაიწყო და შეშინებული იტალიელები მთავრობამ სასწრაფოდ უკან წაიყვანა. არც მაშინ გამოვიდა რამე, როცა შვილები აფხაზეთში იყვნენ და მას ცნობილმა „ერის ლინგვისტმა“ მიტინგზე ნაძირალა ნანა ჯორჯაძე უწოდა, რომელსაც თურმე, ვიღაც გომბეშო ცვეტაევაზე უნდა გადაეღო ფილმი.

რა დროს ფილმი იყო? აი, მაშინ კი, მართლა შეეშინდა...

ჩილი ქერა თმებით; ალბათ ასევე გაჩერილი შვილები ჰყავს. ძვირფასი მანქანები კი მთაზე ლაბირინთივით დაკლაკნილ გზებზეა დაყრილი: ზოგან თავის დროზე ბენზინი გათავდა, ზოგან საბურავი დაეშვა... ნუ, კარგი რა?! ხომ არ დაინყებდა ახლა ან საბურავზე ზრუნვას ან ბენზინის ჩასხმას?! არ სჯობია, ჩიტებს დაუთმოს, რომელთაც მშვენიერი ბუდეები აქვთ შიგნით მონცობილი?! სჯობია. სანამ ესტუმრებით, კარის ზღურბლზე სტუმრად მისული, ზარს რეკავთ ხოლმე. აქაც ჩერდებით და ასიგნალებთ. ჩვენი ლარი უშველებელი დურბინდით ზემოდან გაკვირდებათ და თუ შენი ნახვის ხასიათზეა, ისტერიულად ინყებს ერთადერთი წითელი ტრუსის ხელით ქწევას – აქ, ვარ, მოდიო! მერე წითელ ბარიალს დაუშვებს, ფეხებს გაუყრის და ჰოპ, ტრუსიც ადგილზეა. ხოლო თუ შენი ნახვის გუნდაზე არ არის, არც ტრუსს და-

misrial eb SenTvis trasaze,
 Ri Ri neb ki dec nacnob mel odi as
 da uceb ci dan mofri navs aql emi ?!
 aql emi wamebSi gadahyavT
 saavadmyofoSi , xol o daSavebul
 mZRoI s cota xni T fsi qiatr i ul Si
 aTavseben _ `es ver aa, gai ge?
 aql emi dameca Tavzeo...~

გიქნევს და არც არაფერს. მერე მიდი და ეძებე დახლართულ ბილიკებში, მაინც ვერ იპოვი.

წელინადში ერთი-ორჯერ ჩაფრინდება ხოლმე ნიუ იორკში, ისიც საშობაოდ, ან საახალწლოდ... ამ სავანეში კი, ათასი სხვადასხვა ჯიშის ცხოველი ბინადრობს. არ გეგონოთ, რომ მთლად ლარიბულად ცხოვრობენ. უქვირფასესი შუშისგან დამზადებული თასებით სვამენ წყალს, შესასვლელს კი მე-16 საუკუნის ვენეციური ჭიშკარი ამშვენებს. ნანა პირველივე დანახვაზე მოეწონა – ჯერ თმაზე მოჰკიდა ხელი, მერე თავის თმას შეეხო და საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუსვა, რაც დაახლოებით მაუგლის ტექსტის არ იყოს, ასე იშიფრებოდა – „მე და შენ ერთი სისხლის ვართ“. მერე მიწიდან სტაფილო ამოგლიჯა და გაუწოდა – მიდი, ჭამეო. მორჩა. მიიღო.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ ასე სამოთხესავით ტკბილ-სიამობაში ცხოვრობს ლარი თავის ცხოველებთან ერთად. როგორც ყველგან, ცხოვრება ცხოვრებაა, თავისი პრობლემებით და კლასობრივი წინააღმეგობებით:

I ama da aql emi


– „საშინელი ტერორისტი, ხულიგანი ლამა ჰყავთ, რომელიც გადაკიდებულია ერთ საწყალ აქლემს და სადაც კი ხელთ ჩაიგდებს, სულ კბენს, წიხლებს ურტყამს და გარბის. ერთხელაც, საწყალი აქლემის შეშინება ისე მოინდომა, რომ გამოვარდნილა და უბედური ცხოველისთვის მთელი ძალით ჩაუცხია ჩლიქები“ — ჰყვება ნანა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ აქლემი მთიდან გადავარდნილა და... ზემოდან დაასკადა მანქანას. წარმოიდგინეთ, მისრიალებ შენთვის ტრასაზე, ღიღინებ კიდეც ნაცნობ მელოდიას და უცებ ციდან მოფრინავს აქლემი?! აქლემი წამებში გადაჰყავთ საავადმყოფოში, ხოლო დაშავებულ მძღოლს ცოტა ხნით ფსიქიატრიულში ათავსებენ – „ეს ვერაა, გაიგე? აქლემი დამეცა თავზეო...“ – დასცინოდნენ ექიმები. ოო, მერე იცით რა მოხდა? სასამართლო გამართეს და... ვინ გაასამართლეს? ლამა! რომელსაც 10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სად? ზოოპარკში! ეტყობა, ვადამდელი გასაჩივრების უფლების გარეშე!

– რა, მართლა? კი, მაგრამ სად ხდება ეს?
 _ Los Angeles!!! Hollywood!!!


Syvar ebub i kui i nar i 1001 recepti - gadaRebabi. foto: Iuri i meci Tovi. 1995 wel i







ni no Cubi ni Svi | i avtori: I evan nucubi Ze





faqtеби

ganaTI eba:

თბილისის თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო აკადემია – სცენისა და კოსტიუმების დიზაინერის დიპლომი
2000 კენტო, პარიზი (სტაჟირება)
2005 Institut Francais De La Mode, პარიზი

modebi s sol o Cvenebebi :

"Dead Army" 1996

ავანგარდული მოდის პირველი ასამბლეა, თბილისი (მე-3 პრიზი)

"Airlines" 1999

საერთაშორისო ფესტივალი „სუბტროპიკი“, ბათუმი
სოლო ჩვენება ხელოვნების სახელმწიფო გალერეაში, თბილისი
თანამედროვე მოდის ფესტივალი "Line"

"Lines" 2000

საერთაშორისო მოდის კონკურსი

"Русский Силуэт", თბილისი

"Русский Силуэт", მოსკოვი (გრანპრი)

"Русский Силуэт", მონტე-კარლო

2002 გოსლაბის წარმოდგენა ფესტივალზე "Exit", პარიზი



interviu

ნინუცა, გწერ ინტერვიუს კითხვებს. შეეცადე ვრცელი პასუხები გასცე. თუ რომელიმე ზედმეტად ინტიმური ან ფილოსოფიური მოგეწვენება, დაუფიქრებლად წაშალე.

Teatraluri dadgmebi :

სცენისა და კოსტიუმების დიზაინი;

2003 გია ყანჩელისადმი მიძღვნილი წარმოდგენის კოსტიუმების დიზაინი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი;

2003 „არტერია“, კურატორი: გოსლაბი; საგამოფენო ცენტრი: „ქარვასლა“, თბილისი

1996 სცენისა და კოსტიუმების დიზაინი სპექტაკლისთვის „Marat Sade“, პიტერ ვაისის მიხედვით; რუსთაველის სახელმწიფო თეატრი, თბილისი;

1994 სცენისა და კოსტიუმების დიზაინი სპექტაკლისთვის „საპოვნელა“, მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრი, თბილისი

1992 სცენისა და კოსტიუმების დიზაინი სპექტაკლისთვის „No Exit“, უან-პოლ სარტრის მიხედვით, რუსთაველის სახელმწიფო თეატრი, თბილისი

1991 სტუდენტური სემინარი: ლონდონის წმ. მარტინის ცენტრალურ კოლეჯსა და თბილისის თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო აკადემიაში;

1988 კოსტიუმების დიზაინი. ზამთრის კარნავალი, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“. გუდაური.

gamofenebi :

1998 ახალგაზრდა ფოტოგრაფთა კონკურსი, თბილისი (მე-3 პრიზი);

1995 "Delayed Winter", სახელმწიფო ბიბლიოთეკა, თბილისი

1991 "Rice Letter", ცისფერი გალერეა, თბილისი

1990 „ქართული ავანგარდი“, თბილისი



=>

sad da ri T dai wyo?

- პირველად იქ დაიწყო, სადაც გავაცნობიერე, თუ როგორ ასხვავებენ უფროსები, მარჯვენა ფეხსაცმელი რომ მარჯვენა ფეხზე უნდა ჩამაცვან და მარცხენა – მარცხენაზე. მერე დაიწყო წესების და სტერეოტიპების შენება, რაც სულ გრძელდება რაღაც ეტაპამდე, როგორც ყველას ცხოვრებაში: გარემოსგან, კანონებისგან, კნოებისგან, ქცევებისგან; სანამ მიხვდები, რომ სტერეოტიპები და იმიჯები მხოლოდ ზედაპირია და ხელოვნებაში უკვე განვლილი ეტაპი. როდესაც მიგხვდი, რომ სტერეოტიპები ლიმიტია და შემზღვდელი ციხე, სადაც ადამიანი ამ ჩარჩოს მონა ხდება და არა თავისი ცხოვრების თავისუფალი შემქმნელი – მაშინ დაიწყო პირველად იმის გაცნობიერება, რომ სიყვარულის და ბედნიერების იმიჯი ხსნადი ყავაა ანუ ფალსიფიკაცია; ნამდვილი სიყვარული კი – მარცვლებიანი, ყველაზე ნატურალური, რომელიც უნდა დაფქვა და დიდხანს ადუღლ. და ეს ყველაფერი მარტო სიყვარულს არ ეხება. ეხება იმას, რომ ჩემში ჩემივე თავის იმიჯი და სტერეოტიპი დაიწყორა; მიეხვდი, რომ მე ის ვარ, რომელიც ყველანაირია და ის ვარ, რომელიც სულ იცვლება; თან უცვლელია და თან სულ ვიპადები და სულ თავიდან ვიკარგები; და რომ გზაც ეგ არის.



ra faseul obebi gqonda, romel ic dRemde gamogyva?

- არ ვიცი, რა გამომყვა, მაგრამ ვიცი, რომ ერთი პერიოდი ყველა ფასეულობა დავკარგე და დიდ სიცარიელეში გადავვარდი. იქ მივხვდი, რომ უფასეულობებო ცხოვრება იმას ჰგავს, როდესაც მხოლოდ კედლებს ხედავ, სახეებს და ვერ გრძნობ, რომ ყველაფერი ეს ცოცხალია და კონტაქტშია ერთმანეთთან. რომ ვთქვა, რა ფასეულობებს ვემსახურები და რის შენარჩუნებას ვცდილობ, მგონი, უფრო სწორი იქნება, ვიდრე ვთქვა, რომ „ეს მე მაქვს“. არც არაფერი არ მაქვს... არავინ იცის, სად და რა დროს აღმოჩნდები, და რაზე იტყვი უარს. რას ვცდილობ – სხვა არის... ვცდილობ, პატარა სიმართლე აღმოვაჩინო და პატარა სიყვარული, და პატარა ერთგულება, ჩემშიც და სამყაროშიც, ოლონდ ყოველდღიურად. ადრე ვიტყოდი: „მე მართალი ვარ“. დღეს ვიტყვი, „ძალიან ვცდილობ და მინდა, რომ სიმართლეს შევეხო!“.

raze fiqi gakar gvi nebs dr ois Segr Znebas?

ყველაფერ იმაზე, რაც უსასრულოა: ადამიანზე, სამყაროზე, კინოზე, ხელოვნებაზე. არ ვიტყვი, რომ მოდაზე; იმიტომ, რომ ეს ცნება ჩემთვის მხოლოდ ცარიელია და წარმავალი, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებსაც ეს სფერო ხელოვნების რანგში აჰყავთ.




rogor fiqrob, ra aris saWi ro i misTvi s, rom dr osTan mi mar TebaSi dar Ce adeqvaturi?

არ უნდა გააიგივო შენი თავი რაიმე დროსთან. არ უნდა უთხრა შენს თავს, „აი, ეს მე ვარ“ და „ეს არის ჩემი დრო“. არ უნდა შექმნა ჩარჩო იმიტომ, რომ რომელიმე დროში უფრო კომფორტულად იგრძნო თავი. ყველა დროში ბევრი სანტიურესო რამ ხდება, და შენიც ადექვატურად იცვლები და თუ თავს არ შებოჭავ და არ შექმნი ისევ და ისევ შენი თავის იმიჯს, დაინახავ, რომ დროც და შენც უსასრულო სიცარიელები ხართ, რომლებიც ერთად, ერთი ინფორმაციის გამტარები არიან.




yvel aze xSi rad sai dan i Reb i nspi raci as?


ნებისმიერი ახალი აღმოჩენა შეიძლება ინსპირაციის წყარო გახდეს: ეს იქნება კვადრატზე ფიქრი თუ სისტემაზე. შეიძლება ინსპირაცია ერთი სიტყვაც იყოს. ძირითადად, გაუაზრებლად ვხატავ და ისტორია ხატვის პროცესში მიყალიბდება. ძალიან ხშირად, ინსპირაციის წყარო ჩემი მეგობრების ხელოვნებაა. ასე იყო, სანამ პარიზში წამოვიდოდი. ახლა სხვა რეალობას შევეხე; უფრო სწორად, უფრო დიდ ინფორმაციას, რაც აღბათ სხვა გზითაც წამიყვანს.



რა განსვავებას ხდავ ჰოდასა- და იმას სორის, რა საც სენ აქეტებ?

მოდა ის არის, რაც დღეს არის „მოდაში“. ანუ ის იდეა, რაც ვიღაცამ მოიტანა, დროსთან გააიგივა და თქვა – „აი, ეს არის დღევანდელი დღე, და ეს - ხვალინდელი“. ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, არამედ ბევრი დიზაინერისთვის, რომლებიც ამ დროის ფენომენს ისეთ უპირატესობას არ ანიჭებენ, არამედ უფრო თავიანთი სამყაროდან და ძიებებიდან ქმნიან თავიანთ „მოდას“ - ნაწილობრივ მაინც, არ ექვემდებარებიან დროის მოთხოვნებს. მათთვის „მოდა“ ხელოვნების საფეხურზე გადადის. ასეთი დიზაინერები ჩემთვის ბევრად უფრო ფასეულს და „გრძელვადიანს“ ქმნიან, ვიდრე ისინი, ვინც კომერციით არიან დაინტერესებულები, და იმით, თუ რა იქნება ამ წელიწადს მოდური. თუმცა, მათაც აქვთ თავიანთი ფუნქცია; ეგენი დღევანდელობის იმიჯს ქმნიან; როგორც ფართო მასისთვის GUCCI-ა დროის იმიჯი და არა Hussein Chalayan ან Alexander McQueen.









romel i sistemea SenTvi s yvel aze mi saRebi?

- არცერთი სისტემა არ არის სრულყოფილი. ყველას თავისი მინუსიც აქვს და პლიუსიც. მატერიალურ სამყაროში მატერის განვითარებისთვის საუკეთესო წყობა ჯერ-ჯერობით კაპიტალიზმია და სულიერ პლანში – ყველა წყობა მონსტრია, ზოგი ჭკვიანი, ზოგი კი უტვინო. კაპიტალიზმს იმის ჭკუა აქვს, რომ თავისუფალი აზრი ციხეში კი არ ჩასვას, არამედ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, „გააპაპსავოს“ და თავის პროდუქტად გაასაღოს. „კუკუშკა“ ამერიკაშია გადაღებული, ფილმი, რომელიც სისტემის პირველი დამანგრეველია. ანუ ეს იდეა კომერციად აქციეს და ყველას დააჯერეს: „ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც თავისუფალი აზრი ასეთი მნიშვნელოვანია.“ სინამდვილეში, ინდივიდების და თავისუფალი აზრის ყველას ეშინია. ის, რაც სისტემის გარეთაა, სისტემის მტერია. თავისუფლება კი სისტემას არ ექვემდებარება.

ასე რომ, მისაღები სისტემა ის არის, რომელიც ჩემს თავისუფლებას მინიმალურად შეეხება, თორემ ზოგადად, შინაგან თავისუფლებას ვერცერთი სისტემა ვერ დაანგრევს, მე ამის მჯერა.



თავარი მამოზრავებელი ის ზაფა?

- ვისთვის რა ძალაა მამოზრავებელი და ვისთვის – რა; გააჩნია, რომელ ძალას აღმოაჩენ შენში და გზას გაუხსნი. მეც, როგორც ყველა ადამიანს, ბევრი სისუსტე მაქვს და ხან რა ძალა დამძლევს 2 წუთით, ხან – რა. მაგრამ ვცდილობ, იქვე მოვიხელთო და მაინც კარგისკენ მივმართო ჩემი ენერგია.

როგორ გვიარეთ ფიგურუების მიერ?

- არ ვიცი, რაზე ფიქრობენ ირანელი ქალები; მაგრამ ქართველ ქალებსაც, მგონი, იგივე პრობლემა აქვთ. ჩემი აზრით, ტრადიცია ძალიან საჭირო რამაა, მაგრამ გააჩნია, რაში ეთანხმები ამ ტრადიციას. ქართველი ქალების პრობლემა ისაა, რომ ტრადიციებს პირად ურთიერთობებში იყენებენ – მაშინ, როდესაც თავისუფალი და ინდივიდუალური სივრცეა. არ არსებობს კანონი, რომელიც მეტყვის – „ოჯახი ასეთი უნდა იყოს“. ეს კანონი მხოლოდ ჩვენი წინაპრების მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპია, რომელიც თავის ჩარჩოებს ქმნის. ქართველი ქალების უმეტესობა ოჯახზე მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი იდეალური წარმოდგენის მსხვერპლი ხდება და ვერც ერთი ნაბიჯით ვერ უახლოვდებიან რეალურ ურთიერთობებს.



bol os al baT samoTxeSi gi nda. r ogor i war mogi dgeni a?

- 10 წლის წინ, სამოთხე ბოტიჩელის ნახატი მეგონა. მერე მეგონა, რომ სამოთხე შენივე საუკეთესო მდგომარეობაა, რასაც შენში ატარებ, ოღონდ უსასრულოდ გაგრძელებული. მერე მივხვდი, რომ სამოთხეც და ჯოჯოხეთიც აქვეა. ახლა, უბრალოდ, მგონია, რომ სხვა რეალობაა, რომელიც ყველაზე ძალიან, ყველაზე მშვიდ, უსასრულო და სავსე მდგომარეობას ჰგავს.



აი, ნინუცა, სულ ეს იყო. ხო ვარ ჭკუის კოლოფი? 10 მაისამდე, თუ შეძლებ, მიპასუხე.

P.S. ხო, ბუში ჩამოდის და, ალბათ, თავი რომ სახლში იგრძნოს, თბილისი დისნეილენდს დაამსგავსეს; (აზერ ვერსია) შენობები – ალაგ წითელ, ალაგ ყვითელ, ალაგ ალისფერია. მალე ალბათ მიკი მაუსებსაც გაუშვებენ ქუჩებში. „ქართულმა სტუმართმოყვარეობამ“ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ სინოპტიკოსები გვამცნობენ, მთელი მაისი წვიმები იქნებაო, და იმედი გვაქვს, წვიმა ჩარეცხავს იმ ნაჩალიჩარ სევდას, რითაც თბილისია შეღებილი.

ძვირფასო ნინუცა, ისლა დამრჩენია, დაგემშვიდობო. დიდი მადლობა. პატივისცემით, ლევანი


foto: *gi o sumbaZe

eski zebi : ni no Cubi ni Svi I i

fotomoTxroba Vendi

daTO tur aSvi l i

ბებიაჩემი მეუბნებოდა, შპიონ ქალებს ერიდეო და ცოლს თუ მოიყვან, აუცილებლად თეთრი უნდა იყოსო. რასაკვირველია, სიტყვა შპიონს და, რასაკვირველია, სიტყვა თეთრს, ცხონებული ბებია სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობდა (ვი-დრე დანარჩენი კაცობრიობა), მაგრამ როცა თეთრი ქალი (როგორც იქნა) გავიცანი, ცოლი უკვე მყავდა (მიმოყვანილი) და ბებიაჩემიც გარდაცვლილი იყო. რასაკვირველია გარდა სითეთრისა, ვენდის კიდევ ერთი ხიბლი ჰქონდა – ის არ იყო შპიონი, მაგრამ ამას, (მოგვიანებით), მერე მივხვდი, თორემ დასაწყისში, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი შპიონი მეგონა.



არადა, პირველი უცხოელი ქალები საქართველოში, მართლა აგენტები იყვნენ და ამერიკელებმაც, სანამ ოფიცერ კაცებს შემოიყვანდნენ ჩვენს ქვეყანაში, ჯერ ქალები გამოუშვეს დასაზვერად და მხოლოდ მერე გაიხსენეს, რომ ჩვენ სულ სხვა დახმარების იმედი გვქონდა მათგან და მხოლოდ სექსი რომ გვდომოდა, რუსეთიდან გამოყოფაზე სიტყვაც არასოდეს დაგვცდებოდა.

სხვათა მორის, 1921 წლის ანექსიამდე, რუსებმაც იგივე გააკეთეს საქართველოში და ოკუპაციის დაწყებამდე, ჯერ ქალები შემოაგზავნეს ჩვენს ქვეყანაში და ქართლის სოფლებში, თურმე, მსხვერპლიც კი მოჰყვა რუსების ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს. ჩანაფიქრი კი, მართლაც, ვერაგული იყო და მიზნად ისახავდა ქართველი კაცების „ვერბოვკას“ არავერბალური გზით. რუსების სექსდესანტით სავსე მატარებელი ჩერდებოდა იქ, სადაც ლიანდაგის სიახლოვეს, ქართლელი მშრომელი გლეხეკაცობა თოხმომარჯვებული ზრუნავდა უკეთესი მოსავლისათვის და ვაგონებიდან გადმომდგარი შემცველი ქალები კი ომახიანად მოუწოდებდნენ მათ ეროტიული შესვენებისაკენ. ვაგონს ქართულად რონოდი ჰქვია (ნიკოლორთქიფანიძის ვერსიით), მაგრამ ვის გაახსენდებოდა მაშინ ქართული სიტყვა საერთოდ, რადგან უსიტყვოდაც გასაგები იყო, რას ითხოვდნენ რუსი დედაკაცები ქართველი მამაკაცებისაგან და მათ მიერ იქვე დაყრილ თოხებს უკაკუნებდნენ სწორედ მათი ცოლები რონოდის ჩარაზულ კარებს. ცოლები ითხოვდნენ ამ აღვირახსნილობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ქმრებს ემუქრებოდნენ ერობაში ჩივილით. ერობები ერქვათ (მაშინდელ საქართველოში) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და ეს არ იყო უბრალოდ მუქარა. ვისაც წაუკითხავს 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების (იგივე მაშინდელი პარლამენტის) ოქმები, აუცილებლად ემახსოვრება ქართლის რამდენიმე სოფლის მცხოვრებთა ერთობლივი მიმართვა ნოე უორდანიასა და მაშინდელი მთავრობისადმი დახმარების თხოვნით. 1920 წელს ქმრებზეკანტროლდაკარგულმა ცოლებმა (ქართლის რამდენიმე სოფლიდან) მართლა თხოვეს საქართველოს ხელისუფლებას იმ მატარებლის გაყვანა, საიდანაც სექსისაგან დამტკარი ქართველი გლეხეკაცობის დახსნა, უკვე შეუძლებელი იყო და დეპუტატმა (მაშინ დეპუტატს ხმოსანი ერქვა) რევაზ გაბაშვილმა პატრიოტ ქალებს სიტყვაც შეაწია და მხარიც დაუჭირა. რევაზ გაბაშვილმა, (როგორც ჩანს, კარგად ინფორმირებული იყო), ვრცლად ისაუბრა ამ უცნაური პრობლემის შესახებ და ბოლოს მონადებაც კი გააკეთა – თუ მენშევიკური მთავრობა, რუსი კაბებით სავსე იმ ავადხსენებულ მატარებელს საქართველოდან არ გაიყვანს, ჩვენი გლეხეკაცობა სიტყბოს ისე მიეჩვევა, ხვალ რომ რუსები ჯარებს შემოყვანენ, ქართლელები წინააღმდეგობას ველარ გაუწევენ და ქართლელების გარეშე, დამოუკი-

დებლობის შენარჩუნება ძალიან გაგვიჭირდებაო. მსურველი ბევრი იყო (უმრავლესობიდან), მაგრამ ნოე უორდანიამ თვითონ უპასუხა რევაზ გაბაშვილს და იგი იყო კატეგორიული: ჯერ ეს ერთი, ლენინი ჩვენი მეგობარია, მეორეც – რუსები შეთანხმებას არ დაარღვევენ და მესამეც – ჩვენ ხომ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და მოსახლეობის პირად ცხოვრებაში, აბა, როგორ ჩავერევითო...

მოკლედ, მენშევიკურმა ხელისუფლებამ რუსეთიდან შემოგზავნილ სექსდივერსანტებს საქართველო არ დაატოვებინა და მაშინ კი ქართველმა ქალებმა (იმ წელს, ბერნარდო ბერტოლდური ჯერ დაბადებულიც რომ არ იყო), ფინლებით დახოცეს რუსი დედაკაცები და ასე დაიბრუნეს მოღალატე ქმრები. ქართლელი კაცი ცოლს თუ უღალატებს, თორემ სამშობლოსთვის როდის უღალატია და მათ, სხვა ქართველებთან ერთად, მონდომებით იბრძოლეს კიდეც, მაგრამ მაშინ რუსეთის არმია ისეთი ძალა იყო, რომელიც არა მხოლოდ აღმართს ხნავდა...

ამერიკელებმაც, საქართველოში შემოსვლა რომ გადაწყვიტეს, ჯერ ქალები გამოაგზავნეს და ალბათ ეს ილეთი (ჩვენი სისუსტეების გამოყენების მიზნით), რუსებისგან ისხავლეს.

(სხვათა შორის, ამერიკელებმა ჯერ ის ქართველი აგენტები გადაიბირეს, რომლებიც მანამდე რუსეთზე მუშაობდნენ და დასაწყისში ეს პოლიტიკა საკმაოდ უცნაურად მეჩვენებოდა. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი ამ უცნაურობის ლოგიკას — ალბათ გაცილებით იოლია იმ ადამიანების გადაბირება, ვინც უკვე (თუნდაც ერთხელ) იყვნენ აგენტები (და თუნდაც ისეთი ქვეყნის, როგორიც რუსეთია)...

შეიძლება ასეთი ქართველებისგან გაიგეს კიდეც, თუ როგორი იყო აქილევის ქართული ქუსლი ან თვითონ (მანამდეც) შეისწავლეს ქართველი კაცის სისუსტეები და ხასიათის თავისებურება.

ასე იყო თუ ისე, პირველად ქალები მოვიდნენ.

პირადად, პირველი ამერიკელიც, საქართველოში რომ გავიცანი, ქალი იყო და ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც მე მომადგა, მაგრამ რომ მომადგა ფაქტია და მეც მივადექი. შპიონი რომ იყო, არც ვიცოდი და მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი მქონდა, მაინც არ ვიმჩნევდი, რადგან რაც ჩემგან თავიდანვე სურდა, იმაზე ვერ დამითანხმებდა, როგორც არ უნდა მოენდომებინა და უბრალოდ ვხალისობდი. თუმცა ცეცხლთან ხალისობა რომ არ შეიძლება, აღარც მახსოვდა (ბავშვობის





შემდეგ) და ამ ხალისს კინალამ ვემსხვერპლე კიდეც. ბოლოს ისე გავმზარდი, რომ საქართველოში ჩამოსული ნებისმიერი ამერიკელი, შპიონი მეგონა და მათთან უბრალოდ კონტაქტსაც კი, შეშინებული გავურბოდი. ისეთი შიშები დამჩენდა, რომ სწორედ იმ პერიოდში, ერთ ღვთისნიერ ამერიკელ ქალს, რომელსაც (როგორც მერე გაირკვა), მართლა გულწრფელად სურდა საქართველოს დახმარება, უშინოდ ვესუმრე და ამერიკელებს კი (მოგეხსენებათ) იუმორის სპეციფიკური, ჩვენგან განსხვავებული გრძნობა აქვთ. როცა მეოთხედ მყითხა, რით დაგეხმაროთ, რა გაკლიათო (და მე ესეც ჩვეულებრივი შპიონი მეგონა), ვიფიქრე, დამეთხუება-თქო და გავეხუმრე - სახანძრო მანქანებში გვიჭირს და ამ მიმართულებით დაგვეხმარეთ-მეთქი. კი ბატონორ, – დამემშვიდობა და წავიდა.

რამდენიმე თვის შემდეგ დამირეკეს ფოთიდან, – თქვენს სახელზე ამერიკიდან სახანძრო მანქანა მოვიდა, პორტში დგას და წაიყვანეთო. ის ამერიკელი ქალი, რასაკვირველია, არც გამხსენებია და ვიფიქრე, რომ ფოთელები მასხრად მიგდებდნენ და რასაკვირველია, არ წავედი. ფოთის პორტის ადმინისტრაცია კი ისეთი დაშინებით ითხოვდა ამერიკული სახანძრო მანქანის წაყვანას, რომ თბილისელ მეხანძრებს ყველაფერი მოვუყევი და მათაც ციმ-ციმ, სიხარულისგან ხელში ატატებული ჩამოაბრძანეს დედაქალაქში უზარმაზა-

რი, გაპრიალებული ამერიკული სახანძრო მანქანა. მეხანძრებმა კი მლოცეს, მაგრამ საკუთარ თავზე ძალიან გავბრაზდი, რადგან იმ პატიოსან, ღვთისნიერ ამერიკელ ქალს მადლობაც კი არ ვუთხარი და თანაც ისეთი ნაძირალა ვარ, რომ საქართველოზე გულწრფელად შეყვარებული ასეთი ტკბილი ადამიანი, შპიონი მეგონა. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ უარი მეთქვა ეჭვანობაზე, აგენტების გამოვლენაზე და ერთხელ და საბოლოოდ დამეჯერებინა, რომ ამერიკელებს ქართველებისა და საქართველოს მიმართ ამოძრავებით მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური, პატიოსანი და მეგობრული მიზნები და სურვილები. ასეც მოვიქეცი: დავდიოდი ყველა წვეულებაზე, სადაც ამერიკელები მეპატიშებოდნენ თბილისში უკვე მრავლადგახსნილ ოფისებში და მიუხედავად იმისა, რომ ცხენივით ფეხზე დგომა და რაღაც სირების ჭამა პატარა სირტაკებით სულ არ მეხალისებოდა, მაინც მონდომებით ვულიმოდი ამერიკელებს და ჩემს თავსაც ვამხნევებდი, რომ ჩემი სამშობლოს კეთილდღეობისთვის ასეთი უმნიშვნელო მსხვერპლის გალება (ჩემი მხრიდან), უთუოდ ღირდა. თანაც, მე აღარ ვიყავი ეჭვიანი (ასე გადავწყვიტე) და სინანულსაც კი განვიცდიდი იმ აზრების გამო, რაც ამერიკელებთან დაკავშირებით მანამდე მანუხებდა. მაგრამ ვწვალობდი მარტო, რადგან ასეთი აღსარებით ვერცერთ მოძღვარს ვერ მივაკი-

თხავდი (აბა, რომელი ქართველი მღვდელი შემინდობდა ამ ცოდვას, რომელ ქართველ მღვდელს ვეტყოფი, – დამლოცე, მამაო, დღეიდან ამერიკელებს პატივი უნდა ვცე-მეთქი) და ამიტომაც დავრჩი მარტო, სრულიად მარტოდმარტო, საკუთარი სინანულის ამარა...

ჰოდა, ვარ ასე ეულად, საკუთარ დარდებში ჩაფლული და მირეკავს ვიღაც ქალი და მეუბნება – ამერიკელი უურნალისტი ვარ, თბილისში იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩევნი გაზე-თისთვის რამდენიმე ადამიანს ინტერვიუ უნდა ჩამოვართვა, მათ შორის თქვენც და როდის შევებდეთო. რადგან ამერიკელებთან შერცხვენილი ვიყავი, ხვალვე-მეთქი ვუთხარი და გაზეთის სახელი ვეითხე. რომ მითხვა, *Wall Street Journal*, - გაკვირვებისგან სხაპასხუპით დავვემშვიდობე და მეორე დღისთვის შეხვედრაზე შევუთანხმდი. ჩემი გაკვირვება კი, რა თქმა უნდა, ძალიან ბუნებრივი იყო და საფუძვლიანიც – მთელს მსოფლიოში ასეთი ცნობილი, მრავალმილიონიანი ტირაჟის მქონე გაზეთის დაინტერესება ჩემი უბადრუკი არსებით, მართლა გასაკვირი იყო და მეორე დღეს, სანამ საუბარს დავიწყებდი, იმ ამერიკელ ქალბატონს სწორედ ეს მოვახსენ. როგორ გეკადრებათო, ჩვენ გვანტერესებს, რას ფიქრობს ახალგაზრდა ქართველი მწერალი ყველაფერი იმის შესახებ, რასაც ახლა შეგვეკითხებითო. მე ვუთხარი (ნამდვილად, გულწრფელად) – ახალგაზრდა უკვე აღარ ვარ და მწერალი კი ჯერ არ გავმხდარვარ, მიუხედავად იმისა, რომ წიგნებს ვწერ-მეთქი, მაგრამ ჩათვალა, რომ თავმდაბლობის გამო ვლაყბობდი ამდენს და გამილიმა. მეც გავულიმე და გისმენთ-მეთქი, რადგან მწარე სახანძრო გამოცდილება გა-მახსენდა (ამერიკული დარდისა) და აღარ გავაგრძელე. მე კი გავჩერდი, მაგრამ მან დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო – ყველა-ფერი მკითხა, რაც შეიძლება ადამიანს ჰქითხო, თუ არ გეზარება და ბოლოს, 1924 წელს ბოლშევიკების მიერ დახვრეტი-ლი ბებიაჩემის შეყვარებულის ამბავიც რომ მომაყოლა, უკვე მართლა დალლილი ვიყავი. თვითონაც შემატყო, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი, თანაც უკვე ყველაფერი იცოდა ჩემს შე-სახებ და როგორც იქნა, დაამთავრა. სულ ბოლოს კი, ბარებ სურათებსაც გადაგიდებო, ფოტოაპარატი ამოილო, და-ანკაბუნა და ლიმილით დამეტშვიდობა. როდის იქნება-მეთქი. მალე იქნება, შეგატყობინებთო, - და ერთმანეთს ხელის ჩა-მორთმევით დავშორდით. წამოვედი დაღლილი, მაგრამ კმა-ყოფილი და ერთი კვირა ველოდი ამერიკელი უურნალისტის ზარს, თუმცა ამაოდ. ერთი კვირის თავზე ჩემს მეგობარს დავურეკე ამერიკაში და ვთხოვე, ყურადღებით ყოფილიყო – ამ დღებში, ამა და ამ გაზეთში ჩემთან ინტერვიუ უნდა იყოს, ის წომერი იყიდე და შემინახე-მეთქი. როგორ მოვძებნო შენი ინტერვიუ ამხელა გაზეთში, - გაიკვირვა. რა უნდა ჩემი ინტერვიუს მოძებნას, - მე უფრო მეტად გავიკვირვე. - გადაფურცლავ გაზეთს და სადაც ჩემს ფოტოს დაინახავ, ჩემი ინტერვიუც იქ იქნება-მეთქი. ფოტოც გადაგიღო? - კი-მეთქი. ტელეფონში ხმამაღლა გაეცინა - ეგ გაზეთი მთელს მსოფლიოში იმით არის ცნობილი, რომ ფოტოებს საერთოდ არ ბეჭდავენო.


როგორ-მეთქი? - ჭრელადო. აბა, ერთი გაიხსენე, როგორი ფოტოები გადაგიღო და რამდენიმ და მართლა გავიხსენე ის, რისთვისაც მაშინ არ მიმიქცევია ყურადღება და რამდენიმე წამი, უბრალოდ, ვდეუმდი. ჩემს მეგობარს კი (რომ აღარ მომეშვა), ტელეფონში ვუთხარი, როგორც იყო ყველაფერი და როცა ვყვებოდი, მახსოვს, როგორ დამისველდა შუბლი და ნიკაპი. მაშინ, როცა იმ ამერიკელმა ქალბატონმა



ფოტოპარატი ამოაძერინა ჩანთიდან, დააწეაპუნა და გადა-მიღო, მეორე ფოტოს გადაღებისას, ცოტა უხერხებულად კი მთხოვა, ახლა თავი გვერდზე მიაბრუნეო და მეც ისეთი ხა-ლისით მივაბრუნე პროფილისკენ, რომ მაშინ აზრადაც არ მომსვლია რაიმე მზაკვრობა მისი მხრიდან და მერე კი ზუს-ტად აღვიდგინე, რომ ზუსტად ორი ფოტო გადამიღო. მაშინ არც იმაზე მითიქირია, რაც ჩემმა მეგობარმა ტელეფონში მი-თხრა: - ალბათ ვერბოვებისთვის სჭირდებოდათ მონაცემები, მაგის შპიონი დედა მოვტყანო, - და ბოლოს მაინც იხუმრა, - ქუთასში ხიდი თუ ააშენესო? - და პასუხს აღარ დაელოდა, ისე დაკიდა...

რაც მერე დამჩერდა, იმას შიში აღარ ერქვა - სწორედ ისე ვიქცეოდი, როგორც უცხოეთში პირველად წასვლის წინ და-ვით საყვარელიძე დამოძღვრა მამამისმა, ბატონმა ივიერ სა-ყვარელიძემ: ვთქვათ, მიდიხარ ქუჩაში, ხედავ, შენსკენ მოდის უცხოელი, გადაჭერი ქუჩა და გადადი იქითა ტროტუარზე...

ჰოდა, მოვდიგარ ერთხელ პეროვსკაიაზე, ვხედავ მოდის აშკარად უცხოელი ქალი, ვხედავ, რომ აშკარად ლამაზია, მაგრამ ვაი და ამერიკელია! - გადავჭერი ქუჩა და გადა-ვედი მოპირდაპირ მხარეს, იქითა ტროტუარზე. გადავდგი რამდენიმე წაბიჯი და გავჩერდი. ვერ ვიტყვი, რომ გულის კარნახით გავჩერდი, რადგან ასეთ დროს სხეულის სულ სხვა ნაწილებს უფრო ეხერხებათ კარნახი, მაგრამ მაინც გავჩერ-



დი. მოვტრიალდი, მოვიხედე უკან - მიდის ზუსტად ისეთი თეთრი გოგო, ბებიაჩემი რომ ოცნებობდა, (ჩემთვის რომ უნდოდა ცოლად) და მგონი, არც არის ამერიკელი - ასეთი კარგი ტანი ამერიკაში იმდენად იშვიათობაა, რომ როგორც კი წააწყდებიან ვინმეს, მაშინვე პოლივუდში მიარბენინებები და პეროვსკაიაზე სასეირნოდ, ამერიკელი რომ ყოფილიყო, ვინ გამოუშვებდა. სეირნობდა თუ რაღაცას ან ვიღაცას ეძებდა, მაშინ ვერ მივხვდი და ამის გასარკვევად არც მივსულვარ, ვიდექი და უბრალოდ ვუყურებდი - საქმე არაფერი მქონდა, ცოლი უკვე სახლში მყავდა დაპინავებული და აბა, სადღა მეჩქარებოდა. ვიდექი და ვუყურებდი.

მეორედ რომ ვნახე ვენდი და გავიცანი, მაინც, ყოველი შემთხვევისთვის ვკითხე, ამერიკელი ხომ არა ხარ-მეთქი და ეტყობა ისეთი შეშინებული სახე მქონდა, რომ არც მიპასუხა, დიდი ბრიტანული პასპორტი ამოილო და გამომინოდა. პასპორტს სახელმწიფოს სახელი გარედანაც გარკვევით ეწერა, მაგრამ მაინც გადავშალე, გვარი მაინტერესებდა (მაინც, ყოველი შემთხვევისთვის) და უკან დავუბრუნე. ჩაის სმა რომ დავიწყეთ, მაშინ ვკითხე - საქართველოში რატომ ჩამოხვედო-მეთქი და უურნალისტი ვარო. უურნალისტის ხსენებაზე, ჩაის ჭიქაში შაქრის მორევისას ჩარჩენილი კოვზი თვალში ვიტაკე და სიმწრისა და შიშისაგან პეროვსკაიადან კოსტავამდე ვირ-

ბინე და მაინც, ყოველი შემთხვევისთვის გზაში სავარცხელი ისე გადავაგდე, უკან არ მომიხედავს. კოსტავადან სახლისკენ ტაქსით წავედი და მაკამ მხოლოდ დილით მითხრა, ძალიან ცუდი ფერი გაქვს, ლამითაც რაღაც გაუგებარ, უცნაურ სიტყვებს აპიდებდი და ექიმთან უნდა წაგიყვანო. ვგიუდები ექიმებზე, წამლებზე, საავადმყოფოების პიურეზე და სიხარულით წაყყენი. ექიმმა რომ მკითხა, რა გჭირსო, დამალვას აზრი არ ჰქონდა (ფაქტიურად, ჩიხში ვიყავი) და პირდაპირ ვუთხარი, ადრე ამერიკელი შპიონები დამდევდნენ, ახლა ინგლისელი აგენტი მომამაგრეს-მეთქი. რასაკვირველია, მაკას უფრო გაოცებული სახე ჰქონდა, ვიდრე იმ ექიმს და იმ ექიმს, მგონი, გაელიმა კიდეც, მაგრამ თამამად რომ დამამშვიდა, მახსოვს - ამ წამლებს დალევ დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგო და ხელი ჩამომართვა. უკანა გზაზე, მაკამ კი მკითხა - ვინ სად მოგიგზავნეს, რაებს ბოდავო, მაგრამ არაფერი მითქვა-მს. გულს ხომ არ ვატკენდი და ხომ არ ვეტყოდი, პირიქით იყო - ერთი ინგლისელი გოგო მომენტია და პეროვსკაიას დასაწყისში დავინახე და ქუჩის ბოლომდე მე ვდიე-მეთქი.

წამალმა მიშველა. სამჯერ დალევას ვერ ვახერხებდი, ძირითადად, ორჯერ მაჭმევდნენ დღეში და, შესაბამისად, ორ-ჯერ ვილებდი წამალსაც, მაგრამ მაინც მიშველა. ერთი თვის შემდეგ, როცა ვენდი მესამედ ვნახე, უკვე აღარ მეჩვენებო-

საბა დ საბა



Rosenthal



ALESSI

Rosenthal

Andy Warhol

roberto cavalli

და, რომ შპილი იყო; მითუმეტეს, რომ ჩემს მიმართ არანაირი დაინტერესება არ გამოუმჯდავნებია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ინტერესი საერთოდ არ ჰქონია. ჰქონდა ინტერესი სხვების მიმართ და რამდენჯერმე ერთ ახალგაზრდა ქართველ კაცთან ერთად შემხვდა კიდეც ეგრეთ წოდებულ თბილისურ ტუსოვკებზე, მაგრამ საქართველოში მაინც ვერ გათხოვდა. ალბათ იმიტომ, რომ ვენდი რომ ეძებდა, ისეთი კაცი ჩვენს ქვეყანაში არ აღმოჩნდა, ან ვინც მას შეუყვარდა, იმან უბრალოდ ჩაიჯვა, (როგორც ხდება ხოლმე კაცებში), მაგრამ არც იმათ გაემტყუნებათ, რადგან ვენდის მსგავსი ნონკონფორმისტი ქალი, პირადად, მართლა არ შემხვედრია და როგორც წესი, ასეთი ქალების ყველაზე გაბედულ კაცებსაც კი საკმაოდ ეშინიათ. თვითონ ვენდის კი, ყველაზე მეტად ეშინოდა საქართველოს დაკარგვის და თავისი „ნივით“ მთელს საქართველოში დაუსრულებლად დახეტიალობდა, რადგან მართლა ფიქრობდა, რომ ჩვენ დავკარგავდით მთავარს, რის გამოც მას უყვარდა ეს ქვეყანა და ეს ხალხი და მერე, როცა დავმეგობრდით, ხშირად იმეორებდა ამ ფრაზას – დარჩით ისეთები, როგორებიც ხართ, არ შეიცვალოთ და ბოლომდე შეინარჩუნეთ ის, რაც სხვებისგან გამოგარჩევთო... .

ალბათ ვენდი ხედავდა ისეთ საქართველოს, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ და როგორც ნიჭიერ უცხოელებს ჩვენს ქვეყანაში ხშირად ემართებათ, ვენდიც მწერალი გახდა. მწერალი გახდა აქ, საქართველოში, როგორც სხვები (დანარჩენები), ვინც აქ ჩამოვიდა ოცი, ან ათი, ან თუნდაც, ერთი საუკუნის წინ, მაგრამ ვენდიმ დაწერა საკმაოდ განსხვავებული წიგნი იმისგან, რასაც უცხოელმა ავტორებმა საქართველოს შესახებ შეგვაჩიერებული და ვფიქრობ, რომ ზემოთქმულის მთავარი მიზეზი მისი გულწრფელობა იყო. მას სურდა, რომ ჩვენც ისეთი გულწრფელები ვყოფილიყავით, როგორი გულწრფელიც თვითონ იყო. და მას უნდოდა, რომ ჩვენც შიშველი ვნებებით გვეცხვრა ბოლომდე, მანამდე, სანამ ეს ქვეყანა საერთოდ იარსებებდა ამ დაღლილ დედამინაზე და თვითონ იმდენად სძულდა ყველაფერი ზედმეტი (და ვინ იცის, კიდევ რამდენი მიზეზის გამო), ერთხელ სრულიად შიშველი გავიდა აივანზე და ეს ალბათ პროტესტიც იყო (როგორც მერე თვითონ მითხრა) და ალბათ მოწოდებაც, მაგრამ ვენდის მეზობლებმა ყველაფერი, რა თქმა უნდა, სხვაგვარად გაიგეს.

დამირეკა და მითხრა, – მოდი, მიშველე, ვიღაც ქართველი კაცები კარზე მიკაუნებენ და ვერ მაგებინებენ რა უნდათო. მივედი და ყოველ ოც წესში ერთხელ, ვიღაც უცნობი კაცები მართლა უკავუნებდნენ კარზე, მაგრამ ჩემს დანახვაზე რაღაც შეალედური, შეცდუნებასა და გაკვირვებას შორის, სახეებზე ხეატებოდათ და მიდიოდნენ. სალამოსკენ ამ დამუნჯებული კაცების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, მაგრამ ყოველი სტუმრის წასვლის შემდეგ, მართლა გულწრფელად ვეკითხებოდი ვინ არიან და რა უნდათ-მეთქი. რა უნდათ, არ ვიცი, მაგრამ მგონი ჩემი მეზობლები არიან და მხოლოდ საღამოს მითხრა, რომ დილით ადგა და როგორც ეძინა (დეტალები არ დაუზუსტებია), ასევე (შიშველ მდგომარეობაში) გავიდა აივანზე. შიგნით რომ შემოვედი, პირველივე მსურველმა მამინვე დააკაუნა, მაგრამ რა უნდოდა, ვერ გავიგეო. მერე მე მეითხა, – შენ ხომ არ იცი, რა უნდათ ამ კაცებსო. არა-მეთქი. მერე მხებები აიჩერა და მკითხა, შენ რა გინდაო. მე არაფერი მინდოდა ვენდისგან. უბრალოდ, მინდოდა მე-თქა, რომ ძალიან მიყვარდა.

– What you mean love? – ზუსტად ასე მკითხა და მე, რა თქმა უნდა, ვერ ავხსენი, რას ნიშნავდა სიყვარული და, უბრალოდ, ისევ გავუმეორე, რომ ის ძალიან მიყვარდა. კარგა ხანს ჩუ-მად იყო, მერე გაიხსენა, რომ ცოლი მყავდა, მაგრამ მე ავუხსენი, რომ ვენდი მიყვარდა, როგორც მეგობარი და ადამიანი. გაილიმა და მოკლედ მიპასუხა:

– Fuck you...

თავი იმით დავიმშვიდე, რომ არა მხოლოდ მე მაგინებდა – საერთოდ, კაცთა მოდგმას და შენი სურათი მაჩუქე-მეთქი, – ვთხოვე, მომცა ჯიბის კალენდარი, რომლის უკანა მხარეს იყო ჰაიბერის სტადიონზე გადალებული ფოტო – „არსენალის“ ორმოცი ათასი გულშემატკივარი ერთად, დასავლეთ ტრიბუნაზე. ფოტო იმდენად პატარა იყო, რომ ადამიანები მხოლოდ წერტილებად ჩანდნენ. შენ რომელი ხარ-მეთქი და რომელიღაც წერტილს თავისი ლამაზი თითო დაადო – აი, ეს მე ვარო. რა იცი-მეთქი და აბონემენტი მაქვს, მთელი ცხოველება ერთი და იგივე ადგილას ვზივარ, როგორ შემეშლებაო. სხვა სურათს ხომ არ მომცემ-მეთქი, – და არა მაქვსო.

სახლში რომ მივედი, დამირეკა, – დამავიწყდა მეთქვა, აფხაზეთში მივდივარ და რა ჩამოგიტანო. არ ვიცი-მეთქი.

– ყველაზე მეტად რა გენატრება?

– სუნი...

– რა სუნი?

– აფხაზეთის სუნი...

კარგიო და მეორე დღეს წავიდა. ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა, მგონი, უფრო ლამაზი, ვიდრე იყო და ქვა ჩა-მომიტანა – სოხუმიდან წამოგილე, ზღვის პირას ვიდექი და გამახსენდიო. ჩვეულებრივი ქვა იყო, მაგრამ სუნი მართლაც ისეთი ჰქონდა, როგორიც ბავშვობიდან მახსოვდა, როცა აფხაზეთში ჩავდიოდით ხოლმე და მერე ეს სუნი, თბილისში მესიზმრებოდა კიდეც, სანამ ისევ არ მოვიდოდა ზაფხული და სანამ ისევ არ შემოვარდებოდა მატარებლის ღია ფაჯრიდან აფხაზეთის ზღვა...

ფეხის წვერებზე ავინიე და ვენდის მადლობის ნიშნად ვაკოცე. მასაც აფხაზეთის სუნი ჰქონდა, ზუსტად ისეთი, როგორიც მხოლოდ აფხაზეთის ზღვას შეიძლება ჰქონდეს და მე ძალიან მომინდა ამ ზღვაში შესვლა და კიდევ ერთხელ ავინიე და ვაკოცე ვენდის, მერე კიდევ ერთხელ და როცა აფხაზეთის დაბრუნება უკვე ძალიან ახლოს იყო, მან მითხრა სწორედ ის, რასაც ჩვენ ერთმანეთს ვუმალავთ:

– აფხაზეთს მანამ ვერ დაიბრუნებთ, სანამ აფხაზეთი თქვენთვის მხოლოდ კურორტიაო. სამშობლოა-მეთქი. არაო, სამშობლომი დასასვენებლად არ დადიანო, – და ვეღარ გა-დავათქმევინე. გაბრაზდა ბავშვივით და წავიდა.

ჯერ ავდანეთში წავიდა, თითქმის ერთი წელი იქ იყო და წერტილებს არ მნერდა. არ მპასუხობდა შეკითხვაზე – ავდანეთში რას ეძებ-მეთქი და მერე ერაყში წავიდა. თავგადა-სავალს არ ეძებდა – ეძებდა რაღაც სხვას. მერე გათხოვდა, სხვებისგან გავიგე აქ, თბილისში და მივწერე – მილოცვა მინდოდა. არ მიპასუხა. მერე ერაყში ომი დაიწყო და ისიც კი ვიფიქრე – ალბათ ამერიკელებს, ერაყელ ქმართან ერთად, პარტიზანულად ებრძვის-მეთქი. აქ, საქართველოში რომ გათხოვილიყო, ალბათ რუსების წინააღმდეგ მიბრძოდა, ზუსტად არ ვიცი.

მენატრება ხოლმე,

აფხაზეთივით...



ამინო + Pro-V კომპლექსი



PANTENE PRO-V[®]

ძლიერი თმის დინიადი ელემენტი

I AMazing



თქვენი კოორდინატები დავკარგე! მერე აღმოჩნდა, რომ ყველამ შეიცვალეთ ელექტრონული ფოსტის მისამართები. რამენაირად მოგაწოდებთ ამ წერილს. იმედს ვიტოვებ, წყენამ გადაგიარათ. რა მოხდა?! პარიზში დავრჩი! მუშაობა დავიწყე სენის სანაპიროზე, 37№-ში, უოლტ უიტმანის შვილიშვილის წიგნების მაღაზიაში – Shakespeare And Company, ხომ გაგიგიათ? იცით რა ბიბლიოთეკა?!... ოდესმე თუ დავპრუნდები, ზუსტად ასეთ მაღაზიას გავხსნი. აქ ახალი რომანის წერა დავიწყე. ერთი კუთხეა, Mirror of Love, სადაც ყველა შემომსვლელი ტოვებს წერილს. ხოდა, ამ წერილებს ვაგროვებ, ტექსტებს სიტუაციებში უსვამ და მგონი, საინტერესო გამოდის. წიგნს აქ დავბეჭდავ. ბევრი მეგობარი შევიძინე: მსუქანი და საყვარელი სილვია, არიზონადან, იუნკა – პეტერბურგელი, შესანიშნავი გოგო. პირველი პერიოდი სწორედ მასთან ვცხოვრობდი, – ჩინურ კვარტალში. დილით ადრე ვიღვიძებდით,

ჟასმინის ჩაის უსვამდით და პირად ცხოვრებაზე ვსაუბრობდით. საღამოობით იუნკასთან მეგობრები მოდიოდნენ, რატომძაც ყველა სტუმარი ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა. ხოდა, რა ჯობდა მათთან საუბარს, თანამედროვე ტენდენციებზე, ღემბოზე, ბლესონზე და ბელნალ მაღი კოლტესზე?!

მოკლედ, სხვა დრო დადგა. მჯერა, თბილისში ფრანგულის მასწავლებლები მოსწავლეებს ზღაპრებს აღარ უყვებან: ვარ პარიზში, ძვირფას რესტორანში ვზიგარ. უეცრად მიმტანს დიდი ყვავილების თაიგული მოაქვს, – ეს თქვენ. თაიგულზე დაკრულ ბარათს კი ასეთი წარწერა აქვს: ერთადერთ ქალბატონს, რომელმაც არ შემიმჩნია, ალენ დელონი.

დღეს უვაე მეცინება იმაზე, რაც ადრე შოკში მაგდებდა: ფოსტაში მისულს, ჩემს პასპორტს დიდხანს რომ აკვირდებოდნენ ხოლმე; მერე თანამშრომლებს ეძახდნენ, ნახეთ,

spec-project: parizi - nansi - parizi

avtori: nestan kvi ni kaže

foto: davi T mesxi



ქართული პასპორტით. მერე ჩემს გვარს წარმოთქვამდნენ, ერთხელ კი არა, ბევრჯერ და სახეზე ღიმილი ეფინებოდათ. დღეს აღარ ვბრაზდები.

ამას წინათ, ჩემს საყვარელ პომპიდუს ცენტრში ფასპინდერის რეტროსპექტივა იყო. რა დამერთობდა, ერთმანეთის მიყოლებით გამოფენილ აფიშებს, ფოტოებს ფილმებიდან, ესკიზებს, კადრირებებს და ორ ეკრანზე გადაჭიმულ დოკუ-მენტურ ფილმს როცა ვნახავდი, ერთიდან მეორეში სხეულის ნელი რწევით რომ გადიოდა პანა შიგულა?! მოკლედ, იმ დღეს შოკირებული გამოვედი გარეთ და გამთბარ ქათქათა ქვაფე-ნილზე წამოვწექი. თავზე ვიღაც წამომადგა, ასანთი მთხოვა. მერე ჩამომიჯდა და გავიცანი. ეს მაროკოელი აბდილა იყო, ფრანგი არაბი, რომელმაც საერთოდ არ იცოდა ინგლისური (მე – ფრანგული), მაგრამ მაინც გავაგებინეთ ერთმანეთს ჩვენი სათქმელი, ღიმილით და უესტებით: სამი თვის შვილი მყავს, ცოლს მიმამ გამაშორა, არ უნდოდა ქრისტიანი რძალიო. მერე ჩემს ჯვარს მოკრა თვალი, თეთრი პერანგიდან რომ მოჩანდა. მაგარია, ხელით მანიშნა, – აი ასე, ცერა თითს რომ ანევენ ზევით.

ეჲ, აბდილა, აბდილა! რა ვუყოთ ამ კონფლიქტებს, რო-გორ დავძლიოთ? მერე წავიდა. მისი ტრიუკების დრო დადგა.

პომპიდუს წინ, მაყურებელს ართობს, დახტის და ოხუნჯობს. აბდილა ჩემი მეგობარი გახდა. კვირაში ორჯერ ვხვდებოდი და, ჩვეული ენით, ახალ ამბებს ვუთხრობდი.

იცით, რა განსხვავებული გრძნობაა, როცა ტურისტი აღარ ხარ?! როცა ზუსტად იცი, რომელი ქუჩით ჯობია შინ დაბრუნება, სად იყიდება საუკეთესო წაყინი და ვინ ლიდერობს „როლიკებით“ შეჯიბრში.

იმ დღეს გოგი ძოძუაშვილს და წინ ჩუბინიშვილს უნდა შევხვედროდი. ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ აღარც ველო-დი, მაგრამ მაინც მოვიდნენ. ჯერ მეტროს შევაფარეთ თავი. წინო, ჩვეულებისამებრ, ლამაზი იყო, ფოტოგადაღებიც შედგა და გოგისაც გავესაუბრე. გოგი ის პოსტინდუსტრიული ბიჭია, რომელმაც ელექტრონული მუსიკის კეთება მაშინ დაინყო, საქართველოში ენერგოკრიზისის ხანა რომ იდგა. შესაძლოა, ეს ჩემზე უკეთ იცით, მაგრამ მომხიბვლელი გა-რეგნობის მქონე თავშეკავებული მოსაუბრე, მაინც თავიდან მიამბობდა ყველაფერს.

„ზვიადის დროს, ზემელზე, ყურებთან გამყოფი პუნქტი იყო; ერთ მხარეს გამსახურდიას მომხრეები, მეორე მხა-რეს – ოპოზიცია. სხვა ჯგუფებთან ერთად, შემრიგებლუ-რი კონცერტის ჩატარება გადავწყვიტეთ. შუაში გავმაგრ-



დით, ტრანსპარანტები დავხატეთ: არ გვინდა ომი! მთელი დღე ვაწყობდით სცენას. როცა ყველაფერი გავამზადეთ და კონცერტის გახსნას ვიწყებდით, უცნობები მოვიდნენ – ხუთ წუთში აქედან გაქრითო. კონცერტის ჩატარების უფლება არ მოგვცეს.

1994-ში, ჯგუფთან ერთად, მოსკოვში გავემგზავრე. რა-მდენიმე თვე იქ ვცხოვრობდი, კლუბებში ვუკრავდით...

სულ ახლახანს, გოგი ტურნედან დაბრუნდა. საგაზაფხულო „ელექტრონები“ პორტუგალიასა და ესპანეთში: „პორტუგალიაში მიწვევით ვიყავით მე, ტუსია ბერიძე და თომას ბრიემანი. ერთად ვუკრავდით. კონცერტები გვქონდა ლისაბონში და პორტუში, მერე ესპანეთში – ვიგოში, მანამდე იყო დიუსელდორფი. კონცერტები კლუბებში, დამის კაფე-კლუბებში ტარდებოდა. ლისაბონში დიდი გამოფენის გახსნაზე დავუკარით. ამ ქვეყნებში პირველად ვიყავი. მაყურებელთან ენერგიის გაცვლა ყველაზე კარგად ამ ხერხით შედგა, – როცა სცენაზე დგახარ და დარბაზში თავმოყრილ მაყურებელს სახეზე აწერია, რომ ზუსტად ამის მოსასმენად არის მოსული“.

მეც ამის მოსმენა მინდოდა 33 წლის მუსიკოსისაგან, რო-მელსაც რთული პერიოდისას, არაერთხელ უფიქრია – მორ-

ჩა, აღარ გავაკეთებ მუსიკას, მაგრამ ის მაინც რჩება იქ, რაც ახლა უკვე მისი ცხოვრების ნაწილია: „ის არსებობს თავის-თვის, ჩემში... 13 წლის შემდეგ, სულ ასეა.“

მწეველების ვაგონს მიბმული არამნეველების ვაგონი, და ისევ მწეველების... და, ასე უსასრულოდ, მატარებელი აღმო-სავლეთ საფრანგეთის მიმართულებით მიქრის. ქალაქი ნან-სი. სამსახურეობრივი მივლინება ფოტოგრაფთან ერთად.

გაზღაპრებული გზა, ტბებით გარშემორტყმული აღმო-სავლეთ საფრანგეთის აგარაკები, მწვანე მოლები და საუ-ცხოველ აყვავებული რალაც ყვითელი, დიდი სასაფლაოები... და ამინდი, ერთდროულად ყველაფრის მომგვრელი: სახლშიც მინდა და ამ ქალაქშიც... ყავაც და სიგარეტიც. ორი ბიჭი მომწონს ერთდროულად... სადგურზე ბიჭი გოგოს ეხვევა. რა მაგარია! ჩემს გვერდით მჯდომის ლეპტოპში პორნოფოტოებს ვხედავ.

ჩვენი სასტუმრო სადგურთან ახლოს ყოფილა. გვიანია, სა-დღაც 22:00. ისე ვიძინებ, წარმოდგენაც არ მაქს, როგორ ქალაქში ჩამოვედი.

დილაა. ფოტოგრაფი ჩემს ნომერში შემოდის, ფანჯარას-თან დგება, და მოულოდნელად კივილით იხევს უკან: – ვაიმე! გოთიკა!



მახსოვს, ვენიდან დაბრუნებული ანა კორძაია-სამადაშვილი ფოტოგრაფზე მეუბნებოდა, ბავშვს გოთიკის ფოპია აქვს, ისე, რო იცოდეო.

არა უშავს, თავისი ნომრიდან სულ სხვა ლანდშაფტი იჭრება – ძველი ზღაპრის ილუსტრაცია.

მოკლედ, წარმოიდგინეთ, ტიპური ფრანგული ქალაქი: კუთხის კაფეებით, ქოთნის ყვავილებით. დინჯი ტემპი და ნაოჭები. ამ ქალაქში არის მოოქროვილ გალავნებში ჩასმული, თეთრი ქვაფენილით განყობილი სტანისლასის მოედანი, საიდანაც გზა ხუთი მიმართულებით მიდის. ყველაზე ხმირად *Pepiniere*-ის პარკში ვსეირნობდით. ღია კაფეებიდან თვალისმომჭრელი, მშრალ ყინულებში გარეული მანგოს, ჟოლოს და ლიმონის წვერი მოჩანდა.

ეკლესიებში წირვები, მთავარ მოედანზე კი – ქორალის ფესტივალი. ხალხი მორწმუნება და, შესაბამისად, მშვიდი. მოკლედ, კარგი ფრანგული პროვინცია. ორი უნივერსიტეტია და ამიტომ ბევრი სტუდენტი ცხოვრობს. უამრავი დასი. ამდენივე მუსიკალური ფესტივალი. აქ გამუდმებით რაღაც ხდება.

ნანსი ხელოვნების დიდ ტრადიციებს აგრძელებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში, ეს *Art nouveau* ერთ-ერთი დედაქალა-

ქი იყო. აქაური ოპერა საფრანგეთის კულტურის ნაწილია.

ასე რომ, მუზეუმური განცდით დალლილებს, მთელი დღის მანძილზე კულტურულ წარმოდგენებზე დასწრება გვიწევს, – მივლინებაა ასეთი, წიგნების მაღაზია გაზეთს უშვებს და რეპორტაჟზე მოგვავლინეს.

მეორე დილით ქალაქს ციკლონი დაატყდა. ჩემოდნებში მხოლოდ ფრანგული მაისის ადექვატური სამოსი გვიწყვია. რა ვქნათ? ქურთუკების შეძენა მოგვიწევს.

ფოტოგრაფი ისევ ჩემი ნომრის ფანჯარასთან დგას. ქარიშხალს გასცექრის და ამბობს, – მოდი, ძალები დავიჭიროთ, კუდებით ერთმანეთს გადავაბათ და ჩავიცვათ.

– კრუელა! გამოდი ფანჯრიდან, საუზმეზე ჩავდივართ.

ზანგის მიმტანს მყერდთან დამაგრებულ წარნერაზე ვაშტერდები. არ არსებობს. ნენე?!?!? გამხიარულებული ფოტოგრაფი მიმტანს იხმობს და ეუბნება, რომ მეც ნენე მქვია.

– Really??? Where are you from?

– From Georgia, and you?

– I am from Senegal. — მპასუხობს საოცრად გახარებული.

გულს კი რაღაც სევდისმაგვარი ეფება – ორი გაჭირვებული ქვეყნის ნენების შეხვედრა.

სინემა „კამეოდან“ – „მანუფაქტურის“ თეატრამდე, რე-

გიონული კონსერვატორიდან – სასტუმრო „პარკ ინწ“-ამდე. ყოველდღე ამ მარშრუტს გავდივართ და დაქანცულები, უსიზ-მროვდ ვიძინებთ.

სხვა არაფერი, ვერთობი სასიამოვნოდ, მაგრამ არა ისე, როგორც ადრე. მე გავიზიარდე და სულ სხვანაირად ვცხოვრობ. თქვენსკენ რა ამბებია? ამბობენ, ახალი „სტაფი“ ჰყავთო.

ისევ პარიზში ვპრუნდები. სამსახურში მასალები მიმაქვს და რომანზე მუშაობას ვაგრძელებ.

ალბათ არც გაინტერესებთ, რასაც გწერთ. ჯერ არც გადამიწყვეტია, გამოვაგზავნი თუ არა ამ ტექსტს, მაგრამ მაინც... მაგრამ მაინც...

შარლ დე გოლი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი წუნუნებდა, შეუძლებელი მართო ქვეყანა, რომელიც 246 სახეობის ყველს ანარმოებსო.

იცით, რას გეტყვით, ძვირფასო შარლ?!...

P.S.


იმ დღეს პარიზის გარეუბანში ტერაქტი მოხდა, ლამის კლუბში ნაღმი აფეთქდა. ყველა გადარჩა. საინფორმაციო გამოშვებაში ეჭვმიტანილი ამოვიცანი. ეს ჩემი მეგობარი აბდილა იყო.

ხომ ხედავთ, რაები ხდება. ამის მერეც არ შემირიგდებით?

I am amazing...Still...

თქვენი ნენე
პარიზი
2005





„მსოფლიოს კარიბში - ამსტერდამის სკიპორლის აეროპორტი“

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება
ევროპის უმარტივეს აეროპორტში.
KLM-ისთვის სკიპორლის
აეროპორტი ეცემტურად მომუშავე,
კარგად თრგანიზებული და
მომხმარებელები თრიენტირებული
ცენტრია. სკიპორლი ცნობილია
როგორც ევროპის საუკეთესო
აეროპორტი, იგი იძლევა სწრაფი
და მარტივი გადაჯდომის
საშუალებას. რაცომ? მარტივად
რომ ვთქვათ, სკიპორლში არ არის
ტერმინალები და მგზავრებს არ
სჭირდებათ რაიმე სპეციალური
ცრანსპორტის გამოყენება, რომ
ერთი თვითმფრინავიდან მეორეში
გადაჯდნენ. სკიპორლი ასევე
ცნობილია მაღაბიერით და საფაჭრო
ცენტრებით. თითქმის
ყოველწლიურად მას აღიარებენ
საუკეთესო აეროპორტად
მსოფლიოში.



KLM
Royal Dutch Airlines

central uri evr opis aRmosavl ur i pasaJi

nansi s Teatral uri festival i `pasaJi ~

დაინგრა კომუნალური ბინები და მასთან ერთად, დაინგრა რაღაც ძალიან დიდი. მერე, ყველას „ენატრებოდა“ კომუნალური სითბო, მაგრამ იქ დაბრუნება არავის სურდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ძვირად უჯდებოდათ საკუთარი გზების გაკვლევა, რეინის ფარდა უკვე ჩამოხსნილი იყო, მოძრაობა კი – კლიმებისაგან გათავისუფლებული.

რადიო თავისუფალ ქვეყნებზე ალაპარაკდა. ევროპა ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ პროცესს. საპოლოოდ მოხდა ისე, რომ ეს ქვეყნები გადარჩნენ, შექმნეს პრეცედენტები და, რაც მთავარია, ყურადღება მიიპყრეს.

ფესტივალი „პასაჟი“, რომელიც მაისში საფრანგეთის მდიდარ პროვინციაში იმართება, სწორედ აღმოსავლეთ ევროპაზე აკეთებს აქცენტს. ეს არის ქალაქ ნანსიში 60-იანი წლების ტრადიციის აღდგენა, სადაც მაშინდელი კულტურის მინისტრის, ჟაკ ლანგის მიერ ორგანიზებული ყველაზე პოპულარული ფესტივალი, მთელი მსოფლიოდან იწვევდა თეატრებს. 80-იან წლებში დაფინანსებისა და ორგანიზების შეფერხების მიზეზით, ფესტივალის პომპეზურობა ჩაცხრა.

1996 წელს თეატრ „მანუფაქტურის“ დირექტორად დაინიშნა შარლ ტოჯმანი, რომელმაც ფესტივალის აღდგენა გადაწყვიტა:

შარლ ტოჯმანი (ფესტივალის პრეზიდენტი): „პირველ რიგში, მსურდა, ნანსის საერთაშორისო ფესტივალის ტრადიცია აღმედგინა. ამასთანავე, მე კომუნისტი და, შესაბამისად, კომუნიზმის თაყვანისმცემელი გახლდით. ვნანობ თუ არა, ეს ასე იყო. ამას აღმოსავლეთის უსაზღვრო სიყვარული ემატებოდა. მართლაც მჯეროდა, რომ მზე იქედან ამოდის. ამიტომაც, პირველად მაიაკოვსკის „ბავშვი“ დავდგი სცენაზე. პოეზია აღმოსავლეთ ევროპელის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ლენინის ძეგლები ინგრეოდა და პრესა ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნების შესახებ წერდა,

ავტორი: ნესტან კვინიკაძე ფოტო: დავით მესხი

ჩემთვის ინტერესის საგანი პოლიტიკა არ გამხდარა; მსურდა, ეს ქვეყნები გამეცნო, მომენტია და მათთვის საშუალება მიმეცა, რომ საექტაკლები თავიანთ ენაზე წარმოედგინათ, – იქნებოდა ეს პოლონური, ქართული, სომხური თუ სხვა. მსურდა, რომ აქაურებს ენახათ. მათ კი ფაშისტებისთვის და ინტეგრაციის მომხრეთავის დაემტკიცებინათ – „აი, აქაც გრძელდება ცხოვრება! გადარჩნენ ადამიანები!“

პირველ წელინადს „პასაჟი“ ბულგარელებს, სომხებს და რუსებს მასპინძლობდა. ძალიან მალე კი, იმ თეატრებისა და სპექტაკლების მოწვევაზე გადავედით, რომლებიც საფრანგეთისთვის ახალი და ძალიან უცხო იქნებოდა. დიდ ქალაქებს პროვინციები დაემატა და ბოლოს იაკუტიამდე მივიღნენ.

შარლ ტოჯმანმა ჩვენთან საუბრისას განაცხად: „მეგონა, რომ 1996 წელს ახალ მაიაკოვსკებს აღმოვაჩენდი. ეს ასე არ მოხდა მაშინ, მაგრამ წელს ისინი ჩვენთან არიან: ვიცი, მათ სამყაროს შეცვლა სურთ.“

2003 წელს გადაწყდა: ფესტივალი ორ წელიწადში ერთხელ, აუცილებლად მაისში ჩატარდებოდა.,

ოლგა ტკაჩენკო (ფესტივალის ორგანიზატორი): „მაისში თეატრალური სეზონი მთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „პასაჟის“ ფესტივალზე მაყურებელი, აქ წარმოდგენილ სპექტაკლებზე საგანგებოდ დასასწრებად, მიზანმიმართულად მოდის. ისინი სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიან. 1996 წელს 2500 მაყურებელი იყო, 2003-ში – 15 000. წელს ვიმედოვნებთ, რომ ეს ციფრი ოცი ათასამდე გაიზრდება“. წარმოდგენები ერთდროულად ქალაქის სხვადასხვა თეატრში და ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს, რასაც თან ახლავს ცენტრალურ „სტანისლასის“ მოედანზე გამართული ქორალის ფესტივალი, და ასევე, ფილმების ჩვენება კინოთეატრებში. ცენტრალური ევროპის აღმოსავლური პასაჟი ერთგვარ თანადგომადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ, როცა გამოცდილი







ENTER:

და საკუთარი ნაოჭებით ამაყი ევროპა, დახმარების ხელს უწვდის ქვეყნებს, რომლებიც მცირე ბიუჯეტით სცენაზე დღესასწაულებს აწყობენ.

შარლ ტოჯმანი: „პირადად მე, ყველაზე მეტად მაოცებს ის, რომ ჩვენს მიერ მოწვეული თეატრები სპექტაკლებს მიზერული თანხებით აკეთებენ. ეს მათი ცხოვრებაა და ამ ცხოვრებას გასაოცარი ხელოვნებით აჩვენებენ. ჩვენგან განსხვავებით, მათ ამისთვის ფული არ აქვთ. აი, მაგალითად, წლევანდელი უზბეკი სტუმრები. მათ არაფერი აქვთ და მაქმანებით მორთული, ზღაპრული და ფანტასტიური სანახაობა გვიჩვენეს. ეს ძალიან ამაღლებებელია.

მახსოვეს, როდესაც თბილისში ვიყავი, 5-6 წლის წინ, ერთ-ერთ ოჯახში ვახშამზე დამპატიუეს; მითხრეს, მომლერლები იქნებიანო. მე ის სამი ქალბატონი არასოდეს დამავიწყდება. მივხვდი, რომ ამ ადამიანებს გონებიდან კი არა, გულიდან მოდით ყველაფერი. აი, რა მაინტერესებს. ამას ეძებს ფესტივალი „პასაჟიც“.

წინა ფესტივალებს არ დავსწრებივარ და, შესაბამისად, ვერ ვიტყვი, როთ იყო გამორჩეული 2005 წლის ნანსი. თუმცა, როგორც იტყვიან, „ყველაფერი ალტერნატიული – კარგად დამახსოვრებული კლასიკათ“ (ნ.კ.), და მეც განვაცხადებ: განსაკუთრებული იყო იმით, რომ ჩვენ ვესწრებოდით! განსაკუთრებული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ ვუდსტოკზე ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ფესტივალზე მოწვეული რამდენიმე დასი, მუსიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი და ურნალისტი – ყველა ერთ სასტუმროში ცხოვრობდა და ყოველდღე ვეებერთელა, თეთრი „პასაჟის“ კარავში 14:00-ზე სადილად შეკრებილები, ფრანგული ღვინით მოხასიათებულები, მზერას ვცვლიდით, ერთმანეთს პროფესიულ კომპლიმენტებს ვეუძნებოდით. თან, ერთმანეთს ენაზე წარმოვთქვამდით, – სან „გამარჯვობის“ შესატყვისს, სანაც „მე შენ მიყვარხარ“; ვყვებოდით, ვინ როდის დააღნია თავი დამპყრობელს და ამჟამად სად როგორი ვითარებაა. მოგვწონდა ერთმანეთის გვარების ჟღერადობა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს ვცვლიდით. მერე ვჩეკარობდით, რომ სპექტაკლებზე არ დაგვეგვიანა.



al fonso van vorder i s xel naweri

Teatri mogzaur obis saagento

პოზნანი

(პოლონეთი)

ამ ადგილს ნანსიში ელისეს მინდვრებს ადარებენ. მყუდრო ხეივანი ცენტრალური პარკის თეთრ ქვაფენილიან მოედანს მთავრობის სახლთან აერთებს. აქ დილიდან ხალხმრავლობა იყო, აწყობდნენ დეკორაციას და ასწორებდნენ ხმას. შებინდებისას განათებაც მზად იყო და თეატრი-ბიურო “პოდროზი” სანახაობრივი წარმოდგენისთვის მოემზადა.

ცნობილი პოლონენი მწერლის, იან პოტოცკის რომანის, “სარგოსაში ნაპოვნი ხელნაწერის” მიხედვით დაწერილი ტექსტი, 1797 წელს ვალონის გვარდიის კაპიტნის, ალფონსო ვან ვორდენის თავგადასავალს აღწერს. მადრიდში გამგზავრებუ-

ლი კაპიტანი გზიდან გადაუსვევს და სწორედ აქედან იწყება ფათერაკებით აღსავსე გზა: მეფის ასულების სასახლე, ჯადოსნური ტაროს კარტი, და კაპიტანი საბოლოოდ ხაფანგში გაებმება.

რეჟისორი პაველ უკოტაკი, დიდებისა და პატარებისთვის განკუთვნილ სპექტაკლში, სხვადასხვა ეფექტს იყენებს: ცეცხლი, მარიონეტები, მუსიკა. ეს ყველაფერი კი იმისთვისაა, რომ მძაფრად აისახოს ისეთი ადამიანების აღმავლობა და ტრაგიკული აღსასრული, როგორებიც იყვნენ ჯორდანო ბრუნო, დანიელ ჰარმსი, ან თუნდაც, ქრისტე.



ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା ଓ ପ୍ରକଟନା

ଶାତ୍ରା ରାଜ୍ୟର ପରିବର୍ତ୍ତନ

B A T M A N B E G I N S

ମୟୋଡ଼ିଆ ଅର୍ଥବିଦୀ

ଲାଇଚନ୍ସ୍ ଏବଂ ରାଜ୍ୟର ପରିବର୍ତ୍ତନ
ରେଜିସ୍ଟ୍ରେସନ୍ ଏବଂ କାନ୍ଟର୍ସନ୍ ଏବଂ କାନ୍ଟର୍ସନ୍ ଏବଂ କାନ୍ଟର୍ସନ୍



SEPTEMBER.DOC

soci al ur i eqsperimenti

მოსკოვი

(რუსეთი)

მიხაილ უგაროვი(რეჟისორი):

„ცენზურა განახორციელეს იმ ფორმით, რომ კულტურის სამინისტრომ დაფინანსებაზე უარი განაცხადა – ამ სპექტაკლისთვის ფულს არ მოგცემთ!

თუმცა სხვა გზებით გრანტი მაინც ვიშოვეთ. არ მეშინოდა, უბრალოდ, სხვა სირთულის წინაშე ვიდექი. ყველა მსახიობს თავისი ინდივიდუალური მოსაზრება აქვს, ყველა ადამიანს თავისებურა შეხედულება აქვს. ვთქვათ, პატრიოტია და თვლის, რომ ყველა არარუსი უნდა დაიხოცოს, ან პირიქით, – ვიღაც თვლის, რომ ჩეჩენებს რუსეთმა საბოლოოდ თავი უნდა დაანებოს და ა.შ. ამ სპექტაკლის კეთება პატარა სოციალური ექსპერიმენტი იყო. მსახიობებმა საკუთარი მოსაზრებები გვერდზე გადადეს იმისთვის, რომ მთავარი სათქმელი გამოკვეთილიყო. წარმოიდგინეთ, რა საინტერესოა, როცა მსახიობი, რომელიც ვერ იტანს ჩეჩენებს, უეცრად სცენაზე რადიკალურად განსხვავებულ კონცეფციას აყალიბებს, ამას

ბოლომდე განიცდის; ან პირიქით, როცა მსახიობი ამ პრობლემის მიმართ ლოიალურია, სცენაზე კი სასტიკი ტექსტის წარმოთქმა უწევს.“


თემა მძიმეა და, როგორც თვით რეჟისორმა აღნიშნა, რუსეთში არ არსებობს ამის გამოცდილება. მათ არ იციან, ტაში დაუკრან თუ არა, რადგან ეს საშინელი ამბავია! აქ ხალხი რეალურად დაიღუპა. დასი დაადანაშაულეს, თითქოს მათ პატრიოტული პოზიცია არ აქვთ და ჩეჩენების მხარეს არიან. მიხაილ უგაროვი:

„არადა, შევეცადეთ, ორივე მხარე გვეჩვენებინა, შუაში დავმდგარიყავით და მაყურებლისთვის საშუალება მიგვეცა, რომ მოესმინა ის პარანოია, რაც საზოგადოებაში არსებობს. მაყურებელი სცენაზე საკუთარ თავს ცნობს და ეს არ მისაწონს. რეაქცია სხვადასხვანაირია. გროზნოში რომ წავილოთ, იქ კიდევ განსხვავებული შეფასება ექნება“.


გალუაზი
თავისუფლება მუდან

GAULOISES
LIBERTÉ TOUJOURS

აადეაცვის სამინისტრო გაფრთხილებაზე:
მოწვევა მავნეების თქვენი ჯამრთალობისათვის.
კასიური მოწვევა საშიშია ჯამრთალობისათვის.



099-999-999



zeci ur i cekvebi

eqspresti ul i metamorfozebi s zRapari

კარში

(უზბეკეთი)

მეთოთხმეტე საუკენეში ირანის შაპს ჩინეთის პრინცესა შეუყვარდა. შეუყვარდა თავდავიწყებით და თქვა: ყველა-ფერს გავიღებ, ოლონდ პრინცესა მომიყვანეთო!

ამ სიუჟეტზე ბევრი დაინერა. უზბეკმა რეჟისორმა ოვლიაკული კოჯიაკულიევმა კი არშერ ნავოის ვერსიის („შვიდი პლანეტა“) მხოლოდ ერთი ნანილი წარმოადგინა: როდესაც უფრონდ შეყვარებული შაპი ზესიყვარულის მოპოვების შესაძლებლობას დაიჯერებს და სახელმწიფოს წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას დაივიწყებს. იგი მრჩევლებს ყურს

არ უგდებს. საბოლოოდ, შაპი მიხვდება, რომ ზესიყვარული მხოლოდ ლმერთია, და საკუთარი თავის დასჯას გადაწყვეტს: მისი ბრძანებით პრინცესას თავს მოკვეთენ.



სასტიკი ზლაპრი, მარია სოშინას ფანტასტიური მხატვრული გაფორმებით, სადაც იგი, ფაქტობრივად, თანავტორად გვევლინება, საუცხოო სანახაობას ქმნის. ევროპული თეატრალური სკოლის გააზრებით, ტრადიციული რითმების და სუფისტური ცეკვებისგან შექმნილი ამბის პარალელურად, ექსპრესიული მეტამორფოზების ხელოვნებაც აღდგენილია.



კარშიში მცხოვრები დასი, რომელსაც აშაბადში, ტაშენტში, ბიშეკში, ლოვში, კიევში, მოსკოვში, ასევე საერთაშორისო ფესტივალებზე – პოლონეთში, გერმანიასა და იტალიაში ჩატარებული აქვს გასტროლები, ყველგან მაყურებლის ერთგვაროვან რეაქციას – გაოგნებას ხვდებოდა: მაქმანებით მორთული სცენით და მსახიობებით გაცოცხლებული ზღაპარი, სადაც შაჰის ბრძანებით, ქვეშევრდომები სიკვდილა მდე ცეკვავენ; სადაც ასეთი სიზუსტით არის ნაგრძნობი ფაქტურები; სადაც ცდილობენ, რომ ადგილობრივი კოლორიტი არ დაიკარგოს.

თავშეკავებული მოსაუბრის, 46 წლის უზბეკი რეჟისორის მომავალი სპექტაკლი, იმავე ავტორის, არშერ ნავოის და, ასევე, სპარსი მწერლის, ატორის შეერთებული ტექსტების მიხედვით დაიდგმება.

ოვლიაკული კოჯიაკულიევი: “მათაც აქვთ დაწერილი ღმერთის სიყვარულზე. მსახიობებს სხვადასხვა ქვეყნიდან – ირანიდან, ტაჯიკეთიდან, ავღანეთიდან და უზბეკეთიდან მოვიწვევ და ერთად დავდგამთ.“



aRSfOTebuli tati ana

Tanamedro ove teqsti

(ლაშა ბულაძის მიხედვით, რეჟ. მიხაილ უგაროვი. მოსკოვი)



ქართული სივრცისთვის საუკეთესოდ ნაცნობი ტექსტები, რომლებიც არა მხოლოდ თეატრალურ დარბაზებში, არამედ ფესტივალ „მზიურის“ ღიტერატურულ საღამოებზეც უხვად მოგვისმენია, ამჯერად თეატრ „მანუფაქტურში“ რუსული ინსცენირებით გათამაშდა. ირაკლი ჩარკვანის გამომწვევი სიმღერებით გაფორმებული დადგმა, ერთდროულად დასის ყველა წევრისთვის ძვრიფასი. ყოველ შემთხვევაში, გამუღავნებული იყო სიყვარული არა მხოლოდ როლების, არამედ თვით დრამატურგის და საქართველოს მიმართ.

მაია მამალაძის შესანიშნავი თარგმანის წყალობით, პიესებმა ლოკალური სივრცე გაარღვიეს და ერთი შეხედვით ტრადიციული და ნაციონალური ამბები, კოსმოპოლიტური პრიზ-

მით მოიტანეს. ისინი თამაშობდნენ ოთარს, ნოდარს და გულიკოს, მაგრამ ფრანგი მაყურებლისთვის მაინც ნაცნობი და გასაგები იყო სათქმელი.

კითხვაზე, რატომ ლაშა ბულაძე? – რეჟისორი პასუხობს, რომ, პირველ რიგში, ტექსტია შესანიშნავი და მეორე: „ორი წლის წინ, რუსეთში საერთოდ არ არსებობდა ისეთი დრამატურგია, სადაც შეიტყობდი, რომ ამ ქვეყნაში ომია. უეცრად, ვკითხულობ ლაშა ბულაძის პიესებს, სადაც დრამატურგი თავისი ქვეყნის ომის ფონზე ავითარებს მოქმედებას. მოკლედ, გადავწყვიტე, თუ არ არის რუსული დრამატურგია, არის ქართული და მუშაობა დავიწყეთ“.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, თეატრალური ატმოსფერო რა-



დიკალურად შეიცვალა. აქამდე ძალიან მოსაწყენი სიტუაცია იყო, დაუსრულებლად იდგმებოდა ჩეხოვი. ბოლო წლებში გაჩნდა ფესტივალი „ახალი დრამა“, რომელმაც ახალგაზრდა დრამატურგებს მოუყარა თავი და რეალობამ აქ უკვე გამოურნა. მოსკოვში თანამედროვე ავტორების დადგმა ძალიან მოდურია. იკვეთება უახლესი ტენდენციები. ძლიერი დრამატურგია გამოიყეთა ეკატერინბურგში, ტოლიატისა და პეტერბურგში. ახალგაზრდა რეჟისორების ახალი გენერაცია გაჩნდა. მათ თანამედროვე ტექსტების მოთხოვნილება აქვთ, – ეს ნორმალური და დროის ადექვატურია. როგორც მიხაილ უგაროვამა მითხრა, ახლა თანამედროვე უკრაინელ ავტორზე მუშაობს: “უცნაურად გამომდის, თი-

თეოს პოსტსაბჭოთა ქვეყნების სპეციალისტი ვიყო. არ ვიცი, რატომ ხდება ასე?! ალბათ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში დავიბადე და იმპერიული ცნობიერება მქონდა; აგრესია კი არა, უბრალოდ, როგორც ყველა, ვერც მე ვხვდებოდი, რით განსხვავდება ქართველი სომეხისაგან. დღეს უკვე ვიცი. ნაგრძობი მაქვს და ამიტომაც განვიცდი ტექსტებს, რომლებსაც ალფროვანებაში მოვყავარ. რაც შეეხება ლაშა ბულაძეს, რომელიც ფესტივალ „პასაუზე“ იყო მონვეული, ძირითად დროს საკუთარი სასტუმროს ნომრის შეცნობაში ატარებდა. მარტო სეირნობდა ნანსის ქუჩებში, Fnac-ში დისკებს ათვალიერებდა და კლასიკას ეცნობოდა. სადღაც ქრებოდა, მაგრამ დილაობით საუზმეზე არა-სოდეს აგვიანებდა.

BLACKLAND

Segrovebul i mesi j ebi

an

HUNGARIANS WITH MARVELOUS FACE

ბუდაპეშტი

(უნგრეთი)

რას მოიმოქმედებთ თეტრში მისული, გადანათებამდე თეთრ დეკორაციაში ჩაფლულ სცენაზე, სალამოს შავ კაბაში, სა-სიამოვნო გარეგნობის გოგონა ფლეიტით რომ გამოვიდეს, ცენტრში მოკალათებულ სკამზე დაჯდეს და ფლეიტით ორა-ლური სექსის დაახლოებით 6-7 წუთიანი იმიტაციი გაითამა-შოს? თქენი არ ვიცი, მაგრამ არც მე და არც ჩემს ფოტო-გრაფს დარბაზის დატოვება აზრად არ მოგვსვლია. პირიქით, კომფორტულად მოვეალათლით და სკანდალური სპექტაკლის ჩინებულ დინამიკას ავყევით.

„ბავშვების სპექტაკლი, განკუთვნილია ასევე უფროსების-თვის“ – აცხადებს დასი „კრეტაკორი“ და სცენაზე იმ სა-ზოგადოებას გვიჩვენებს, რომელიც ცოტა ხნის წინ ევროკა-ვშირში გაერთიანდა (2004 წელს უნგრეთი ევროკავშირის წევრი გახდა).

არპად შილინგის „ველური პიესა“, სადაც სმოკინგებსა და სა-ლამოს შავ კაბებში გამოწყობილი ადამიანები, ფერმერთალი კედლების წინ, სხვადასხვა სიტუაციებში გვევლნებიან, ასე-ვე მუსიკასები და კომპოზიტორები (სპექტაკლს მიუზიკლის ელემენტებიც აქვს), 2004 წლის მაისიდან მესიჯებს აგრო-ვებენ. რედაქტირებული ტექსტები კი, სპექტაკლის განმავ-ლობაში, სამ მონიტორზე ერთდღროულად მიდის, შეჯამებას უკეთებს თანამედროვე ცხოვრებას, კრიმინალურ ამბებს და პოლიტიკას.

როგორები ვიქებით მალე?! თანამედროვე უნგრული აქ-ცენტი ევროკავშირის თემაზე შეჩერდა და საკუთარ თავს დაუნდობელი მომავალი დაუხატა, რაც პირდაპირ, რეალუ-რი ფაქტებით, ცინიზმში, სადიზმასა და გულგრილობაში გა-მოისატება; საკუთარ ნაჭუჭმი შეეტილი და ზოგარს გადა-სული სურვილების საზოგადოება, სადაც ელვა მშრალ მიწა-ზე ეცემა.

ესთერ ქადაგი (მსახიობი): „ეს პერფორმანსი ბუდაპეშტში ძალიან პაპულარულია. ადამიანებს სცენაზე საკუთარი თა-ვის ხილვა მოსწონთ. ზოგს რცხვენია. ვითამაშეთ პარიზში, ამსტერდამში, როტერდამში, ყველგან სხვადასხვა რეაქციაა. ჩვენ ჩვენი ქვეყნის ამბავს უუჩვენებთ. ამიტომ, სხვების მს-გავსად, სახლში თამაში გვირჩევნია.“

სურვილი გამოვთქვით, რომ Blackland-ის გასტროლები სა-ქართველოში დაგვეგეგმა. თუმცა, იქვე დავამატეთ, რომ გრანდიოზული დეკორაცია, შესაძლოა, შემაფერხებელი ალ-მოჩნდეს.

– საერთოდ, გვაძეს სპექტაკლები, დეკორაციის გარეშე, – იყო პასუხი. ასე რომ,...







tabu

NO MORE TABOOS

(ირანი)


დავილალეთ სპექტაკლებით. სასტუმროს შორიახლოს, კინო-თეატრ „პამერში“ სამი დარბაზიდან ერთი – „ფელინი“ ავარჩიეთ და ირანული ფილმის დაწყებას დაველოდეთ. დარბაზში ათი კაცი იქნებოდა, ჩვენი ჩათვლით. მეთერთმეტე უნგრელი მსახიობი ატილა ტოტი იყო, რომელიც ნახევრად ჩამქრალ დარბაზში შემოვიდა და ჩემს უკან დაჯდა. ისე კი, გადაჯდებოდა კაცი :). ფილმი ფრანგული სუბტიტრებით დაიწყო. არაფერი მესმის, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი ქართველი, ვგრძნობ: თუ როგორ საუბრობენ სექსზე ირანელი ქალები და მამაკაცები. 1979 წლის რევოლუციის შემდგომი ცვლილებები, რასაც მათი უფლებები უნდა შეემსუბუქებინა, მოჩვენებითი აღმოჩნდა. მიჯნურთა შორის ურთიერთობა კვლავინ-

დებურად ძალდატანებითა და რთული პროცესი ამ ეტაპზეც მიმდინარეობს.

რეჟისორი მიტრა ფარაჟანი ამ პრობლემას ფარდას ხდის და დღევანდელი ირანის საზოგადოებას აჩვენებს.

ირანის გასაოცარი ლანდშაფტების და ნითელპომადიანი, ჩაღმოხსნილი ქალბატონების აღსარებების სინთეზი, – ერთი სიტყვით, 21-ე საუკუნის მაიც გაზლაპრებული ირანი.

დარბაზში შუქი ინთება. ვუბრუნდებით რეალობას, მაგრამ არც ეს რეალობაა დამაჯერებელი – ნანსიში მეხუთე დღეა წვიმს... რომ არა ეს კინოთეატრები, ნეტა, რას ვიზამდით?...





ახლა ცოტა გართობა გვინდა! რაიმე თანამედროვე! საბანკეტო დარბაზში, სადაც „პასაუელები“ ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ, სხვადასხვა მუსიკა უკრავდა. იმ დღეს კი, ის ასრულდა, რაც ვინატრეთ: სამი მშვენიერი გარეგნობის მქონე ახალგაზრდა სცენაზე ავიდა – ორი ბიჭი, ერთი გოგონა. „მაკინტოშის“ ლეპტოპები გაიხსნა და გაისმა: ელექტრონული ვერსიები, გაისმა იაპონელი ვოკალისტის ხმაც.

კულტურათა დიალიგით სასიამოვნოდ დაღლილს, მგონი, ძალაც აღარ შემწევს, რომ ფესტივალს დასკვნა გავუკეთო, სპექტაკლები ერთმანეთს შევადარო, ან ფავორიტები გამოვყო. მთავარია, რომ არსებობს! მთელი წლის მანძილზე, ინფორმაციას აგროვებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყნებში, რომლებმაც სულ ახლახანს, „ქუჩაში მარტო სიარული“ – დამოუკიდებლად არსებობა დაიწყეს; რა აღელვებთ და რა მოიგონეს ახალი; როგორია მათი დეკორაცია; რამდენი ასოა მათ ანბანში. მთავარია, რომ ასეთი ქვეყნები გადარჩენ და შეიძლება სპექტაკლის დასადგმელად არაფერი გააჩნიათ, მაგრამ ყველგან მოიძებნება ძველი, დიდი ბებიების ნაქონი მაქმანები, რომელთაც ერთმანეთს გადაბამ, სცენას მორთავ და სათქმელს იტყვი, თუნდაც ესთეტიკურობაში ასე შეყვარებულ საფრანგეთში.

იმ დიდ ბებიებს ხომ ძალიან გაეხარდებოდათ, ახლა რომ გვხედავდნენ – ვართ თავისუფლები და მალე „მაკინტოშებიც“ გვეწნება!

Georgia is waiting for you

nestan@poetic.com


3538373360

MADAGASCAR


SUMMER 2005



DREAMWORKS
ANIMATION SKG



La efeqt i



„მე ვიცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება, – გრძნობს სხეული“.

ანრი მაჯავარიანი

სენ-მარტენის არხის გაყოლებით, 1822–1825 წლებში გა-
თხორ აუზს, პარიზი სასმელი წყლით უნდა მოემარაგები-
ნა. თუკის ხიდებით გადახურული წვრილი არხი, იმ ძველ
კვარტალსაც კვეთს, სადაც 1760 წელს ცნობილი 60 კაციანი
სახრჩობელა იყო და რომელზეც არაერთმა ცნობილმა ადა-
მიანმა დაასრულა სიცოცხლე. მერე, როგორც ყველაფერი
სხვა, აქაც შემოდიოდა ხან მე-19 საუკუნის საოცრება, ხა-
ნაც მეოცესი. დადგა მშენიდი დრო და სანაპიროს მიდამოებში
ტურისტები უკვე გემებით სეირნობდნენ. ბარუა რომ დაი-
ქირავო, გაცურო და გაცურო, ბელგიასაც მიადგები და ჰო-
ლანდიასაც.

ასეა თუ ისე, ტკბილი თუ მწარე მოგონებების ადგილი –
სენ-მარტენის სანაპირო ზოლი, დღეს მხატვრებისა და, ზო-
გადად, შემოქმედთა საოცნები ადგილია, – ამ ქუჩაზე სახე-
ლოსნო მხოლოდ რჩეულების ხევდრია.

ერთ ასეთ რჩეულს ჩვენც მივაგენით. პარიზს თავს და-
მტყვდარი ციკლონის მიუხედავად, წამით გამონათებულ მზე-
ზე, დიდი შუმაბანდიდან ათასი ნივთი აირეკლა. ვეებერთელა
შესასვლელი კარი ღია დაგვჭვდა. რატომღაც ნორა ჯონსი
ბილო ხმაზე იყო ჩართული. შევედით – perfect დიზაინი,
კარგა ხნის წინ გადახარშეული ენდი უორპოლიც და თანა-
მედროვეობის კლიშეებს თავდალნეული ინტერიერი. თეთრ,
ხვეულ კიბეზე ასაკოვანი, ჭალარა მამაკაცი საოცარი სიმსუ-
ბუქით დაეშვა. Bonjour.

ეს ის შემთხვევაა, როცა შემოქმედება ერთგვარ თამაშს
ემსგავსება. ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა, როცა ქარ-
თული წარმოშობის მხატვარმა გაილიმა და მითხრა, ოღონდ
არ მკითხო, როდის დაინწყე ხატვა, – მე ფუნჯით დავიბა-
დეო.

– სად არის, არ გინახავთ? – გვკითხა.

– ვინ? – დავიბენით.

მან ფრანგულად ჩაილაპარაკა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

„როდესაც რუსები საქართველოს დაეპატრონენ, მამა იქ-
ველარ გაჩერდა, პარიზში გადმოვიდა. მერე დედაჩემი, რუმი-
ნელი ქალბატონი გაიცნო, იქორწინა და მეც გავჩნდი. მამას
სურდა, ექიმი გამოგასულიყავი, მე ხატვა მინდოდა. წავედი და
აკადემიაში ჩავაპარე. შინ დაბრუნებულმა, როდესაც დედას
ეს ამბავი ვაუწყე, – მითხრა – ვაიმე, რა ვუთხრათ მამას?!“

სალამოს, ვახმამზე მამაჩემს გამოვუცხადე: მამა, მე აკადე-
მიაში ამიყვანეს.

– ბოლოს და ბოლოს მაინც შენი გაიტანე! – იყო პასუხი.

ერთ დროს სარეკლამო ინდუსტრიაში გამოცდილი ანრი –

იგივე ჰენრი – ყველასთვის მოულოდნელად თავს ანებებს ფილმების გადაღებას: „რასაც ვაკეთებდი, არ იყო არტი!“

შემდეგ საფრანგეთში ყველაზე ცნობილ აგენტს უკავშირდება და ეუბნება, რომ ინივიდუალურ მუშაობას – ხატვას აპირებს. 1983 წლიდან ისინი თანამშრომლობას იწყებენ და ტრიუმფალური წარმატებები ერთიმეორეს ცვლიან.

სახელოსნო ვერ იტევს ნახატებს, სუფთა ფურცლებს, „რომლებიც, მე მელოდებიან. ისეთი ბედნიერი ვარ, როცა სხვას ლამაზ ნამუშევარს ვაჩვენებ“. ასეთი ნამუშევრები კი, სახელოსნოს ყველა კუთხეშია მიმოფანტული, იქნება ეს სამურაების სერია, სუნამოების ექსპოზიცია, თუ მოდელები. რატომძაც მხოლოდ ქალებს მიკვეთავენ“. ეს არის გიგანტური აფიშები ტოკიოსთვის თუ პარიზული დეფილეებისთვის, კოსტიუმები თეატრებისთვის. არის ფოტოებიც, რომლებსაც გარკვეული პერიოდის მანძილზე იღებდა, „მაგრამ მაინც, ხატვასთან შედარებით, ყველაფერი მოსაწყენი იყო. ერთმა თეთრმა ფურცელმა გადაწონა ის, რასაც აქამდე ვაკეთებდი. მგონი, ყველაფერი დასაშებია. სულაც არ არის აუცილებელი, ლამაზად ან სწორად ხატი“. მთავარი მისთვის მოძრაობა და ეფექტის მოხდენაა, – ეს მოძურია.

„როდესაც ვიღაც საუბრობს და შემდეგ ჩუმდება, ამაშიც ხომ არის რაღაც. სიჩუმე ნახატში რაღაცას ნიშნავს. ჩემს ნახატებში ეს სიჩუმე სიცარიელეა, ჩემთვის მოსაწონი და მისალები“.

სახელოსნოში ტელეფონი რეკავს. ზარი ისეთია, როგორც ფრანგულ კინოებში. ჩენ პაზით ვსარგებლობთ და ნახატების და სავარძლების უკან მიმოფანტულ ნივთებს ვაკვირდებით. დისკებს ვაყოლებ მზერას: ზაპაც, ჯაზიც, კლასიკაც, თანამედროვე ფრანგული საკლუბო „ელექტრონებიც“ და მოკლედ, ყველაფერი იმისთვის, რომ რაც უნდა მოხდეს, „ყველაფერი კარგად იქნება, სხეული გრძნობს!“

ანრი ყურმილს კიდებს.

– არ გინახავთ? არ გამოჩენილა?

– ვინ? – ვეკითხებით.

ანრი თემიდან უხვევს, ძეველ ნახატზე გვითითებს და გვეუბნება: ვიღაცას ამის ნახვა უნდა, ეს ნიკოლა პუსენია, 1600-იანი წლები, ასლი. 30 წლის წინ მივაკვლიე, შინ მოვიტანე, გავასუფთავე და ნახეთ, რა შესანიშნავად გამოიყურება!

მოდისადმი ინტერესი ახალ ტენდენციას მიჰყვება, ვინაიდან დეფილეებზე მოდელები სწორად უჩინარდებიან და მათ სათანადო აღქმას ვერ ახერხებ. ამიტომ ესკიზები ვიდეო ჩანაწერებიდან კეთდება. ანრის მოდელებს შორის უზარმაზარი მხრები და ასეთივე საჯდომები ჭარბობს. ისევ იმეორებს: ვიცი, ეს არ არის ნორმალური, მაგრამ ხომ ეფექტურია?! ჩვენ ვეთანხმებით, რადგან მართლაც ასეა. სენ-მარტენის არის შორიახლოს, ჭალარა ქართველს, შინაგანი ფესვების, შეგრძნებების, გვარისა და კიდევ რამდენიმე ახლობლის გარდა, ტელეფონით რომ ესაუბრება ხოლმე, არაფერი აკავშირებს საქართველოსთან. სწორედ ასეთი ადამიანი, ჩვენთვის სასწაულ დღეს აწყობს, უფრო სწორად, დღესასასაულს.

ხან პირველი სამურაი, ხან სუნამოების ექსპოზიცია, რომლის დასამზადებლად უამრავი წიგნის წაკითხვა და ამ ყველაფრის შეგრძნება მოუხდა: „ყველაფერი სულიერი უნდა იყოს.“

ლოგიკურად გაჩნდა კითხვა, ჰყავს თუ არა მოსწავლეები. ალმოჩნდა, რომ ლექციები სულ რაღაც ოთხი თვის წინ დასრულდა, სადაც კვირაში ერთხელ, მეთოდურად, სრულიად განსხვავებულ გაკვეთილებს ატარებდა. „თავდაპირველად



11th edition Of The Christmas Trees Of The Creators (Pompidou Center)



წრეების კეთებით, წრეების ხატვით ვიწყებ. ხელი მოუქნელი აქვთ. არადა, პირველ რიგში, ხელი უნდა იყოს თავისუფალი. პირველ კურსს დაამთავრებენ თუ არა, დიდი რაღაცების შექმნა სურთ. არადა, ზუსტად უნდა იცოდე, რომ ეს თავია, ეს - ხელი. უნდა სუნთქავდეს! ნახატში ფოტოების კეთება არ არის საჭირო“.

საკუთარ თავთან დადებული კონტრაქტისთვის, თამაშის აუცილებელი წესისთვის, ერთხელაც არ უღალატია. უცრად მოხდა ისე, რომ ლეონარდო და ვინჩის როლზე დაამტკიცეს: „ვიცოდი, ამ როლზე აუცილებლად ამიყვანდნენ. მიმამსგავსეს. მარცხნა ხელით ხატვა მომიწია – ეს საშინელება იყო. ბრწყინვალე მაკიაჟი მქონდა.“

მსგავსი მოულოდნელობები ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. 11th edition Of The Christmas Trees Of The Creators (Pompidou Center) – პომპიდუს ცენტრის აფიშები, 2004 წლისთვის ნაძვისსების გამოფენას სთავაზობდა მნახველს. მოდის ამინდის შემქმნელი დიზაინერები, მაგალითად, უან-პოლ გოტიე, პერმესი, კრისტიან ლაკრუა და ბევრი სხვა ცოცხალი ლეგენდა, საშობაო ნაძვისსებს წარმოადგენდნენ. მათ შორის მხოლოდ ერთი აღიარეს საუკეთესოდ. ეს ანრი მაჭავარიანის მიერ მარაოებისგან გაკეთებული ვეებერთელა ხე იყო. „კარლ ლაგერფელდს იდიოტობა ჰქონდა გამოტანილი. რა დაემართა, არ ვიცი. არადა, არ არის ცუდი დიზაინერი,“ – ანრი ბომონდურ ამბებს გვიყვება.

მაგრამ მაინც არის რაღაც, ჩვენში სანტიმენტებს რომ ეძახიან: „მერე, როდესაც რევოლუციურ წარმატებებს ვაღწევდი, ჩემს გვერდით აღარ იყო მამა. ის ვერ ხედავდა, თუ რატომ ჩავაბარე აკადემიაში. მერე ამ ყველაფერს ჩემი ვაჟიც გამოაკლდა. თუმცა ისინი სულ ჩემთან ერთად არიან“.

T O M C R U I S E



მსოფლიო პრემიერა



WAR OF THE WORLDS

msofl io omi

მთავარ როლები: ტომ კრუის, მირანდა რეი, დაკოტა ჯენეგი, ტიმ რობინსი
რეჟისორი: სტივენ სკოლპერი



მერე მოგონებები სადღაც ქრება. ისევ ნახატების თვალიერებას ვუბრუნდებით. აღმოსავლურ კალიგრაფიას ვადევნებთ თვალს. ანრი სამახსოვროდ ჩვენს სახელებს ხატავს დიდ, თეთრ ფურცლებზე, რომლებსაც ჯერ ეფერება, შემდეგ ხელს აწერს. გვიხსნის, როგორ უნდა დავიჭიროთ ფურცელი ისე, რომ არ დაზიანდეს. დროდადრო ჩაილაპარაკებს ხოლმე, რომ პოეზია სამკაულია... აზრის მარგალიტი... რომ არსებობს სიტყვების აფეთქება... ამბობს, რომ ადამიანებს ცვლილებების ემინიათ, ვერ ელევიან ძველ ნახატებს; ვერ ახერხებენ, რომ ძველი უკან გადაკიდონ, როცა ახალი ჩნდება და ახლით დაიწყონ ტკბობა. ამაზე ფიქრობს იმიტომ, რომ მის შემთხვევაში, სულ სხვანაირად ხდება. ათიათასობით უკან გადაადგილებული ნივთით არის სავსე სახელოსნო, სადაც ყოველდღე პოპ-არტის თუ ფეშენ რევოლუციების, სამურაების და ტოკიოს გიგანტურ სტანდარტებზე გათვლილი აფიშები ცვლის ერთმანეთს. დედით – რუმინელი და მამით – ქართველი, ფრანგული დიზაინის ერთ-ერთი პოპულარული ნარმომადგენებელი, მარტო ცხოვრობს. მართალია, ქართულად ვერ მეტყველებს, მაგრამ ქართველებთან იმ რუსულით ინარჩუნებს კონტაქტს, რომელზეც ერთ დროს პარიზში შეხვედრილი მშობლები საუბრობდნენ. ანრი მაჭავარიანი სიამოვნებით გამართავდა გამოფენას საქართველოში, სადაც ბოლოს, რამდენიმე ათეული წლის წინ იყო. სხვა ემიგრანტთა მსგავსად, მისი ცნობიერებაც საგულდაგულოდ ინახავს ლვინის გემოს, ერთხელ თუ გასინჯე, მთელი ცხოვრება რომ გაგვება, – თითქოს ლოტოსის თორმეტფურცლიან ყვავილს იგემოვნებდე.

– აი, მოვიდა ჩემი ლამაზი, – და სახელოსნოში სამურაივით შემოიჭრა ხავერდისბენვიანი კატა, ანრის ერთგული მეგობარი და ისეთი მონაცემების მქონე არსება, როგორსაც სენ-მარტენის არხის სანაპიროზე მცხოვრები მხატვარი იმსახურებს.

როდესაც ეზოში გამოგვაცილა, მეზობლად მცხოვრები ცნობილი ადამიანების შესახებ გვიამბო: აქ აღიარებული რეზისორი ცხოვრობს; იქ – გენიალური მხატვარი; აი, ამის იქთ კი – ერთი ქართველი მხატვარიო.

საღამოს ისევ შევხვდით, ამჯერად რესტორანში. ფრანგულ ლვინოს მივირთმევდით, ფოტოებს ვიღებდით. ანრი იტალიაში გატარებულ ვრცელ პერიოდზე გვიამბობდა. მერე კი ისევ ხატავდა. სამახსოვროდ. მართალია ხელსაწმენდზე, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ეს ცარიელი, თეთრი ფურცელი გიგანტური ეფექტისთვის გამზადებული სივრცე იყო.






საქართველო-ევროპული სკოლები



ძველი თბილისი



gi orgi gvaxaria / cr eml i ani saTval e

wi gni s dabeWdvi s Si Si , anu Wi Wi ko da bi Wi ko

31 მაისს რაინერ ვერნერ ფასპინდერს 60 წელი შეუსრულდებოდა. ახალი გერმანული კინოს მონარქი, და, ამავე დროს, ონავარი ბავშვი, რომელმაც ათასგვარ სისაძაგლეში დაადანაშაულა გერმანული კულტურა, თავისი ქვეყნის სამარცხვინო მარცხის დღებში ჩაისახა. დაადანაშაულა და ააღორძინა კიდეც დავრდომილი გერმანული კინემატოგრაფი, რომლის ტრიუმფზე 70-იან წლებში მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა.

ისევ ტრიუმფი. ისევ თავბრუდახვევა. პირველი „ოსკარი“ დასავლეთგერმანულ ფილმს — შლენდორფის „თუნუქის დოლს“, „ოქროს და-თვები“, „ლომები“, „ლეოპარდები“.

სწორება ფასპინდერზე, რომელიც გერმანიის დამარცხების დროს ჩაისახა.

1982 წელს მარცხის დღებში ჩასახული ტრიუმფატორი, რომელმაც იმ დროისთვის ორმოცამდე ფილმის გადაღება მოასწრო, მოულოდნელ განცხადებას აკეთებს, ჩემი ფილმები ერთჯერადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ ჩემი სიკვდილის შემდეგ დაწვით ყველა-ფერი, რაც გამიკეთებიაო.

37 წლის კინომონარქის ანდერძი სერიოზულად არავინ აღიქვა. გერმანია შეჩვეული იყო ფასპინდერის ექსტრავაგანტურ გამოთქმებს. მსოფლიო მისი ახალი ფილმის, უან ჟენეს ნაწარმოების ეკრანიზაციას ელოდა.

მაგრამ ფასპინდერი „კერელის“ პრემიერას ვერ მოესწრო. 10 ივნისს გერმანული კინოს სიამაყეს გულმა უმტყუნა, როგორც ამბობენ, ნარკოტიკების ჭარბი დოზის გამო.

ანდერძი, ცხადია, არ შეუსრულეს. პირიქით, ამრავლეს და ამრავლეს მისი ფილმების ასლები. კინოდარბაზებს მისი სახელი უწოდეს, დაიცვეს დისერტაციები, გამოსცეს წიგნები. მაგრამ მონარქის სიკვდილის შემდეგ, გერმანული კინოს მზე მაინც ჩაესვენა და დღეს ეს კინო დაახლოებით ისეთ დღეში ალმოჩნდა, როგორც 1969 წლამდე, როცა ეკრანებზე გამოვიდა რაინერ ვერნერ ფასპინდერის პირველი ფილმი სახელწოდებით „სიყვარული სიკვდილზე უფრო ცივია“

ვისაც ეს სურათი ახსოვს, უთუოდ დამეთანხმება, ალბათ, რომ ცივ სიყვარულში ფასპინდერმა ამ გრძნობის გამოვლინების ყველაზე გა-ვრცელებული ფორმა — საკუთარი თავის სიყვარული იგულისხმა, ჩვენი განვითარების ის ეტაპი, როცა „დედის წიალიდან“ გამოგლევილი პირველად დავინახავთ ჩვენს თავს სარკეში. მას მერე ეს სახე ფეხდაფეხ მოგვყვება ცხოვრებაში - ჩვენ ვქორნინდებით და პარტნიორად დედის, თუ მამის „ასლებს“ ვირჩევთ (ე.ი. საკუთარი თავის ასლებს), ჩვენი მშობელი, ჩვენი შვილი ყველაზე ლამაზი გვგონია, ყველაზე მეტად გული გვიჩუყდება სიტყვაზე „სამშობლო“ და ყველაზე მყუდროდ ჩვენს სახლებში ვგრძნობთ თავს.



ნარცისს შეუყვარდა თავისი ორეული და გაშეშდა, გაქვავდა, ე.ი. მოკვდა. მოკვდა იმ გერმანიასავით, რომელმაც ნელ-ნელა დაიწყო დაჯერება, რომ საკუეთესოა მთელ პლანეტაზე, ყველაზე „სწორი“ თავის ქალა აქვს, ყველაზე ჭკვიანი ფილოსოფოსები, მწერლები, კომპოზიტორები ჰყავს.

მერე ამ ფილოსოფოსებმა, მწერლებმა, კომპოზიტორებმა მოინანეს. მოინანეს კინემატოგრაფისტებმაც — ანტიფაშისტურ ფილმებს იღებდნენ, მაგრამ ამ კინოს არავინ უყურებდა. სანამ ფასპინდერი არ მოვიდა და განაცხადა — დაწვით ჩემი ფილმების ასლები.

რა სჯიდა ამ ფლობერს, როცა თქვა, „მადამ ბოვარი - მე ვარო“, არ ვიცი. სხვათა შორის, ისიც თქვა, „მხატვარი თავის ნაწარმოებში ისევე უნდა არსებობდეს, როგორც უფალი — ამ სამყაროში.

რა სჯით ამ მხატვრებს, საიდან უჩნდებათ ეს ვნება, გახდნენ „უფალი“? რა სჯიდა ვან-გოგს, ასეთი მონდომებით რომ აწერდა თავის სახელს „მზესუმზირებსა“ და „სკამებზე“?

თანაც, რაოდენ მორიდებულად დაიწყეს ამ ევროპელმა მხატვრებმა სახელების მიწერა სურათებზე. ჯერ პატარა ასოებით, სადღაც ქვედა კუთხეში, მერე ნელ-ნელა გაზარდეს ავტოგრაფი და როცა არც ამით დაკმაყოფილდნენ, ავტოპორტრეტის ჟანრმა გაიტაცა.

ამ ავტოპორტრეტებსაც ნელ-ნელა გაეთამაშნენ. მაზარო და ბოტიჩელი ჯერ ვერ ბედავდნენ და თავიანთი გამოსახულება „დიდ“ რელი-გიურ სიუჟეტებში შექმავდათ, მოკრძალებულად. მერე მხატვრები „ალორძინდნენ“ და თავს უფლება მისცეს, ახლოდან ეჩვენებინათ თავიანთი თავი. მერე ისე შეუყვარდათ ავტორი, რომ გალამაზებული, რომანტიკული, ელეგანტური ავტოპორტრეტები დახატეს. ყველაფერი იქამდე მიგიდა, რომ ვან დეიკმა მეფეც კი თავის ავტოპორტრეტებს დამსგავსა.

ევროპელებს უყვართ, როცა ღმერთად თუ არა, მეფედ მაინც გრძნობენ საკუთარ თავს. ამტკიცებენ, ინდივიდუალისტები ვართო. ამი-ტომაც გამოდის, რომ ჩვენ, „უძველესი ევროპელები“ — „უძველესი ინდივიდუალისტები“ ვართ. მერე რა, რომ ჩვენი წინაპრები არასდროს აწერდნენ ხელს ტაძრებზე, ფრესკებზე. მერე რა, რომ საუკუნეების განმავლობაში ქვეყანაში იქმნებოდა ანონიმური კულტურა — მთავარი, რითაც ვამაყობთ დღეს.

„დღეს ბოკერია მყავს“, „შენ ვინ გყავს?“, „ეგ უკვე მყავდა ეთერში“

ვისაც ტელევიზიასთან რაიმე კავშირი ჰქონია, არაერთხელ გაუგია, ალბათ, ეს ფრაზა ჩვენი ტელეარხების ვარსკვლავებისგან. უხარიათ, ვილაც რომ „ჰყავთ“ იმათგან, ვინც ქვეყანას მართავს. უხარიათ, ხალხის დასანახად თვითონ რომ დაიწყებენ მეფეების და ბატონების მარ-თვას გადაცემაში, რომელსაც „საავტოროს“ უწოდებენ.

ტელევიზიის ვარსკვლავებმა ჰარმონიულად დაიმკვიდრეს ადგილი თანამედროვე ქართულ კულტურულ ზესკნელზე. როგორც კი ქართვე-ლებმა, „მშპასადამე ევროპელებმა“ გაიაზრეს, რომ „უძველესი ევროპელები“ არიან, პარლამენტმა ეგრეთ წოდებული „საავტორო უფლე-ბების დაცვის“ კანონი მიიღო. იმ მუსიკოსებმაც კი, რომლებიც მთელი ცხოვრება ქუჩაში, ან მინისქეშა გადასასვლელებში უკრავდნენ, თავიანთი საავტორო უფლებებისთვის ბრძოლა დაიწყეს.

ევროპაშიც ასე მოხდა. ჭკვიანი ხალხი თავიანთ წიგნებში ამტკიცებდა, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში „ავტორის“ ცნება აღარ არის აქ-ტუალური, წიგნის ყდაზე კი „ეპირიაიტის“ მაგიური ნიშანი იყო გამოსახული... და თუ ცივილიზებულ ევროპაში ასეა, საქართველომ რა დააშავა?... თუკი ცივილიზებულ ევროპაში ასეა, რატომ არ უნდა გახდეს შემოქმედება ჩვენთვის, ქართველებისთვის - თვითდამკვიდრების, სახელისა და პოპულარობის მოპოვების ანგარებიანი საშუალება, ის, რაც არა მარტო ფულს მოგვიტანს, არამედ სახელს და, რაც მთავარია, ძალაუფლებას?


ასე გადაიქცა საქართველოში კულტურა უბრალო ავტოგრაფად, თუ ავტოპორტრეტად, მოსწყდა რეალობას, მიიღო სახე ტუსოვეკისა, რომლის სიმბოლო მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ვარდს. სინამდვილეში კი ცივი ყვავილი - ნარცისია.

ასე დაპატარავდა საქართველო, ასე შეიქრა მისი კულტურა დედაქალაქის ერთ, პატარა სივრცეში - ვაკეში, ან, დიდი დიდი ვერაზე, რუსთაველზე. თბილისის მოსახლეობა მატულობდა, ქალაქი დევნილებით გაივსო, მაგრამ კულტურა სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა თავის საზღვრებში.



კულტურაც და პოლიტიკაც, პრინციპით - „ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია“... ნარცისების სწობურმა ბალნარმა, შესაბამისად, გააყითლა ხელოვნებაც და პოლიტიკაც. ყველაზე რეიტინგულ სატელევიზიო პროექტებში ალორძინდა პოსტმოდერნიზმის ეპოქაში და-ვიწყებული ჟანრი - პაროდია (და არა სტილიზაცია). ყველაზე პოპულარული გახდა ის, ვინც სხვას დასცინოდა, თუმცა თავად არაფრის შექმნა არ შეეძლო, 60-70-იანი წლებში პოპულარულ, ვასო აბაშიძის მუსკომედიის თეატრის მსგავსად.

და მერე ჭიჭიკო და ბიჭიკოც გამოჩნდნენ; ისინც უზრდელობენ, ქილიკობენ და დასცინიან. მაგრამ ჯერჯერობით არა აქვთ სურვილი, ავტოგრაფის მოყვარულთა მრავალათასიან არმიას ქედმაღლურად შეხედონ, მეფეებივით და ამით „მოიფხანონ ეგო“. ქალაქი მკითხაობს, ჭიჭიკო-ბიჭიკოს ვინაობას აზუსტებს, ისინი კი თავიანთ სახელებს (და სხმას) მალავენ. ვირტუალური რობოტი-ეკუცუნები დასცინიან ნარცი-სიზმის კულტს ქართული შოუ-ტუსოვეკის, ნარცისებს და იმათაც, ვისაც ყვითელი ყვავილის სურნელება ათრობს.



ევროპელები ამაყობენ, რომ სწორედ ბებერ კონტინენტზე დამკვიდრდა ტერმინი „საავტორო კინო“. არ ესმით ჰოლივუდის, სადაც, ამერიკის კინოაკადემიის პრემიებით დაჯილდოების ცერემონიალზე „ოსკარს“ საუკეთესო ფილმისთვის არა რეჟისორს, არამედ პროდიუსერების ჯგუფს გადასცემენ ხოლმე.

ევროპელმა რეჟისორებმაც მხატვრებივით, ასე, თანდათან გაიაზრეს თავიანთი ძლევამოსილება და „ავტორებად“ მოინათლენ. ფედე-რიკო ფელინი იმდენად შორს წავიდა, რომ თავის გვიანდელ ფილმებს „ფელინი-კაზანოვა“, „ფელინი-რომი“ უწოდა.

მაგრამ ეს არ არის ფელინის საუკეთესო ფილმები. ეს „პერსონალიზებული ფელინის“ ფილმებია. ეს არაა „გზა“, სადაც პატარა ჯელსომინა დარჩენებულია, რომ იგი არავის სჭირდება ამ ქვეყანაზე... ბედნიერია, როცა მატო კენჭს უჩვენებს და ეტყვის, ამქვეყნად ყველაფერი, აი, ეს კენჭიც კი ფასეულიაო. მერე, როცა ძალიან ატყენენ, როცა ისევ ინატრებს სიკვდილს, ამ კენჭს შეხედავს ხოლმე და გაელიმება.

ჯელსომინა ჰგავდა გოეთეს წვიმის წვეთს, რომელიც ღრუბლებიდან ზღვაში მოხვდა, იქ, ნიუარაში შეალწია და მშვენიერ მარგალიტად იქცა. ჯელსომინა ისე მოკვდა, რომ ვერ გაიაზრა თავისი მნიშვნელობა... და ამიტომ, სწორედ ამიტომ აატირა მილიონობით მაყურებელი.

მანამდე კი ჩვენ „კაბირია“ ვნახეთ.

ჯულიეტა მაზინას კაბირიას ღიმილი პირველი კინემატოგრაფიული სახე იყო, რომელიც ჩემს ცნობიერებაში აღიბეჭდა, სახე, რომელმაც კინო შემავარა. იმ დღეს, 1971 წლის სექტემბერში, თბილისის ერთ ნახევრად დანგრეულ კინოთეატრში, გორკის ბაღში, რომელსაც დღეს „ვარდების ბალი“ ჰქვია, 14 წლის ბიჭი პირველად ავტირდი ფილმზე... მაგრამ ცრემლი განსაკუთრებით მაშინ მომივიდა, როცა თითქმის სრულიად ცარიელ დარბაზში დაახლოებით ჩემხელა ბიჭებმა, მთელი სეანსის დროს მზესუმზირას რომ აკნატუნებდნენ, ხორხოცი ატეხეს კაბირიას სიტყვებზე: „მომქალი, აღარ მინდა ცხოვრება“

იმ დღიდან ამ ორმა ხატმა - ეკანმა და მაყურებელმა მთელი ჩემი ცხოვრების წესზე, „პირად ისტორიაზე“, ე.ი. ბიოგრაფიაზე იმოქმედა. მას შემდეგ ჩემი სათვალე ხშირად ილაქებოდა ხოლმე ცრემლით - ხან კინოგმირები მატირებდნენ, ხანაც ცოცხალი ადამიანები - რეალური ცხოვრება, რომელიც ჩემს თაობას მძიმე და მართლაც სატირალი გვქონდა.

ამ ცრემლის ისტორია - თაობის ისტორიაა, იმ თაობისა, რომელიც ხრუშჩოვის გადაყენებისა და „ოტტეპელის“ დასრულების შემდეგ მივიდა სკოლაში, ბრეუნვის ეპოქაში ისწავლა და „პერესტროიკის“ ხანაში დაწყობით მუშაობა... მერე კი დაიშალა, დანაწევრდა - სამოქალაქო ომით, აფხაზეთით, ქვეყნიდან გაქცევით, კულტურის დანგრევით და კულტურის ნაცვლად ფსევდოკულტურით, ნარცისების ბალნარის აშენებით.

კინოს მოყვარულები ცნობილი „ეუაირესტები“ რომ არიან, ამას უკვე თავად აღიარებენ. ჩვენ ყურება უფრო გვიყვარს, ვიდრე ცხოვრება. დაკვირვება, ცქერა და თვალთვალი მთელ ქვეყანას გვირჩევინა. ჩვენ თითქოს არა ვართ ამ ქვეყანაზე, არ ვმონანილეობთ ისტორიულ პროცესებში. მხოლოდ ვაკევირდებით... და ვითომ რატომ არ უნდა მოინდომოს კაცმა, დაწეროს ერთი წიგნი მიანც იმაზე, რაც ნახა და რასაც დააკვირდა.




მაგრამ ჩვენს შორის ისეთი ხალხიც ბევრია, ვისაც არა აქვს გამრავლებისა და ტირაჟირების სურვილი. ჩვენ არ გვსურს „სახელის დატოვება“, ჩვენ არ გვინდა საყვარელმა საქმემ „ეგო მოგვფხანოს“. შეიძლება ეს სულაც არ არის თავმდაბლობა, შეიძლება, პირიქით, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, კრიტიკის შიში და ფარული ნარცისიზმიც იყოს. ყოველ შემთხვევაში, გული მიგრძნობს, რომ არის ამ პრიცესულებაში რაღაც ამპატავნული. თუკი აირჩიე კრიტიკოსის, მოსამართლის პროფესია, კეთილი ინებე და კრიტიკაც აიტანე, გაიგე, ბოლოს და ბოლოს, რომ გვერდიდან შეიძლება სულ სხვანაირი იყო, ვიდრე სარკეში.

ჟურნალი და ჟურნალში გამოქვეყნებული წერილების ციკლი — კარგი გამოსაყალია. ჟურნალი — წიგნი არ არის. წერილების ციკლში ერთი წიგნიც რომ გამოტოვო, „სერიალს“ ველარ შეაფასებ.

ეს სერიალი იქნება — „ცრემლიანი სათვალე“... საპნის ოპერა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოზე და იმ ფილმებზე, რომელზედაც ჩვენ, ტირაჟირებისა და ავტოგრაფების შიშით შეპყრობილ თაობას გვეტირებოდა.

i l u s t r a c i a: mai a sumbaZe






HANNA SCHYGULLA

ვერ გადავეჩივი ერთ უჩვეულო ახირებას - წერას რაინერ ვერნერ ფასბინდერის შესახებ. არ ვიცი, ეს ჩემი საყვარელი რეჟისორი **birth name**-ით რომ მოვიხსენიო, შევცვლი რაიმეს? კაი, იყოს - ბად ვიორისპოფენი.

რატომ ავიჩემე და იმიტომ, რომ მას არასოდეს უთქვამს ის, რისი გაგონებაც მსურდა; კიდევ იმიტომ, რომ პატარა ადამიანებშიც პოულობდა ვეებერთელა გრძნობებს; არ ეძინა ღამით და 44 ფილმი, რამდენიმე სპექტაკლი, უამრავი პიესა, მუსიკალური კომპოზიცია და როლები შექმნა; იმიტომ, რომ გერმანული კინოს ლიდერი, უტოპიას ანარქიით ებრძოდა, იმ ანარქიით კი არა ტერორიზმს, ან ცხოვრებას ტკივილის გარეშე რომ მოიაზრებს, - ყველა ადამიანმა საკუთარი თავი უნდა იპოვოს, - ამბობდა. ეძებდა ცხვრების ახლებურ ფორმას და ყოველი ფილმის დასასრული ამ მთავარის პოვნა იყო კიდეც. ვერ ვეშვები იმიტომ, რომ ივნისი იყო ბოლო თვე მის ცხოვრებაში, - 1982 წელს 36 წლის ბად ვიორისპოფენი ნარკოტიკებზე ჭარბად მიღებული ალკოჰოლის შედეგად, მოციმციმე ეკრანის ნინ გარდაიცვალა. ამბობენ, ფეხებთან უკვე დასრულებული სცენარი ეგდო - „როზა ლუქსემბურგი“. ამბობდნენ იმასაც, რომ მთავარი როლი რომი შნაიდერს უნდა ეთამაშა.

კიდევ ბევრ რამეს ამბობდნენ გერმანელი „კინო-ევერესტის“ სიკვდილით დამწუხებულ გერმანიაში, რომელსაც, იმავდროულად, სიმშვიდე დაეტყო, - ბუნებრივია, ალარ არის ფასბინდერი: მებრძოლი, უკომპრომისო და ერთადერთი მამხილებელი. ის ალარ მონაწილეობს ცხოვრებაში, რაც ნიშნავს: ახლა, მის შესახებ დაწერილი ასი და ათასი ისტორია ვერაფერს



avtori: nestan kvi ni kaže
davi T mesxi s fotoreportaži pompi dus centri dan; r.v. fasbinder i s retrospekti va-

დააკლებს მსოფლიო სირცხვილიდან რამდენიმე ათეული წლის წინ თავდალნეულ გერმანიას.

მე კი, მაინც მინდა დავწერო... მაგრამ ამჯერად, ამ ფურცლებს დავუთმობ ქალბატონს, რომელიც გამუდმებით ანგრევდა სცერეოტიპს, რომ რაინერი პომოსექსუალი იყო. მის გვერდით იყო ჰანა შიგულა – მისი აღმოჩენა, მუზა და მისი ლილი მარლენი.

გერმანიის მიერ ოკუპირებულ პოლონეთში 1944 წელს დაბადებული ჰანა შიგულა, ენებისა და ლიტერატურის შესასწავლად მიუნხენის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე აპარებს. მოგვიანებით, მსახიობობით გატაცებული, მიუნხენის დრამის სკოლაში გადადის, სადაც მსახიობს, რეჟისორს და მწერალს – რაინერ ვერნერ ფასბინდერს გაიცნობს.

ეს აბზაცი ფასბინდერს რომ წაეკითხა, აუცილებლად იტყოდა – "I don't like this. It's too natural, too normal!"...

ასე რომ, თავიდან... ვარ შვაბინგში, ტურკენშტრასეზე, ყავახანაში. იდეალური განათება და ხეში ჩასმული ოთახი. ხელს არ ვაშორებ ჭიქას, რომელშიც ყავა ცხელია. ვენევი საოცრად ბევრს. გაშტერებული ვუყურებ გოგონას, რომელიც ხევული თმით და მოკლე, ჭრელი სარაფნით, უკვე სამი საათია, რაც მუსიკალური ავტომატის წინ ცეკვავს. მზერა გადამაქვს ბიჭება, რომელიც სვამს ლუდს და საათობით უცქერის ხვეულომიანს.

აქ ყოველდღე მოვდივარ – აშკარად გამოცდილების დასაგროვებლად. მეცხრე დღეა, რაც არფერი იცვლება, გარდა



VOSS

Eine knallharte Geschichte

vom Leben : vom ... und vom S...

BWFC
ROSEL ZECH

HANNA SCHYGULLA

AUS LÖWITSCH IVAN DESNY GISELLE

Liebe - kälter als der

Ein Film von Rainer Werner Fassbinder mit Ulli Lommel, Hanna Schygulla, Rainer Werner Fassbinder und Karin...
Kamera: Dietrich Lohmann
Musik: Peer Raben und Holger Münzer
Produktion: antiteater München

Centre Pompidou

RAINER WERNER FASSBINDER
DIE EHE
P MARIA BRAUN

The image is a movie poster for the film "Voss" directed by Rainer Werner Fassbinder. It features several key scenes from the movie. At the top left, a woman (Hanna Schygulla) lies on a green sofa in a room filled with debris and personal belongings. In the center, a woman (Ulli Lommel) stands in a dark, atmospheric setting, possibly a bar or a ship's interior, holding a cigarette. To the right, a man (Rainer Werner Fassbinder) wearing a fedora and sunglasses looks intensely at the viewer, holding a glass. The title "Voss" is prominently displayed at the top in large blue letters. Below the title, the plot is described as "Eine knallharte Geschichte". The names of the lead actors, Rosel Zech and Hanna Schygulla, are listed along with other cast members. The bottom half of the poster contains the film's title "DIE EHE P MARIA BRAUN" and credits for the director, cinematographer, music, and production. A logo for "Centre Pompidou" is visible at the bottom right.

ხელმისანი გოგონას სამოსისა.

დღეს, მაგალითად, ეს წყვილი ჩემს მოპირდაპირე მაგიდაზე ზის. გოგონას აცვია უმოკლესი ჯინსის სარაფანი, ვხედავ მის თეთრ საცვალს და ნერწყვი მიშრება. გოგონას თვალს არ აშორებს დაახლოებით ოცდათი წლის ბიჭი, თუ კაცი?! – რაღაცას უხსნის ან უმტკიცებს. თეთრსაცვლიანი კი, გასაოცარი ინფანტილურობით, ამარცხებს წვერებიან ბავარიელს.

ეს გოგონა ჰანა შიგულა იყო, ბიჭი კი, რომელიც თვალს ვერ წყვეტდა ხელმისანს – რაინერი. ასეთი დაამახსოვრდა პირველად ნანახი შესანიშნავი წყვილი რეჟისორ ვიმ ვენდერსს. მაგრამ სულ სულ თავიდან როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?!

პირველად, დრამის სკოლაში შეხვდნენ. რაინერს უხეში სახის კანი ჰქონდა, ძალიან მორცხვი და, იმავდროულად, ამაყი ჩანდა. თვალებში მტაცებლურს და სათუთს ერთდროულად ამოიკითხავდი.

ჰანაამს სკოლაში შემთხვევით მოხვდა: უნივერსიტეტი მობეზრდა, ვილაცამსახიობო გაკვეთილების შესახებ გაბრწყინებული თვალებით უამბო და... მსახიობობა? რატომაც არა!

რაინერი ამ სკოლაში მას შემდეგ მოხვდა, რაც კინოაკადემიის მისალებ გამოცდებზე ჩაიქრა (ჩემს ფასბინდეროლოგის უნიკალურ არქივში, ამ გამოცდებზე ფასბინდერის მიერ შევსებული ტესტები, პასუხები და დავალებებიც ინახება. ოდესმე ამასაც გამოვაჩენ).



მან ყოველთვის იცოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფილმებს გადაიღებდა, აქედან გამომდინარე, სხვა გზით უნდა მიეღო განათლება: დღეში სამჯერ კინოში სიარულით და სამსახიობო ხელოვნების დაუფლების მეშვეობით. თან, ამის უდიდესი ნიჭი ჰქონდა ისევე, როგორც სხვა დანარჩენში.

იმთავითვე შეეწყვნენ ერთმანეთს. ფასპინდერისეულ „სამგროშიან ოპერაში“, რომელიც ბავარიული დიალექტით თამაშდებოდა, ჰანას პოლის როლი ერგო, რაინერი კი მექი მესეს თამაშობდა. „სცენაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოვჩნდით, ჩვენ ერთმანეთს ფიზიკურად ვეხებოდით... ის მიზიდავს და მეც მის მკლავებში ვექცევი, შემდეგ ხელს მკრავს და მე უკან ვიხევ, ვეშვები მუხლებზე... ვითიშები... სხვადასხვა მხარეს ვიყურებით – სივრცეს ვაშტერდებით. აბსოლუტურად განსხვავებული ჟესტების ანბანი, - ჟესტები, რომლებიც ერთდროულად გამოხატავენ განშორებას და ერთად ყოფნას“.

პირველი შეხვედრისთანვე, მათი ურთიერთობა „ნრიული“ ხასითის იყო. როდესაც დრამის სკოლაში ჰანამ პირველად მოჰკრა თვალი რაინერს, გაიფიქრა, „ამას ნამდვილად არ მოვენონები“. მერე, როდესაც მეგობრისგან შეიტყო, რომ რაინერი ჰანას თამაშით აღფრთოვანებული დარჩა, ახალბედა არტისტისთვის ეს ძნელი დასაჯერებელი იყო.

დრამის სკოლაში ჰანას დებიუტი გოეთეს „არჩევითი ნათესაობა“ იყო, პიესა ჰანას ძველმოდურად ეჩვენებოდა. თამაშით შეყვარებულ დას, რომელიც გამუდმებით ქარგავდა და ამით ცდილობდა ძმის მიმართ სიყვარული დაემალა.



„გაკვირვებული დავრჩი, როგორ მოახდინა ამან რაინერზე შთაბეჭდილება, ის ხომ რევოლუციური სულის პატრონია?!“
გარკვეული დროის შემდეგ, ჰანა დრამის სკოლას ნაადრევად ტოვებს: „მოკლე ხანი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი – არაფერი მესაქმება მსახიობობასთან“. მას არც რაინერის ფაქტორი აფერხებდა, რადგან ვერც კი წარმოედგინა, თუ რა როლს შეასრულებდა ახალგაზრდა ბიჭი მის ცხოვრებაში. თან, რაინერისაგან გაგებული ჰქონდა, „თხის რქებთან“ არანაირი საერთოს ქონა არ მსურსო, – ყველაზე აუტანელი ადამიანები არიანო. და ჰანამ, როგორც „თხის რქამ“, დატოვა სკოლა.

ერთი წლის შემდეგ, რაინერი, რომელმაც ასევე დატოვა დრამის სკოლა, ჰანა შიგულას ძებნას იწყებს. ანდერგრაუნდის თეატრისგან გამიჯნული, სპექტაკლების დადგვას იწყებს. ბედი თუ შემთხვევა... მთავარი როლის შემსრულებელი ქალბატონი ავად ხდება და რაინერს ახსენდება შიგულა.

ერთი ჩვეულებრივი დილა იყო. ჰანამ საფოსტო ყუთი გახსნა, წერილი ამოილო და ტექსტი ჩაიკითხა: გინდა ანტიგონეს თამაში? პრემიერა ორ დღეშია. მოდი მიულენშტრასეზე, კინოში. გელოდები. რაინერი“.

ასე დაიწყო ლეგენდა, 70-ანი წლების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური წყვილის შესახებ.

გაჩნდა ჯგუფი, „ანტითეატრის“ სახელწოდებით, – ერთად ცხოვრება: საერთო ლოგინები და სამოსი, პიესები და სცენა.



მხოლოდ 13 წლის შემდეგ იტყვის ფასპინდერი – მე საოცარი ინტუიცია მაქვს, სკოლაში დანახვისთანავე მივხვდი, რომ ჩემი ფილმების ვარსკვლავად იქცეოდიო... თუმცა იტყვის არა პირდაპირ, არამედ ირიბად, წერილებით....

„მეც დასაწყისშივე ვგრძნობდი, რომ ის ჩემი რეჟისორი იყო“, – ამბობს ჰანა.

არა იმიტომ, რომ მათ ბევრი საერთო ჰქონდათ; პირიქით, მათი შეხედულება სრულიად განსხვავდებოდა, ყველაფერზე – სიამოვნებებზეც კი. მუდმივი კონტრასტების ძიება... ისინი გამუდმებით მსჯელობდნენ, რა იყო საერთო, რა მიჯნავდა, რა აცალკევებდა მათ. „მე არასოდეს მიკითხავს მისთვის, რატომ არის სიყვარული სიკვდილზე უფრო ცივი? („სიყვარული სიკვდილზე უფრო ცივია“ – რეჟ. რ.ვ. ფასპინდერი, 1969 წელი). მე ხომ აბსოლუტურად განსხვავებული აზრი მქონდა... მისი რეჟისურა განმარტებისა და დისკუსიების გარეშე მიმდინარეობდა. ყველაფერში ქარიზმა იგრძნობოდა.

ჰანა შიგულა მთავარი როლებით გათამამებული იყო, მაგრამ ფასპინდერის ფილმებში ის ჰატარა, ეპიზოდური როლებითაც ჩნდებოდა, რომ წამიერი, მაგრამ განუმეორებელი მზერა მოევლო მაყურებლისთვის. შესაძლოა, ეს მხოლოდ რეჟისორისთვის იყო აუცილებელი, რადგან პირველად სწორედ მას აღმოეჩინა ჰანაში ამოუწურავი რაოდენობის იმიჯი: ხან მიმზიდველი, გამაოგნებელი მზერის მქონე გამყიდველი გოგონა – მარია; ხან ენერგიული, ეროტიკული კარენი ფილმში „პეტრა ფონ კანტის ცხარე ცრემლები“; მოხუცი ბარონის ცოლი – ახალგაზრდა ოფიცერი რომ შეუყვარდება, – ეს „ეფფი ბრისტში“ იყო, რამაც




უდიდესი კომერციული მოგება მოიტანა. ყველა გაზეთი და ჟურნალი ჰანას ფოტოებით იყო აჭრელებული. შიგულას და ფასპინდერს ეროვნული გმირების სახელით მოიხსენიებდნენ.

მართალია, ჰანამ ამ როლის შექმნისას რაინერის თითოეული მითითება გაითვალისწინა და უდიდესი აღიარებაც მოიპოვა, მაგრამ შინაგანად მაინც არ ეთანხმებოდა საზოგადოებრივ აზრს. განუმეორებელ ჰანა შიგულას გაუსაძლისი დისკომფორტი ექმნება და ის კინოდან მიდის.

უნივერსიტეტს თავშეფარებული, დიპლომის წერას იწყებს... თუმცა „კინოთი მოწამლული“ მალევე ხვდება, რომ სხვა გზა უბრალოდ არ აქვს. მაგრამ კინოში დასაბრუნებლად ჰანას პირველი ნაბიჯი არ გადაუდგამს, – ამ შემთხვევაშიც ფასპინდერმა იჩქარა და ძვირფას არტისტს ახალი სცენარი „მარია ბრაუნის ქორწინება“ გაუგზავნა.

ამ დროისთვის მასში უკვე მომწიფებული იყო მარია ბრაუნი. ქალი, რომელიც ისეთი თვალებით გამოიხედავდა ეკრანიდან, რომ მთელი სამყაროსთვის, ერთსა და იმავე დროს, მომაჯადოებელი და გულგრილი იქნებოდა ეს მზერა. ამას მაყურებელი „ვერ უძლებდა“, უფრო მეტად კი ვერ უძლებდა გერმანია, რომელსაც სინამდვილეში ეძღვნებოდა კიდეც ეს ფილმი. 1979 წელს „მარია ბრაუნმა“ ბერლინის კინოფესტივალის ჯილდო მიიღო. „მესამე თაობისა“ და „ბერლინი, ალექსანდერპლაცის“ შემდეგ, ჰანა შიგულას კიდევ ერთი ტრიუმფი ელოდა – „ლილი მარლენი“. სფრინჯის გამომეტყველებით, XX საუკუნის ყველაზე



ცნობილი სიმღერის შემსრულებელი, მსოფლიო კინოვარსკვლავების რიცხვში ჩაეწერა. მას ხან გრეტა გარბოს, ხანაც მარლენ დიტრიხს ადარებდნენ. თუმცა ჰანა შიგულა ყოველთვის მოკლებული იყო ხმაურიან რეკლამას. დასავლეთ გერმანელი რეჟისორი ამერიკული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს არ ჰყავდა. ამიტომ მისი ცხოვრების შესახებ არასოდეს აუტეხავთ მითქმა-მოთქმა. ლოგიკურია, ჯადოქრობაში დახელოვნებულებს სულ სხვა გეგმები ჰქონდათ.

ფასპინდერის გამოჩენისას, ხალხი ჩურჩულს იწყებდა: ნახე ჯადოქარი მოდის! ნეტა, კარგ ხასიათზე იყოს და არ დაჭირდეს ადრენალინი.

„მისთვის თამაშს არაფერი სჯობს. იმ შემთხვევაში კი, როცა თვითონაა მსახიობის ამპლუაში, კამერის და მსახიობის პოზიციას ერთდროულად იკავებს. ამ გზით ის ხვენს წარმოდგენებს – იმას, რაც თავში აქვს, უფრო სწორად იმას, რაც მეტნილად ესკიზებში, პატარა შავ-თეთრ ნახატებშია გაფანტული.

„ჩვენ მისი მარიონეტები ვართ, იქ ყველაფერი მისი სურვილისამებრ ხდება, მაგრამ მას შეუძლია, ინდივიდუალური მოქმედებისკენ გვიბიძგოს... მისი რეპლიკები? – რამდენიც გნებავთ: ერთხელაც, თუ შეიძლება... ეს ჩემთვის ძალიან უტრირებული... ან პირიქით, – არ მომწონს, ეს მეტისმეტად ბუნებრივია, ძალიან ნორმალურია... ჟანა მოროს მარტივად ეუბნება – უბრალოდ, იყავი ბრწყინვალე.“



თავიდან, გადაღებებზე წარმატების მიღწევის შემთხვევაში, ბედნიერი ბავშვივით დახტოდა ხოლმე. მოგვიანებით, გულგრილი, მტაცებლური მზერა გაუხდა; მზერა – იმპერატორის, საკუთარ თავს ფუფუნების ნებას რომ აძლევს. ასეთ დროს თვალწინ ზღვარს გადასული ფანტაზიები ლიკვიდივებს.

რა თქმა უნდა, რაინერმა ცხოვრებას კინო ჩაანაცვლა, რასაც „სიგიურის ფორმას“ უწოდებდა. ფილმის მერე, კვლავ ფილმს აკეთებდა, ნონსტოპ... გამუდმებით მოულოდნელობის მონაცერება და საკუთარი სიკვდილის საიდუმლო...

ყველასთვის მოულოდნელად, 1982 წელს 70-იანი წლების ჯადოსნური წყვილის ურთიერთობა უეცრად შეწყდა. ის აღარ იყო.

„არ ვიცი, – ასეთი ახალგაზრდა იმიტომ მოკვდა, რომ არანორმალურად ისწრაფვოდა, თუ ასე იმიტომ ისწრაფვოდა, რომ ახალგაზრდა უნდა მომკვდარიყო?“ – ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს მარია ბრაუნის, ლილი მარლენის, კარენის და კიდევ უამრავი „წმინდა დამნაშავე“ ქალის როლის შემსრულებელს, ეროტიული საწყისის განსახიერებას, პანა შიგულას, რომელსაც ფასპინდერის გარდაცვალების შემდეგ, მართალია ჰქონდა როლები ვიმ ვენდერსის, ფოლკერ შლონდორფის, უნდისუკ გოდარისა თუ ანუერი ვაიდას ფილმებში; ჰქონდა 20-ზე მეტი დაუგინგარი კინოროლი; ჰქონდა ბერლინალესა და კანის ფესტივალებზე მოპოვებული ჯილდოები – ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. იყო ლეგენდები და მითები; ჰქონდა სახელი და



ალიარება, ჰყავდა უერთგულესი თაყვანისმცემლები; პქონდა ელიტური კინომსახიობის წოდება. მას მუდამ ფასბინდერთან აიგივებდნენ, მაგრამ ის ალარ იყო, რაინერი... ურთულეს როლებს რომ ანდობდა შესანიშნავ ქალს და წლიდან წლამდე, მსოფლიო კინოს რაღიკალურად განსხვავებულ კინოსახეებს სთავაზობდა. მხოლოდ აქ, რაინერის ფილმებში იხსნებოდა ჰანას საიდუმლო, სურვილი და პოტენცია. მიუხედავად იმისა, რომ ფასბინდერმა ქალების მთელი ერთი თაობა აღზარდა, რატომძაც მხოლოდ ჰანა იქცა მისი შემოქმედების სიმბოლოდ. ფაქტია: რაინერის მაგიის ცენტრში ერთადერთი ქალი იდგა – ფრაუ შიგულა.

ჰანას ცხოვრება ამასობაში **too normal** გამხდარიყო. მას მოემატა წლები, თუმცა, როგორც ყველა ლამაზმანი, ის, ასაკოვანიც სავსეა და ამანგრეველი ენერგიით. მაგრამ რაღაც აკლია თითქოს... მძაფრდება ინტერესი მისი ცხოვრებისული დეტალების მიმართ. მაგრამ, როგორც იტყვინ, არ არის საჭირო ბევრი იკითხო „მათი“ ცხოვრების შესახებ, უმჯობესია ნახო! ამ შემთხვევაში კი, სჯობს, ნახო ფასბინდერის კინო, 44 ფილმი და 44-ჯერ 44 მიღლიონი შთაბეჭდილება; კინო, სადაც ჰანა შიგულა ჯადოქარის „30 ცოლიდან“ მაინც ყველაზე საყვარელი და განყენებულია.

რა ხდება სულში ასეთ დროს, არავინ იცის; მით უმეტეს, იმ ქალის სულის სილრმეში, რომელსაც წლების მომატებასთან ერთად, სულ უფრო დიდი საიდუმლო დაეტყო სახეზე. ვერც იმ ჯადოქრის სულის საიდუმლო ამოიცნეს, – **“a man who died much too young”**.

იოლადის სწრაფე -



კერაჭოფილი ცენტოს,



ვივ ცუალაბ ქი!


ფულადი გზავნილი

Travelex




სახალხო ბანკი

122 ფილიალი; ტელ.: 55 55 00



noveL ebi

avtori: erl om axvl ediani
il ustracia: gio sumbaZe



gamongonebel i kacis ambavi

გამომგონებელი კაცი იყო. ყველაფერს იგონებდა. იგონებდა იმას, რაც ჯერ არ გამოუგონებიათ და იმასაც იგონებდა, რაც უკვე დიდი ხანია გამოიგონეს. იგონებდა იმას, რაც არ ღირდა გამოგონებად და იმასაც იგონებდა, რისი გამოგონებაც შეუძლებელია.

ერთობ გამოუსწორებელი კაცი იყო გამომგონებელი კაცი. ჯერ იყო და თავისი თავი გამოიგონა. შემდეგ ერთი მთა გამოიგონა და მთის ძირას ერთი ქოხი გამოიგონა. შემდეგ მშვიდი ცხოვრება გამოიგონა და მთის ძირას ერთი ქოხი რომ გამოიგონა, იქ დაიწყო ცხოვრება.

სხვებმა გაიგეს გამომგონებელი კაცის არსებობა, მივიდნენ, თხოვეს მას, ჩვენც გამოგვიგონეო, და გამომგონებელმა კაცმა ყველა ჩვენ გამოგვიგონა.

ბოლოს მან უსასრულო გზა გამოიგონა და მას დაადგა.

erTi kacis ambavi

ერთი კაცი იყო და სადარდელიც ერთი ჰქონდა – ერთი რატომა ვარო. ხან აქეთ ეცა – მაინც ერთი იყო. ხან იქით ეცა – ერთი იყო და ერთი.

სხვები ამშვიდებდნენ – რა გადარდებს, კაცო?! განა ყველა თითო-თითო არა ვართო?!

– არაო, უპასუხებდა – ამდენი კაცია ქვეყნად, რამდენიც გინდათ იმდენი, და, ნუთუ, ჩემს გარდა, არცერთი იმათგანი არა ვარ მეო.


გაუდგა გზას – იქნებ მეორეც ვიყოო.

ოცნებობდა: ერთი რომ ცას შევხედავდი, მეორე მიწას ჩავაშტერდებოდიო; ერთი რომ ვიმღერებდი, მეორე ვიცეკვებდიო; ერთს რომ მეტკინებოდა, მეორე ვიქნებოდიო; ერთი რომ მოვკვდებოდი, მეორე დავრჩებოდიო...

დაიღალა და ჩაეძინა.

ესიზმრა: მის გარდა ყველა თვითონ იყო.

შეშინებულს გამოელვიძა და საჩქაროდ დაბრუნდა თავის სოფელში.



ubeduri kacis ambavi

უბედური კაცი იყო. უბედურზე უბედური და კიდევ უფრო უბედური.

ახლობლები მივიდნენ და ჰქითხეს – როგორა ხარო?

– რაღა როგორა ვარო, – უპასუხა უბედურმა კაცმა, – ერთი მამალი მყავს. დილით გავიღვიძებ, მგონია ჩემით გამოვიღვიძე, თურმე იმ მამალს არ გამოვუღვიძებივარ?! ავდგები და დავკლავ. სადილს მოვამზადებ, შევჭამ... მომბეზრდა სულ მუდამ ქათმის ხორცი.

– მართლა უბედური კაცი ყოფილხარო – ამშვიდებდნენ ახლობლები.

ახლა ნაცნობები მოვიდნენ და ჰქითხეს – როგორა ხარო?


– როგორ ვიქნები, – ამოიოხრა უბედურმა კაცმა – ერთი თხა მყავს. ძალზე შემანუხა. ყოველ დილით ვყიდი და ყოველ საღამოს მიბრუნდება. აი, ხომ ხედავთ, ახლაც მოდის. ვერ იქნა და ვერ მოვიმორე.

– მართლა უბედური კაცი ყოფილხარო, – თქვეს ნაცნობებმა და წავიდნენ.

მოვიდნენ სხვები, სულ უცნობები. მათ გაეგონათ უბედური კაცის უბედურების ამბავი და ამიტომ მოსულიყვნენ.

– როგორა ხარო? – ჰქითხეს.

– ეჱ – ხელი ჩაიქნია უბედურმა კაცმა, – ერთი ცოლი მყავს. ძალზე ვუყვარვარ. ძალზე მიყვარს. მაგრამ კაცნი ვართ და მხოლოდ სიყვარულზე ცხოვრება ვის აუგია. წავიყვან, წყალში გადავაგდებ, დილას გავიღვიძებ და რას ვხედავ – გვერდით მიწევს და მეალერსება. კიდევ უფრო ვუყვარვარ და კიდევ უფრო მიყვარს... ყოველდღე ამ გასაჭირში ვარ და შემდეგ კიდევ, ვისაც არ ეზარება, მოდის და მეკითხება – როგორა ხარო... გულს მიღონებენ, დარდს მახსენებენ...



martoxel a kacis ambavi

მარტოხელა კაცი იყო. ერთ მშვენიერ დღეს შინ ერთი მამალი მიუვიდა.

მეზობელმა ჰქითხა: როგორია შენი მამალიო.

ამ კაცმა უპასუხა: კარგიაო. დილას მაღვიძებს და სამუშაოზე აღარ მაგვიანდებაო.

სხვა მეზობელმა ჰქითხა: რასა იქმის შენი მამალიო.

– ასეთი მამალი არსად იქნებაო, – უპასუხა, – შინ როცა ვბრუნდები, გემრიელ კერძებს მახვედრებსო. – მამალი როგორა გყავსო? – ჰქითხეს.

უპასუხა: საღამოობით ჩონგურს უკრავს და ზედ ტკბილად ამღერებსო.

– აბა, ერთი კიდევ გვითხარი შენს მამალზეო?

– ძმაკაცი შევიძინე, ნამდვილი ძმაკაცი. ამას წინათ ჩემმა მამალმა მგლებისაგან გადამარჩინაო.

მეზობლების კითხვებს რა გამოლევს და კვლავ ჰქითხეს – როგორაა შენი მამალიო.

– რაღა როგორ არისო, – უპასუხა, – წუხელ მე და მამალმა დავლიეთ. ღვინო ბლომად გვქონდა, საჭმელი ნაკლებად. ძმაკაცობაზე მოგვივიდა დავა. წავკინკლავდით და დანებზე გავისვით ხელი... შემდეგ ცუდად მახსოვს, რა მოხდა. დილას გავიღვიძე და რას ვხედავ – თეფზე მამლის ძვლებილა ყრიაო. კვლავ მარტოხელა დარჩა ის კაცი.

gul maviyi kacis ambavi

გულმავინ्पი კაცი იყო. ყველაფერი ავინწყდებოდა.

ჯერ იყო და წუხანდელი სიზმარი დაავინწყდა. შემდეგ ხელ-პირის დაბანა დაავინწყდა. შემდეგ აღარ ახსოვდა, ისაუზმა თუ არა და, ყოველი შემთხვევისათვის, რამდენჯერმე ისაუზმა. შემდეგ სამსახურში წასვლა დაავინწყდა და შინ დარჩა. შემდეგ ისიც დაავინწყდა, რომ შინ დარჩა და ხელმეორედ დარჩა შინ.

დაავინწყდა გულმავინ्प კაცს, ცოლი რომ ჰყავდა და მეორე ცოლი მოიყვანა. მაგრამ დაავინწყდა პირვე-

ლი გაემვა. შემდეგ ისიც დაავინწყდა, მეორე ცოლი გაემვა და მესამე მოიყვანა.

მხოლოდ ერთხელ გაახსენდა გულმავინ्प კაცს, გულმავინ्पი რომ იყო: ყველა თავისის ვალი გაახსენდა.

შენუხდა გულმავინ्पი კაცი. დიდხანს იხსენებდა თავის გულმავინწყობას და როგორც იქნა, გაიხსენა.

და მას კიდევ უფრო მეტი დაავინწყდა, ვიდრე იცოდა.

ბოლოს, გულმავინ्प კაცს ისიც დაავინწყდა, რომ დაიბადა და ხელახლა დაიბადა, ოღონდ ამჯერადაც გულმავინ्पი დაიბადა.

ბოლოს არაფერი დარჩა დასავინწყებელი და გულმავინ्प კაცს სიცოცხლეც დაავინწყდა.

keTil i kacis ambavi

კეთილი კაცი იყო. ცოლიც კეთილი ჰყავდა იმ კაცს და შვილებიც. ერთი ვირიც ჰყავდა. ვირიც კეთილი იქნებოდა, ვირად რომ არ გაჩერილიყო.

ერთხელ კეთილი კაცი ერთი სოფლიდან მეორეში უნდა გადასულიყო. შეჯდა თავის ვირზე და გაუდგა გზას.

ცოტა გზა გაიარა და შეხვდა ერთი მოხუცი. კეთილი იყო კეთილი კაცი და შესვა მოხუცი ვირზე.

ცოტა გზა გაიარა და შეხვდა ერთი ბავშვი. კეთილი იყო კეთილი კაცი და შესვა ბავშვი ვირზე.

ცოტა გზა გაიარა და შეხვდა ორი ქალი: ერთიც ლამაზი და ერთიც ულამაზო. ორივე ვირზე შესვა.

ცოტა გზა გაიარა და ხედავს: აქლემი წაქცეულა, ტვირთი გვერდზე აგდია. იქვე ზის აქლემის პატრონი და ტირის. კეთილი იყო კეთილი კაცი და აქლემი თავის ტვირთითა და აქლემის პატრონი თავისი ცრემლებით ვირზე დასვა.

ცოტა გზა გაიარა და ხედავს, გზის პირას ლოდი აგდია. კეთილი იყო კეთილი კაცი და ლოდიც ვირს აჟკიდა.

ცოტა გზაც გაიარა და ვირმა უთხრა კეთილ კაცს – კეთილო კაცო, მეც შემსვი ვირზეო.

კეთილი იყო კეთილი კაცი და ვირიც თავისი ტვირთით შესვა ვირზე.

ცოტა გზა გაიარეს და მიაღწიეს მეორე სოფელს.

ambavi kacisa, romel sac samSobl o Zal ian uyvars

კაცი იყო, სამშობლო ძალიან უყვარდა.

ჰკიოთხეს: მაინც როგორ გიყვარს სამშობლო?

უპასუხა: ძალიან მიყვარსო. მისთვის რას არ მოვიმოქმედებო.

ჰკიოთხეს: ვთქვათ, შეიტყვე, რომ შენს მოყვასს სამშობლო შენსავით არ უყვარს. რას უზამ?

უპასუხა: სულ წაკუნ-წაკუნ ავქნი და ყვავ-ყორნებს გადავუყრი საჯიჯგნადაო.

ჰკიოთხეს: მის ლამაზ ცოლს რას უზამ?

უპასუხა: ხარჭად დავისვამო.

ჰკიოთხეს: მის წვრილშვილს რაღას უზამ?

უპასუხა: სტამბულს მონებად დავყიდიო.

ჰკიოთხეს: მის ეზო-კარს, ყანას, საქონელს და ყოველივეს, რაც მას ეკუთვნის, რას უზამ?

უპასუხა: გავუნანილებ იმათ, რომელთაც სამშობლო ჩემსავით უყვართო.

Suriani kacis ambavi

კაცი იყო შურიანი, ყველასი და ყველაფრის შურდა. შინ იყო და შური ახრჩობდა, შინიდან გავიდოდა და შური თვალებს უბნელებდა და გზა-კვალს უბნევდა.

ადგებოდა და დაწოლისა შურდა. თვალს გაახელდა და თვალის დახუჭვისა შურდა. მარჯვნივ გაიხედავ-და და მარცხნივ გახედვისა შურდა. სძულდა შურიან კაცს და სიყვარულისა შურდა. უყვარდა შურიან კაცს და სიძულვილის შურდა.

დიდი შურით იყო შეპყრობილი შურიანი კაცი...

ერთხელ გადაწყვიტა, შურზე შური ეძია.

ჯერ თევზის შეშურდა და ცურვა ისწავლა.

ფრინველისა შეშურდა და ფრენა ისწავლა.

ძალლის ერთგულებისა შეშურდა და ძალლივით ერთგული გახდა.


ცხვრის თვინიერებისა შეშურდა და ცხვარივით თვინიერი გახდა.

ბოლოს ხის შეშურდა, ერთ ადგილზე რომ იდგა და რომ მას მაგრილობელი ჩრდილი ჰქონდა და რომ მას ნაყოფი ჰქონდა და რომ მისის ფოთლები შრიალებდნენ და რომ მის ტოტებზე ფრინველები ის-ვენებდნენ და ბუდეებს თხზავდნენ.

და შინიდან გავიდა შურიანი კაცი.

ბევრი იარა, მრავალი მწვანედ შეფოთლილი კორდი გადაიარა და, ბოლოს, მონახა მწირი, ხრიო-კი ადგილი, ერთიც მოხედა თავის განვლილ გზას და დადგა. დადგა და მიწაში ფესვები გაიდგა. მერე მარადმწვანე ფოთლებით შეიმოსა, ხოლო ნაყოფად ზეთისხილი მოისხა.

ახლაც იქა დგას შურისგან დამცხრალი კაცი. დგას და შრიალებს.



dRegrZel i kacis ambavi

ნუ ზრუნავთ ხვალისთვის,
რამეთუ ხვალემან იზრუნოს
თავისა თვისისა. კმა არს
დღისა მის სიბოროტე
თვისი.

მათე 6,34

კაცი იყო, ღამით მპარავმა ხვალინდელი დღე მოპარა.

დადარდიანდა კაცი, რადგან ხვალინდელ დღეს გაჰყვა ხვალინდელი მზის ამოსვლა და ხვალინდელი მაღალი შუადღე, ხვალინდელი მშვიდი საღამო და ხვალინდელი ღამე, დამშვენებული სავსე მთვარითა და მოციმციმე ვარსკვლავებით.

ხვალინდელ დღეს გაჰყვა იმედი ხვალინდელი დღისა. ოცნება ხვალინდელ დღეზე. დღევანდელი

დღის მოგონება ხვალ და ყველა სიხარული და სიტკბოება განვლილ დღეთა ნაყოფსა ზედა.

ხვალინდელ დღეს გაპყვა მისთვის განკუთვნილი მომავლის დღეები.

დარჩა კაცი დღევანდელი დღის ანაბარა.

სისხამ დილით წამოდგა კაცი სარეცელიდან, დახედა ტკბილ ძილში ჩაფლულ თავის ცოლ-შვილს, დღე-ვანდელი დღის სანთელი დაანთო და შინიდან გამოვიდა.

დღევანდელი დღის მზე ამოდიოდა. კაცის უკანასკნელი ამომავალი მზე...

და შეუდგა კაცი დღევანდელ დღეს:

ძალლს მიეფერა;

საქონელი სოფლის ნახირს გააყოლა;

ეზო მოიარა, გარღვეული ღობე შეავსო, დადაბლებული აამაღლა;

ვენახი გასხლა;

ხეებს ხმელი ტოტები მოაშორა;

უფროსი ვაჟი დაასაქმა;

შუათანა დატუქსა;

უმცროსს ენა მოუჩილიქა;

ცოლს თვალი აარიდა;

მეზობელს გადასძახა; მეზობელმაც გადმოსძახა.

დასაბარი დაბარა. გასათოხნი გათოხნა. დასამყნბი დაამყნო. დასათესი დათესა. მოსამკელი მოიმკო.

დასამარხი დამარხა. გასაცემი გასცა.

ვალი გაისტუმრა.

დადგა შუადღე.

კაცი ხის ჩრდილში ჩამოჯდა დასასვენებლად.

მოსაგონი მოაგონდა. დასავიწყებელი დაივიწყა. მოსანანიებელი მოინანია. სიხარულმა გაახარა. მწუხარებელი დაამწუხრა. შიშმა შეაშინა. სიცივემ შეამცივნა. სითბომ გაათბო.

წამით გაუელვა, ხვალინდელი დღე რომ აღარ ჰქონდა და ნაღველი მოაწვა.

მყისვე წამოდგა, წამოიმართა.

ხოლო მერე:

უფროსი ვაჟი შეაქო;

შუათანა დაასაქმა;

უმცროსს ამჯერადაც ენა ამოუჩილიქა;

ცოლს მოუალერსა;

ზამთრისათვის შეშა დააპო;

დგებოდა საღამო;

აყეფდა ძალლი;

სოფლის ნახირი შინ ბრუნდებოდა...

მის ეზო-კარს დამაშვრალი, მშიერ-მწყურვალი მგზავრი მოადგა არგნით ხელში.

შეიპატიჟა. უმასპინძლა. ბუხარი დაუნთო. ფეხები დააბანინა. ჰური აჭამა. ღვინო ასვა.

წაიღილინეს. წაიმდერეს.

სტუმარი წამოდგა. წასვლა ინება.

მთელი ჯალაბი სტუმრის გასაცილებლად აივანზე გამოეფინა...

დღევანდელი დღის მზე არ ჩასულიყო.

მოსულიყო წვიმა და წასულიყო წვიმა და ცა ცისარტყელით დამშვენებულიყო.

დამდგარიყო მაღალი შუადღე, თავისი მაგრილებელი ჩრდილებითა და მაცოცხლებელი ნიავით და რა წასულიყო.

დამდგარიყო მშვიდი საღამო და გალობდა შაშვი.

მერე სავსე მთვარეც ამოსულიყო და ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

მგზავრი არგნით ხელში თავის გზას მიუყვებოდა დასავლეთისაკენ...

დღევანდელი დღის სანთელი არ ჩამქრალიყო.

ambavi kacisa, romel mac kargad ivallra

ჩვენს სოფელში ერთი ჩვენი მოგვარე კაცი ცხოვრობდა. ადრე ამ კაცს ერთი მცირე კარ-მიდამო ჰქონდა ტყუშული ღობით შემორაგული. ვენახი და ხეხილის ბალი გაეშენებინა. ეზოს ერთ კუთხეში ჭა გაეთხარა, რომელშიც მუდამ ცივი და ანკარა წყალი ედგა. ეზოში შინაური ფრინველები და ცხოველები მრავლად დაუდიოდა, ხოლო ბომბორა ძალლი ამ კარმიდამოს ერთგულად დარაჯობდა.

დილიდან, ეზოში მზის პირველი სხივი ჩამოვარდებოდა თუ არა, კაცი საქმეს შეუდგებოდა და საღა-მომდე მუხლჩაუხელად შრომობდა.

ხოლო საღამოს, შრომისგან დაღლილ-დამაშვრალი კაცი და მისი ცოლ-შვილი კერიასთან მომყუ-დროვდებოდნენ და ტკბილად, ხმაშენყობილად მღეროდნენ.

ღამლამობით კი, როცა ყველას მშვიდად ეძინა, კაცი შორეულ ვარსკვლავებს ესაუბრებოდა. იქვე, ახ-ლოს, გალობდა შაშვი.

ერთი სიტყვით, ჩვენს მოგვარე კაცს, თავისი კარ-მიდამო ჭირადაც ჰყოფნიდა და ლხინადაც.


მაგრამ ერთხელ, ალბათ, ბედი კარს მოადგა, ამ კაცმა თავისი მამული ერთიანად გაყიდა; გაყიდა ვაზიც და ხეხილის ბალიც; ჭის ცივი და ანკარა წყალიც და ხასხასა მოლიც ქოხის წინ, სადაც შინაური ცხოველები და ფრინველები დაუდიოდა; გაყიდა თავისი ერთგული ძალლიც; გაყიდა ეზოს ღამის ცა მოსაუბრე ვარსკვლავებითურთ... და შაშვის გალობაც გაყიდა.

სამაგიეროდ, აღებული თანხით ნახევარი სოფელი მოივაჭრა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მისი პა-ტარა მამულიც იმ ნახევარ სოფელში აღმოჩნდა.

სათემოდ ყველანი ვკიცხავდით ჩვენს მოგვარე კაცს, მაგრამ გულში გვშურდა მისი და შემთხვევა რომ მოგვცემოდა, ამგვარი პირობით უყოყმანოდ დავყიდიდით ჩვენ-ჩვენს მამულებს.

ერთი კი არის, ამ კაცს სიკვდილამდე ერთხელაც არ მოუნახულებია თავისი მამაპაპისეული ეზო-კარი, რადგან გაყიდა იგი...

და ერთხელაც აღარ აუხედავს ცისკენ ვარსკვლავებთან სასაუბროდ.



meocnebe kacis ambavi

კაცი იყო, გამოუსწორებელი მეოცნებე...

სავსე ოჯახის პატრონი. რაც დაოჯახდა, მის კერაში ცეცხლი არასოდეს ჩამქრალა. ჰყავდა სათნო და ლამაზი ცოლი, შვიდი ქალ-ვაჟი.

სტუმართმოყვარე იყო, ქვრივ-ობოლთა შემწყნარებელი.

გულლმობიერი, მისგან ნაწყენი ამ სოფლად არავინ მოიძიებოდა.

ტიროდა მოტირალთა თანა და უხაროდა მოხარულთა თანა.

გამრჯე იყო, შრომისმოყვარე.

ჭამდა საკუთარი ხელით მოწეულ ნაყოფს.

ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა: ადამიანს თუ პირუტყვს; ვაზსა თუ ხეხილს; მუხასა თუ სამყურას; წვიმასა თუ ქარს; ანკარა წყაროსა თუ ხავსიან ლოდებს; განთიადსა თუ მწუხრს.

და კიდევ ჰყავდა ერთი შავ-თეთრი კატა, ოლონ აქამდე ვერ გაერკვია, შავი იყო ეს კატა თეთრი ლაქე-ბით, თუ თეთრი იყო შავი ლაქებით.

მეოცნებე კაცი ძილის წინ სახლს დაივლიდა, მშვიდად მიძინებული ჯალაბის სუნთქვას ყურს მიუგ-დებდა და, მერე, თავის საწოლს მიაშურებდა, ლოგინში ჩაწვებოდა, შავ-თეთრი კატაც მის ფერხთით მოიკალათებდა და ჩაიძინებდა, ხოლო თვითონ ხელებს თავქვეშ ამოიდებდა, ჭერისაკენ აღაპყრობდა მზერას და ოცნებაში გადაეშვებოდა: ნეტა მარტო ვიყო, უთვისტომო; არავინ მიყვარდეს და არა-ვის ვუყვარდე; სხვისი დარდი არ მადარდებდეს და სხვისი სიხარული არ მახარებდეს; გულქვა ვიყო, გაუტანელი; ცოდვას ვეტანებოდე და მით ვლალობდე; შურისმაძიებელი ვიყო და არავის არაფერს ვპატიებდე; ჩემი ეშინოდეთ და ძრწოდნენ ჩემს წინაშე...

და ამ ნეტარა-ოცნებაში მასაც ჩაეძინებოდა.

ამგვარად მიედინებოდა მისი ცხოვრება, ოლონდ ოცნება არა და არ უსრულდებოდა.

ambavi kacisa, Tavi rom dakarga

კაცი იყო, თავი დაკარგა...

გათენდა და კაცმაც გაიღვიძა.

დილიდანვე რაღაც სიცარიელე აჰყვა. სიზმრიდანაც ვერაფერი გამოიტანა, გარდა შიშისა და სასონარკვეთისა.

უგემურად წაიხემსა და მაშინვე შეუდგა ძებნას, ოლონდ არ იცოდა, რას ეძებდა.

ეძებდა ოთახის ბნელ და ნათელ კუთხებში.

ეძებდა სარკეგაცრეცილ კარადაში, ახალსა და ძველ ტანსაცმელს შორის; ეძებდა განჯინაში, გაურეცხავ და გარეცხილ თეთრეულში; ეძებდა საწოლქვეშ დაგროვილ მტვერში; ეძებდა წიგნების თაროებზე. წიგნებში და წიგნებს შორის; ეძებდა სახერ მაგიდაზე დახვავებულ წივთებში; ეძებდა უჯრებში – გაყვითლებულ, თაგვისაგან კიდეებდალრღნილ ხელნაწერებში, დასტა-დასტად შეკრულ ძველ წერილებში. ამოძრავდა მოგონებებიც და ახლა მათში დაიწყო ძებნა იმისა, რაც დაკარგა, მაგრამ ის რაღაც მოგონების მიღმა რჩებოდა.

მოწყურდა და წყალი შესვა.

იქნებ ქალის ალერსში დაკარგა, იქნებ ღალატში, ანდა სულაც ერთგულებაში.

იქნებ ქარში, ანდა წვიმაში. იქნებ მთვარიან ღამეში დაკარგა ის, რასაც ეძებდა, ანდა ვარსკვლავებს შორის.

იქნებ ამომავალი მზის, ანდა ჩამავალი მზის ფერებში ჩაიკარგა ის, რასაც ეძებდა.

რაღაც ჰანგები აუღერდა მასში, რაღაც სიმღერები და ახლა იქ დაუწყო ძებნა.

ხედები ხედებს ცვლიდა: მდინარის ჩაბურული ნაპირები; ველს შესეული ყაყაჩოების ჯარი; უდაბური, ურწყული, დახეთქილი მიწა; მწვანედ შეფოთლილი კორდები; ცივი, ნისლიანი მთები; ზღვა მღელვარე და ზღვა წყნარი.

ნაცნობი და უცნობი სახეები: მწუხარენი, მომღიმარნი, ჩაფიქრებულნი, პირდაპირი და ირიბი მზერით, ცოცხალნი და მკვდარნი.

წამოწვა. დაძინება სცადა. ძილი არ მიეკარა. თვალები დახუჭა და ჩაკეტა სხეული. როგორც მიტოვებული სახლი, შიდა მზერით მოიარა. რაღაცას ეძებდა, ოლონდ არ იცოდა, რას. იქნებ ტკივილს ეძებდა. დაუნდობლად არაფერი ტკიოდა.

დადგა საღამო. ნიავი თხელ, გამჭვირვალე ფარდას არხევდა. კაცმა სავარძელი ფანჯარასთან მიდგა და ჩაფიქრდა. მერე ხელებს დახედა და ეუცხოვა ისინი.

ახლალა მიხვდა, რომ თავი დაკარგა.

ერთხანს სავარძელში იჯდა.

მერე წამოდგა და შინიდან გავიდა.

კარი ჩარაზა.

მთელი საღამო ეძებდა კაცი თავის თავს, მთელი ღამე. ეძებდა ნაცნობ და უცნობ ქუჩებში. უკაცრიელ სანაპიროებზე. გაპრდლვიალებულ, ხალხმრავალ მოედნებზე. ყველა უმიზნოდ და ჩუმად დადიოდა აღმა-წაღმა. მხოლოდ მათი ფეხის ხმა ისმოდა.

კაცი აჰყვა ამ ბრბოს.

გაველურებულ ბალში მოხვდა. აქა-იქ, ფოთლებს შორის, მბჟუტავი ნათურები თავის თავს ძლივს ანათებდა. ბალშიც უამრავი ადამიანი ეძებდა თავის დაკარგულ თავს და, მათ შორის იყვნენ თავის თავისან მიტოვებულნიც. ისინი ეძებდნენ ერთმანეთს ხელისცეცებით, სასოწარკვეთილი შეძახილებით, ოხვრითა და კვნესით.

ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ ადამიანები, სხეულისგან დაცლილნი და ლანდადქცეულნი სიბნელეს ერწყ-მოდნენ. დაცარიელდა ბალი და ბნელად აშრიალდნენ ფოთლები.

კაციც გამოვიდა ბალიდან და მას ჩრდილივით აედევნა დიდი თეთრი ძალლი.

კაცი შინ ბრუნდებოდა.

მთელი გზა სახლამდე ძალლი მისდევდა კაცს. შეჩერდებოდა კაცი და, შორიახლო, ძალლიც შეჩერდე-ბოდა.

როდესაც თავისი სახლის კარს მიადგა და მოიხედა, ძალლი აღარსად ჩანდა.

კარი ოდნავ შეღებული დახვდა.


შევიდა ოთახში და სინათლე ჩართო.

ფანჯარაში მიდგმულ სავარძელში ვიღაც უცნობი იჯდა. მან უცხოდ გამოხედა შემოსულს, ხოლო მერე თავის ხელებს დააჩერდა.

თხელ, გამჭვირვალე ფარდას ნიავი ოდნავ არხევდა.

მიხვდა კაცი, რომ თავად აღარ იყო. მის ადგილას, სარკეგაცრეცილი ძველი კარადა იდგა.

თენდებოდა.



ambavi kacisa, romel mac Tavisi neba qars miabara

ცეცხლი, სეტყვათ, თოვლი
მყინვარი, სული ნიავ-
ქარისა, რომელნი ჰყოფენ
სიტყვასა მისსა.

(ფს. 148.8.)

კაცი იყო, თავისი ნება ქარს მიაბარა.

ქარმა ბუმბულივით აიტაცა და მინას გადმოახედა.

ნეტარებაში მყოფი სეტყვასავით დაამძიმა და ძირს დაანარცხა.

ქვევით კი ქვა დახვდა.

ხან ცეცხლით გამოაწრთო, ხან წყალს მიანდო. ხან ბეწვის ხიდზე გაატარა, ხან ფართო გზაზე დააბრკოლა.

ხან შეხვედრით გაახარა, ხან განშორებით დაამწუხრა.

ყველასგან მიტოვებული ნაგავში გარია.

უსამართლობის სიმწარე აგემა, სამართლიანობის სიტკბოებით აავსო.

შიშით შეაშინა, სიმშვიდით დაამშვიდა.

ოცნებით ვალში ჩააგდო, დღითიდღე შრომა-გარჯით გამოასყიდინა.

ციდვაში გარია, მერე სინანულის ცრემლით სული მოულბო და სიწმინდეს აზიარა.

სიმდიდრით სიძუნწე შეაძულა, სიღარიბით ხელგაშლილობა შეაყვარა.

სასონარკვეთისაგან გათოშილი, სასოებით შემოსა და გაათბო.

ავი ვნებების წყლულები სიყვარულით მოუშუშა.

ურნმუნობით დაცემული, რნმენით აღადგინა.

ბოლოს კი, გვალვისას, ღრუბლად აქცია და წვიმად მოიყვანა.



ambavi kacisa, Tavi romver gaicno

რადგან ვინც ისმენს და არ
ასრულებს სიტყვას, იმ კაცს
ჰავავს, რომელიც უძმზერს თავის
ნამდვილ სახეს სარკეში
დაინახავს თავის თავს, წავა და
ავიწყდება, როგორი არის.

იაკობი, I, 23-24

კაცი იყო, თავი ვერ გაიცნო...

როცა კაცი იძინებდა, თვითონ იღვიძებდა;

როცა კაცი იღვიძებდა, თვითონ იდგა;

როცა კაცი იდგა, თვითონ იჯდა;

როცა კაცი იჯდა, თვითონ მიდიოდა;

როცა კაცი მიდიოდა, თვითონ მოდიოდა...

და მერე:

როცა თვითონ ტიროდა, კაცი იცინოდა;

როცა თვითონ სიჩუმეს უსმენდა, კაცი ლილინებდა;

როცა თვითონ სინათლისკენ მიიღოტვოდა, კაცი სიბნელეში შთანთქმას ლამობდა;

როცა თვითონ თავს სიმართლეს ეუბნებოდა, კაცი თავს იტყუებდა;

როცა თვითონ სინანულის განცდა ეუფლებოდა, კაცი გულს იქვავებდა...

და კვლავ:

როცა თვითონ შინ იყო, მარტოდმარტო, კაცი ბრბოსთან ერთად აღმა-წალმა დაეხეტებოდა;

როცა თვითონ შორ გზას ადგა, კაცი იქვე, ახლომახლო დაბორიალობდა...

და ბოლოს კაცი მოკვდა. თვითონ კი თავზე ადგა და დასცქეროდა მიცვალებულს, მაგრამ ვერ იცნო თავი, ოღონდ სადღაც ენახა მისი სახე.

ambavi kacisa, romel ic yvel as egona, romar iyo

მოველით ჩემდა ყოველნი
მაშურალნი და ტვირთმძიმენი,
და მე განგისუენო თქუენ.

მთ. XI, 28.

უვნებია და
ამიტომ უწოდებენ
არარას.

ლაო-ძი, “დაო დე ძინი”

იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო.

იყო ცა და მინა; იყო ნათელი და ბნელი; იყო მზე და მთვარე; იყო ვარსკვლავები.

და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო...

იყო ცისკარი და მწუხრი; იყო ჩრდილოეთი და სამხრეთი; იყო აღმოსავლეთი და დასავლეთი; იყო წამი და საუკუნე; იყო სიახლოვე და სიშორე; იყო მარჯვენა და მარცხენა...

და იყო კაცი, რომელიც ყველას ეგონა, რომ არ იყო, რადგან თავისთვის იყო.

იყო სიყვარული და სიძულვილი; იყო ერთგულება და ლალატი; იყო სასოება და სასოწარკვეთა; იყო სიმწარე და სიტკბოება; იყო სიმშვიდე და მშფოთვარება...

და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო.

იყო სამართლიანობა და იყო უსამართლობა; იყო დაუნდობლობა და პატიება; იყო მოკლული და მკგლელი; იყო სისავსე და სიცარიელეც იყო...


და ჩვენ ყველანი აქვე ვიყავით...


და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და მასში შემოდიოდა ყველაფერი და ყოველი, რაც იყო და თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა: მოკლული და მკვლელი; შეურაცხყოფილი და შეურაცხმყოფელი; ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი; ნათელი და ბნელი; სიშორე და სიახლოვე; კანონი და უკანონობა; მზე, მთვარე და ვარსკვლავები...

შემოდიოდნენ და პოულობდნენ ერთმანეთს, ესაუბრებოდნენ და ურიგდებოდნენ ერთმანეთს... და მშვიდდებოდნენ...

და ბოლოს შემოვიდა მასში სიკვდილი და თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა...

ის კი იყო თავისთვის...





1.....1.....0.....0.....?.....A\



Tbilisi

o Rmer To me amerikul i ocneba var
Tumca ki vazel i nis sunad vyar var
me xom sabral o ZaRI i Svi i var
magram qal i Tu kaci ... ar vi ci vi n var

frenk zapa

zaza burWul aZe



ნარმოდგენა არა მაქვს, იმას გარდა რა დაცნერო, რასაც ქვევით მოგახსენებთ – გსმენიათ, ალბათ, ფრენც ზაპა, იყო ასეთი: კომპოზიტორი, გიტარისტი, მუსიკოს-შემსრულებელი და, უბრალოდ, გენიალური თუ კონგრენიალური ან, თუ მს-გავსი შეფასება ყურსა გჭრით, მაშ ასე ვთქვათ, კაი კაცი, ასეთს ჩვენებურად ჯიგარს ეტყვიან... აი, სულ ეს არის, სხვა რა გითხრათ, აზრზე არა ვარ... რომც ვიყო, მაგრად მეზარება კია წერა, მით უფრო, ზაპაზედ, მაგრამ რას იზამ, ხომ გაგიგონიათ, ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო, ასე რომ, გარჯა მოგვინევს, ისე არაფერი გამოვა, თითე-ბიდან ზეთი და ერბო კი არა მწვეთს... მოკლედ, ექვსიდან ათ გვერდამდე მაქვს შესავსები, ასეთია ამა უურნალის ნაჩალინიცა-ზაზეიკასთან (კიდევ პოპ-არტ-რედახტურთან – ლამაზი, კუკლა ბიჭია, ნანაზი პირის კანითა, მგონი, ლე-ვანი ან ლევათანი ჰქვიან, თუ არა ვცდები, თუმცა მასზე ოდნავ მოგვიანებით) ნარმოებული მოლაპარაკების შედე-გი... აუჟუ-ჟუ-ჟუ!.. ხმამაღლალი ნათქვამია, მოლაპარაკება კი არა, ჩვეულებრივი ლაილაი და ტიკტიკი იყო, ალაგ უშ-ვერი სიტყვებით შეზავებული, მოგეხსენებათ, არც უამისობა იქნებოდა, ოლონდ ზომიერად, თითქო საქვეყნოდ თავი მოგვეჭრებოდა, თუკი პირს არ ავიმყრალებდით და ყოველ ნინადადებას რასმე ბილნსა და პილნს არ მოვაყოლებდით... ეგრეა, თუ სათქმელი არაფერი გაქვს, ან საიდან უნდა გქონ-დეს, როს ყველაფერი დიდი ხნის წინათ უკვე ითქვა, – ესაც ხომ უკვე ნათქვამია, – მით უფრო, თუკი მაღალ წრესა თუ ზეპურ საზოგადოებაში იმყოფები, ყოველ მეორე სიტყვას მსუბუქად და პაროვნად ჯადოსნური სიტყვა – ბოზიშვი-ლივიყო, ან რამ ამის მსგავსი მიაყოლე და იოლას ისე გა-დახვალ, თვითონ გაგიკვირდება... დაიად, ექვსიდან ათ გვერ-დამდე... ისე, ზაპა მე ვახსენე, თორემა, წესითა და რიგით, არჩევანი ტომ უეიტსაა, ნიკ კეივსა და ვილიამ ბეროუზს – შესანიშნავი სამეულია, ვერაფერს იტყვი, – შრის უნდა გა-მეეთებინა... რამე დამავალეთ, მარტო თარგმანებს ხომ არ გადავყვები-მეთქი, პოდა, დაივალეო, ზუსტად ასე მითხრა საზეიკამან, ვინმე კულტოვი (და არა საკულტო – უურნალის რედაქცია ლიტერატურის ინსტიტუტი ანუ სევდიანი ფიქრ-ბის სავანე არ გეგონოთ) ტიპზე გააკეთე მასალა, უეიტსზე, კეივზე, ბეროუზზე ან ვინმე ეგეთზე, თქვა და მყის შუბლი შექმუხნა – კულტოვი ტიპებს თუ იხსენებდა... არ ვაცალე, ზაპა რომ იყოს-მეთქი, ვითომ გახსენებაში დავეხმარე, სინა-მდვილეში კი ისე, დაუფიქრებლად ჩავეკითხე, რომ იტყვიან, ბანზე ავუგდე თუ როყიოდ ვისროლე სიტყვა. და რომ მე უბორნაზედ დასუბუქლი ზაპა, დიდი მანაკი და ლაზლან-დარა ვინმე, ნარმოვიდგინე (უფრო სწორად, და ცხადზე ცხადია, უმაღ იმას ჩავხდი, რომ, ბევრიც მეცადა, ხეირიანს ვერას დავწერდი, რალი ჩემი შესაძლებლობები, როგორც რომ მეპროზისა, კარგა ხანია შეფასებული და გადაფასებუ-ლი მაქვს... რას ვეულისხმობ? რასა და, ხომ გაგიგონიათ, რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბრობდე-სო... მიხვდით, ალბათ, მემცა სწორედ ემაგას ვგულისხმობ, დასწყევლა ღმერთმა), ძალიან კარგი, იყოსო ზაპა, ქალმან მითხრა საუბარი კეკლუც სიტყვად, არ დუხტირად, ანუ ჩემი ნარქუამი მყის აიტაცა, შუბლიც გახსნა და თავიც ისე მონ-დომებით დააქნია, ვიფიქრე, ემანდ არ მოსცრეს (თავი – რასაკვირველია) ამ ოჯახაშენებულს-მეთქი. თქვენ შეიძლება ყველაფერი ეს ახლა გადაჭარბებად მოგეწვენოთ, თუმც სა-თქმელია, რომ მთელი სამი თუ ოთხი წამის განმავლობაში, (რომელიც, ხვდებით, ალბათ, სამ-ოთხ საუკუნედ, უმეტე-)

სად თუ არ, მომეჩვენა), რაც ხაზეიკა თავს აქნევდა, სული კბილებით მეჭირა. ასე გასინჯეთ, ვითომ როგორი წარმო-სადგენია, რედაქტორის მხრებს მომძვრალი თავი, რომელიც რომ იატაკზედ ბურთივითა ჰხტის. ხტუნვა კიდევ არაფერი, ჩემთვის ვანგარიშმბდი, ხომ გაჩერდება-მეთქი ადრე თუ გვიან... თუმც საკითხავიც სწორედ ეს იყო, კერძოდ, რა უნდა მექნა მერმე იმისთვის? მე შენ გეტყვი, ამოილლავებ რედა-ქტორის თავს და გახვალ გარეთ (მოგართმევენ) ან ფანჯრი-დან გადააგდებ ანთუ... გადააგდებ, როგორ არა! სულ მაგა-ზედ არა ზრუნავენ?. მუნ ფანჯრები ისეა ჩასტეკლორებული, გარედან კი ისეგვარად ზრქელი გისოსები ადევს, სალოკი თითის სისხო რენის ზროები ერთიერთმანეთზე ისეა გა-დახვეულ-გადაგრაგნილ-გადანასკული, მკვეთრი და მოქნი-ლი ხაზთა დასრულება არის ამოდქმნილი (ცილაც სურუშია-ნის) ნატვრის ასრულება, უთუოდ ამერიკის საელჩის ანთუ რომელილაც ციხე-სიმაგრის სათოფე სარკმლები გეგონება. მოკლედ, ცხაური კი არა, ნამდვილი რკინის ბადეა, დიდი-დიდი ცერცვისა, გნებავთ, საამდლეოდ უფრო პოპულარული მცენარე ვთქვათ, ყავის მარცვალი გააძრინო... მამაძალი, ყველაფერი გათვალისწინებულია, მაგალითად, ხომ შეიძლე-ბა ვისმე აუდგეს და მაინცადამაინც რედაქტორის თავის გა-დააგდება მოუნდეს ფანჯრიდან? ან... შემოგდება, და ისიც სულ სხვა რედაქტორის თავისა, – თქვენ წარმოიდგინეთ, სხვა გამოუსადეგარ ნივთებთან ერთად, ამ ქალაქში მოიძებ-ნება რედაქტორთა თავებიც, – ან, ვთქვათ, მკვდარი კატისა თუ დამჭკერი ბილოკისა? ისე, თქვენი არ ვიცი, მე კი სულ მაინცერესებდა, არის თუ არა განსხვავება რომელიც გნება-ვთ იმ რედაქტორის – სულ რომ ცით მოვლენილი ანგელოზი იყოს ის – თავსა და დამჭკერი ბოლოებს შორის? ყოფნა-არ-ყოფნა კი არა, საყითხავი, აი, ეს არის! ახლა რომ ვუფიქრ-დები, მგონი, არ უნდა იყოს, თუმცა თქვენ შეიძლება სულ სხვა აზრისა პრანდებოდეთ... უკაცრავად, სიტყვა გაგვექ-ცა, მაშ ასე, ხაზეიკა თავს აქნევს (სხვათა შორის, იმ კუკლა ლევანსა თუ ლევიათანისაც კარგი ქნევა სცოდნია, ღვთის მა-დლმა, მაგრამ ის რაღაც მოკლე-მოკლედ და მონდომებით აქნევდა, – სხვა რამ არ გეგონოთ, მის თავსა, და არ სირსა, ვგულისხმობთ, – თითქო ბეღურა პურის ყუასა ჰკენკავესო; ასე რომ, ემაგის შიში არა გვექონია... ჰაი-ჰაი, ერთი როგორი ასატანია, და ახლა ორი რედაქტორის თავი!), თქვენს ცერ-ხთა მტცერი და ნაცარი კი ისეთ დღეშია, სიმწრისგან ლამის შარვალშიგან ჩაალაგოს. ჩაალაგებდა კიდეც, რომ არა ბედი თუ შემთხვევა, რომელმაც ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. კერძოდ, ხაზეიკას თავი მისსავ მხრებზედ დასტოვა და თქვენი ყურმოქრილი თუ ყვერმოქმული თუ, რა ვიცი, როგორ იტყვიან ხოლმე ასეთ დროს, მონა-მორჩილაძის გა-დაქანებული გულიც საგულეს დაუბრუნა.

გადაერიცხოს... ისე, ცნობისათვის, ზაპამ იქამდე გაჭიმა ორთავ ფეხი, ვინემ ჩვენში თეთრი გაჩნდებოდა (მინდა ბარემ აქავე განვაცხადო, რომ იმ ჭკუისკოლოფთა ჭკუაც ვატირე, ვისაც სურვილი უჩნდება შემომედაოს და მიმითოთოს, რომ ჩვენში თეთრი – კოლხური რაღა – იქამდის თეთრობდა, ვინემ ზაპას გვარი გაჩნდებოდაო საერთოდ), აბა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა, მამაძალი... ისე, კარგი სანახავი იქნებოდა, ღმერთმანი, ცას გამოეკერებული ანთუ ღრუბლის ქულაზე, როგორც ფორჩანი კანფეტი საახალწლო ნაძვის ხეზე, დაკიდებული ზაპა... სხვათა შორის, პროსტატის კიბომ თუ კიბორჩხალამ მოუღო ბოლო... ოო, რა ჩემი ბრალია, თუკი ეს სურათი გაცილებით მეტვირფასება, კერძოდ – ღრუბლის ქულაზე კანფეტივით მიბმულ ზაპას ტრაკზედ ასთაკვი აზის, რომელსაც მისთვის მარწუხი საქმის მცოდნე ანთუ მასტერ-დოხტერსავით უკან გაურჭვია და პროსტატის ჯირკვალზედ მთელი ძალით უჭერს...

თუმცა ჭირსაც წაუღია ზაპა! საერთოდაც, რაღა დროის ზაპაა?.. ან, კიდევაც რომ იყოს, საკითხავია, ჩვენთან რა შუაშია იგი? ნუთუ არა სჯობიან, ჩვენ ჩვენსას მივხედოთ, ჩვენი ვთქვათ, მშობლიური, გულსაც რომ ესიამოვნება და ყურსაც? ვთქვათ, მაგალითად, მთისა და ბარისა, ანუ თბილის-ქალაქისა – ადგილ კეთილისა და ამოსი, რამეთუ, მოგეხსენებათ, მთელი მთა და ბარი აქ არი... მარტი მთა და ბარი? ნუთუ დაგვიწყდათ, ღმერთიც ხომ ჩვენთან არს და წმიდა მარიამ ღვთისმშობელიც? ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად არს! კი-დევ მეფე... აბა, უმეფოდ რა თბილისი იქნებოდა? თბილისი ხომ ოდითგანვე სატახტო ქალაქი იყო. ხოდა, საცა ტახტი, იქაც მისი უდიდებულესობა სეფე უფალი. კიდევ მეტი, შემომაქეს წინადადება, თითო ტახტზედ თითო ემირი და ხომ-თქარი შემოვსვათ.... არ ვიცი, შეიძლება, ზოგ-ზოგიერთები მართალი არიან, რომ ამბობენ, ეს მეფე სიაფანდი და თვითმარქვია არისო, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ თვითონ აკურთხა მან მეფედ თავისითავი თუ სხვამ აფურთხა (ბოდიში მომითხოვია, მაგრამ, ჩემი ბრუციანობისა და სიელმის გამო, კურთხევასა და ფურთხებას შორის დიდ განსხვავებას ვერა ვხედამ), პირადად ჩემთვის სულერთია; რამეთუ აქ და ახლა ერთი ძველი შეგონება მახსენდება, რომელიც ამბობს, იყავ რეალისტი – მოითხოვე შეუძლებელიო. ხოდა მოითხოვა კაცმა, რას ერჩი?... ან რომელი საპყარი და დავარდნილი ეგა ჰანახეთ? დაინახეთ? დაუნახეთ? თვალი არ მოგიკრავთ? როგორ! დაინახეთ? ვინ დაინახა? აუცუ-პუ-პუ!.. ვინ შეხედა? თუ ღმერთი გწამთ, ვინ დაინახა? დავარდნილიო?.. პმ, ემაგას რომ თავი უჭირავს, აეგეთი უნდა სწორედ! მეფემ – ნაკლებმინშენელოვანია, სიაფანდი და თვითმარქვია არის იგი, ტყვეობაში იმყოფება და ვირის აბანოსა ჰეხეამს ანთუ იძულებით დევნილობაშია და სამეფოს გარეშეა დარჩენილი, და ისეთ შავ დღეშია ჩავარდნილი, რომ ამხელა სიმდიდრისა და სახელის პატრონს მოსამარდი ადგილი ვერ მოუძებნია, – პირველ რიგში თავის დაჭერა უნდა იცოდეს, და მერმე სხვა დანარჩენისა. აბა, სულ ერთის წამით წარმოიდგინეთ, თუნდა თვითმარქვია მეფე ან თვითმპყრობელი იმპერატორი, რომელსაც რომა თავი ხან ერთ მხარეს გადაუვარდება კისერ-მოგრეხილ ქათამსავით ანთუ ტიკინა თოჯინასებრ, ხან კი-დევ მეორე მხარესა... თვითონ როგორა ჰავიერი დაგვარი მეფე, რომელსაც, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, საკუთარი თავი ვერ დაუჭერია, ქვეყნის მართვის სადაცების დაჭერას შესძლებს? არა, ბატონებო, აეგეთი დორბლიანი და ბრუტიანი მეფეები თქვენსას მოიკითხეთ! ჩვენ ჩვენი გვყავს და ესაც

გვეყოფა. გვეყოფა კი არა, თავზეც გადაგვივა, პირობები თუ იქნება საამისო, პირობები... და თუ აცალეს. მართლაცდა, თუ აცალეს, რაღაც, რაჟამსაც ეს ჩვენი მეფე მეფობას შეუდგა, ღმერთი იყოს მისი შემწე ამ სიკეთის დროს, და იმის იმედიც მაქვს, რომ ღვთის ნებით ყველა მისი წამონება წარმატებით დაგვირგვინდება, უმალ გამოჩნდნენ სხუანი არიდნი, რომელ- თაც მისი მეფობა თავში აუგარდათ და ამის გამო თავიანთი საქმის მიხედვის თავიც აღარა აქვთ, აშარ დედაკაცებსავით იწყევლებიან და მისდღემჩი იმას გასჭყივიან, აეგა მეფე კი არა, ტყუილების გუდა არისო, და სულმუდამ იმის ცდასა და მეცადინეობაში არიან, როგორმე ტახტი შეურყიონ... თუმ- ცა, ვისცა რა უნდა, ის იჭყივლოს, მანყევარს რა გამოლევს ამ ქვეყანაზედ, რაც შემეხება მე, უნდა მოგახსენოთ, რომა ჩემს თვალში მას მადლი უპოვნია, და შესაბამისად, ჩემთვის ის ნამდვილზე ნამდვილი მეფეა ანუ ძალითა უფლისათა უპყრია საჭენი ამა სოფლისანი... და აღარ უნდა ამას ბე- ვრი ლაილაი, კარგა დააკეირდით და თვითონაც დარწმუნ- დებით, რომ პიტალო მეფეა... მეფეა, აბა, რა ჩემი ფეხებია! და თუ მაინცადამაინც ჩემი არა გჯერათ, მაშ იმას დახეთ, ტელევიზორშიგან რასა სწრენ... რასა და, მეფესა, მაშ-მაპა! თქვენი არ ვიცი, ჩემი აღა და ჩემთა ფიქრთამპყრობელი კი ჩემი ტელევიზორია, რომლის ყურებაცა და ყურის გდებაცა, ღმერთია მოწამე, მშობელ დედასაც კი მირჩევნიან, ხოლო მის ეკრაზედ რასცა ამოვიკითხავ, ის ხომ უცილოდ ურყევ ჭეშმარიტებად მიმაჩნია. ამიტომ საჭვეულოდ ვაცხადებ: სხვა თუ არავინ, ამ ჩვენს მეფეს ჩემთავად თუნდა სულ მარტოც დაუუდგები მუხლჩაუხერელ ქვეშევრდომად, მე ვიქნები მისი ერთგული მეჯორე, და თუ საჭიროება მოითხოვს, მისი გუ- ლისთვის ამ ჩემს გასიებულ თავსაც კი დავდებ, რომელიც ისედაც არ ვიწყი, სად მივდრიყო, დალახვრა ღმერთმა!

თუმცა ჭირსაც წაულია ყველა მეცე და უფლისნული, დი-
დიან-პატარიანა! წაიღებს კიდეც, მით უფრო, რომ ამ ჩვენმა
მრავალჭირნახულმა ქალაქმან სულ ახლახან ისრეთ სტუმარს
უმასპიონდლა, რომლის დარი არა ჰყოლია ბოლო ბარე ხუთი
წლის მანძილზე, ცხადია, თუ არ ჩავთვლით რომის პაპის
ერთჯერად და ზურაბ სოტკილავას პერმანენტულ სტუმრო-
ბებს... მაგრამ, მოდი და ნუ ჩავლი! თქვენ რა, ნუთუ მარ-
თლა გჯერათ, რომა პაპი ანდა სოტკილავა რასმით დაუვარ-
დება უორუ ბუშსა? იქამდე არაფერი გეტკინოთ. დაუვარდება
კი არა, თითოეული ვინძლო აჭარბებდეს კიდეცა! თავ-თავის
ამბავში, რასაკვირველია. გააჩინია დროსა და სივრცეს, და
რაც მთავარია, გააჩინია – ვისთვის. მაგალითად, პირადად ჩე-
მთვის, და კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, მარტო მკვდარი
პაპიც კი აჭარბებს, ცოცხალ სოტკილავაზე რომ არაფერი
ვთქვათ, და მერმე როგორ აჭარბებს! პაი-პაი, როგორ გეტ-
ყობათ, რომ სხვათა ფეხის ხმას აჰყოლიხართ და ამის გამო
მოვლენათა საღად შეფასების უნარი დაგიკარგავთ... მართა-
ლია, ბუშის ჩვენსა ვიზიტს ლამის მთელი მსოფლიო აშუქებ-
და, სოტკილავას ვიზიტების გაშუქება კი აზრადაც არავის
მოსდის, მავრამ ეს, ანუ გაშუქება, ხომ არ არის მთავარი?
რას ვეულისხმობ? რასა და, დავუშვათ, მაგალითად, რომ გა-
ვაშუქეთ კი არა, გადავაბლვიალეთ, ვთქვათ, გია ბუღაძის
რომელიც გნებავთ ის ტილო, ხოლო რომელიღაც პიკასოსი
ჩრდილში მოვაცირეთ, როგორ ფიქრობთ, შეიცვლება ამით
რამე? ცხადია, არაფერი. მარტო გაშუქებით რომ კეთდებო-
დეს საქმე, რაღა გვიჭირდა! დია შორსაც რომ არ წავიდეთ,
საკუთარი გამოცდილებიდან მოგიყვნთ ერთ მაგალითს: ამ
ჩემი თირკმლების გადამყიდვე იმდენჯერ გამაშუქეს მასტერ-

დოხტურებმა, მიკვირს, აქამდე ნათელმცემლად როგორ არ ვიქეცი. ასე რომ, რამდენიც უნდა აშუქონ რომელიდაც ბუშები და ნაბუშარები სხვადასხვა ტელევიზიუმში, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანთელ-საკერძოელი არ დაკარგავს თავის გზასა. მით უფრო, რომ საკითხავია, რატომ არ არი სოტკილავა სანთელი? ისე, ზრდილობის გამო ვკითხულობ, თორემა სოტკილავა ჩემს თვალში დიდი ხანია სანთელია, კერძოდ, ქონის სანთელი. თან კუდრაჭას კანიც მისდღემჩი ისე უპრიალებს, რომ ვუყურებ ხოლმე, თქვენი არ ვიცი, მე კი სულ ბრკიალი და ტკაცა-ტკუცი ჩამესმის, გეგონება, კაცი კი არა, ცეცხლიაო. დაბოლოს, თუკი ბერძნებს დღემდის არ მორიდებიათ ერთ-ერთი ყველაზე სათავანებელი ღმრთის, დიონისეს მოყვავილე ხედ გამოსახვა, ხოლო ქრისტეანთ სულინმდისა – მტრედადა, ვითომ ჩვენ რატომ უნდა მოგვერიდოს, სოტკილავას სანთლად თუ დავსახავთ და გამოვსახავთ? რა შორს მივდივართ, თვით ქრისტემ არა რქუა, კრავი ვარო? ჰოდა, ახლა ეს მიბრძანეთ, თუკი მაცხოვარი ბატკანია, რატომ მაინცადამაინც სოტკილავა არ არის სანთელი?

თუმცა ჭირსაც წაულია სოტკილავა! ვინ არის სოტკილავა? სოტკილავა! ჰმ-ჰმ! იცნობთ თქვენ სოტკილავას? თუმცა რას გეკითხებით? სოტკილავას უკანასკნელი ძალლიც კი იცნობს ამ ქალაქში. ჰოდა, სწორედ ამიტომაც, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, და ვამბობთ კიდეც, რომ საიდნაც უნდა მივუდგეთ სოტკილავას, როგორც უნდა გავპეროთ იგი, ან კი რატომ უნდა გავპეროთ, ბაყაყი ხომ არ არი... მოკლედ, სოტკილავა სულ რომ ზიზილ-პიპილებით მოვრთოთ, მხარილივ საზეიმო ლენტები დავკიდოთ და ყელამდი ოქროში ჩავსახოთ, ისა მაინც უკუნითი უკუნისამდე სოტკილავა იქნება, არც მეტი და აღარც ნაკლები, ანუ მარად დაშობის იმადა, რაიც არს, და ამით, მგონი, ყველაფერი ნათქვამია. და თუ რაღაც ჭირად ეშმაკი შეგიჯდათ და იმასა ფიქრობთ, რომ არამცუ ყველაფერი, იმის მეათასედიც კი არ არი ნათქვამი, რაც რომ უნდა თქმულყოო, მაში მოთმინება იქნიეთ, ჩვენ კი შევეცდებით როგორმე შემდეგ თავში მაინც გამოვასწოროთ ეს სავალალო შეცდომა.

თუმცა იქამდე ერთი დაკვირვების თაობაზე მინდა მოგასენოთ. ხუმრობა იქით იყოს და, ამ ბუშა იმისთანა რამები სცოდნია, დღემდის საგონებელშია ჩაგარდნილი ნახევარი მსოფლიო (საუკეთესო ნახევარს ეგულისხმობთ, თორემა მეორე ნახევარზედ მხოლოდ თეთრი დათვები, მღვდლები და თოვლის კაცები მეგულვიან). დაიდ, მის ყბადალებულ ცეკვაზედ მოგასხენებთ. რაც შემეხება მე, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამდენს ნამდვილად არ მოველოდი ამოტოლა კაცისგან. რა სათქმელია! თქვენი არ ვიცი, მე კი მისმა როგორა ერთი ინდური ფილმი გამასხენა, კერძოდ – ‘დისკოს მოცეკვავე’. გახსოვთ ალბათ, ამ ფილმში მთავარი გმირი დისკოსა პროკავს, მუხლჩაუზრულად და თავდაუზოგავად; და როგორც ინდურ ფილმების უმეტესობაშია, გარდა ცეკვისა, აქაც უზვადაა ვარდები, ცრემლები, ხვევნა-კოცნა და მტლაშა-მტლუში, და ა.შ., და ა.შ., და რაც მთავარია, ბოლოს ჩვენები იგებენ. ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადად ინდური ფილმის საფირმო ნიშანი. ამის გახსენება კი იმისთვის დამჭირდა, რათა უფრო თვალსაჩინოდ დამტნახვებინა თქვენთვის განსჯის საგანი. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ, თუ არ ბუში, არც კი ვიცი, ამ მსგავსებას როდის აღმოვაჩენდი, ან კი აღმოვაჩენდი ოდესებე? ამას იმიტომ ვკითხულობ, რაღაი პირადად ვიცნობდი რამდენიმე სახელიან ჭკუისკოლოფს, რომელნიც ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, თავში ერთხელაც არ მოსვლიათ მსგავსი რამ.

კერძოდ, დაკვირვებითართ როგორა ჰგავს ეს ჩვენი ცხოვრება ინდურ ფილმს? ჩვენსა ვარდები, ცრემლები და ხვევნა-კოცნა რომა, აეგეთი უნდა სწორედ! ახლა ამას დაუმატეთ ზემო-მეჯლისი, ცეკვა-თამაში და ჯგუფური ჭიპხახუნა, კიდევ – კენაი, ლრენაი და ტრაქში თითის ტენაი, და ყველაფერი ცხადი გახდება. ასე რომ, რა გასაკვირია, ბუშისთვისაც უმაღ ცხადი გამხდარიყო. ცოცხალი ადამიანია, მამაძალი, უხორცო სქემა კი არა, და, როგორც გამოჩნდა, საკმაოდ ზნექველიცა და გულჩვილიც. ჰოდა, ალიგზნო კაცი. ერთბაშად ამდენი ხალიჩა, ფარდაგი, ჩიხა-ახალური და ჩიხტი-კობი ცხოვრებაში არ უნახავს მგონია. ან კი სად უნდა ენახა? ხოლო ერთად შეკრებილი ამდენი მომხრე და მისდამი კეთილგანწყობილი კაცი, ქაზზედ რომ არაფერი ვთქვათ, მით უფრო ცეკვა-თამშითა და ტრაქის ქნევით შეგებებული, საქმეში ჩახედულ ხალხს თუ ვენდობით, არც კი დასიზმრებია. ან როგორ დაესიზმრება, როცა ლაყე კერცხისა, დამპალი პამიდვრისა და გაზეთში გახვეული კურკლის მეტი არა შეხვედრია რა ქუჩაში გამოსულ ხალხისგან? იმ საღამოს, ამბობენ, ნომერადინ პრეზიდენტმა, არც მეტი და აღარც ნაკლები, კულტურული შოკი მიღორო, თუმცა ეს რბილად რომ ნათქვამი, ესა ხომ ძალლისთვისაც გასაგებია... საბრალო ჭკუიდან შეირყა და მერმე როგორ შეირყა! მართალია, სულ რაღაც წამით, წამისწამით, თუმცა ჩვენთვის ესაც საქმეა. მე შენ გეტყვი, იოლია დღესდღეობით ვინმეს ჭკუიდან აწევა თუნდა წამით, მით უფრო, ისეთ მაღალლირს მამისა, როგორც რო ჯუნიორ ბუშია... დია სამწუხაროა, რომ იმ საღამოს უცხოპლანეტელად გადაცმულ აჩი მეფარიქეს არ უმღერია აბანოთუბანში, თორემა შოკი მერმე გენახა! სამაგიეროდ, წურწუმია ლეილამან იმღერა, და ვფიქრობ, შოკის მისაღებად ესაც საკმარისი იყო. თუ არ შოკმა, მაში რამ აატოვა ამოტოლა კაცი, ა? მოკლედ, ამდენ მროვავი დედაქაცისა და ფეხის წვერებზე შემდგარ კაცის დანახვაზე ეშმაკი შეუჯდა თუ რა იყო, სხვა დროს თავდაჭრეოლმა ფერმერმან წამით დაივწყა ფერმაც, ცოლიც, საყვარელიცა და ოჯახიც, და ისე გახურდა, დაცვას რომ არ ემარჯვა, ვინდლო იქავე ჩაწერილიყო სუხიშვილების ანსამბლში სოლისტად... მაგრამ იმარჯვეს ბიჭებმა – არ გაუშვეს, ვითომ შემთხვევით გადაელობნენ გზაზე და სულ რაღაც წამით შეაყოვნეს. თუმცა, სათქმელია, რომ სწორედ ის წამი აღმოჩნდა გადამწყვეტი... არსებულ ვითარებას კაცმან უცბად აუღო აღლო. შეამჩენებდით, ამ ღროს მისმან ცოლმაც ივარგა, ზუსტად არ ვიცი, რა უთხრა თვალით (რაღაც პაროლი მისცა კია), თუმცა რაც უნდა ეთქვა, უქარ წამალსავით უმაღ რომ იმოქმედა, ცხადზე ცხადია: ეს ჩვენი ტაშტაშ კაცი დაუყოვნებლივ მანქანისკენ არ გაიქცა! ოღონდ არ დაგვარიზებდეს, ან რა დაგვაცინებებს, რომ, ვინემ ავტოში ისკუპებდა, კაცმან ჯერ თითოეულ დამსწრეს სულ სკუპ-სკუპით დაუარა, ყველა მროვაგს, დარაჯს, მეეზოვესა და ქუჩის ძალლს ხელი ჩამოართვა.

თუმცა ჭირსაც წაულია ყველა ბუში და ნაბუშარი! ვინ არის ბუში? ახლა არ მითხრათ, ნომერადინ პრეზიდენტიო! ისე, ჩვენში რომ დარჩეს, თავიდან მეც ასე ვფიქრობდი... მეც მეგონა პრეზიდენტი მოდიოდა ჩვენსა და დისკოს მოცეკვავე არ შემოგვაპარეს!





ეპიზოდი დავით გულაძეს სიზმრავანის

ბესიკ ხარანაული

ბაჟურ სულაკაურის გამომცემლობა

2005 წ.

„არასერიოზულობა, როგორც ადამიანის ცნობიერების დრეკადობის ძალა სამყაროს სიმძმის მიმართ...“ - ისე მიმწონს ეს ფრაზა „ამბა ბესარიონიდან“, რომ სულ მინდა ამ პრინციპით ვიცხოვრო, მაგრამ დღეს - არა. დღეს საგანგებოდ დავიყენებ სერიოზულ ტონს და ვეცდები, ფრაზის ავტორზე კომპეტენტურად თუ არა, სერიოზულად მანიც გიამბოთ.

წიგნის მაღაზიაში სამი ბესიკ ხარანაული ვიპოვე. ერთი: 2003-ში გამოცემული „წიგნი ამბა ბესარიონისა“ („არეტე“), მეორე: 1991-ში გამოცემული და 1969-1988 წლებში შექმნილი ლექსებისა და პოემების კრებული, და მესამე: „ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის“, რომელიც ბესიკ ხარანაულის პირველი რიმანია. გარევანი - სქელი, პოლიგრაფიული ხარისხი - შესანიშნავი, მოცულობა - 300-მდე გვერდი. ტექსტი - ჯერ შორიდან ვუვლი, ალაგ-ალაგ ვიჭყიტები და ამიტომ კარგად არ ვიცი. თუმცა, რაც ვიცი, ისიც კმარა, კარგად ჩაჯდომა რომ მოანდომოს მკითხველს. იწყება ვედრებით: „ო, ლურჯა-ლმერთო, ფარვ-ხეესურეთის სალოცავებო... თქვენ დაიფარეთ 14-15 წლის პირშიშველა ყმანებილი კაცი, რომელიც თავისი სოფლიდან მარტივა აპირებს გამგზავრებას უცხო ქალაქში. მიდის, რათა თავისი ნაცოდვილია, ანუ ლექსებით გატენილი ორი საერთო რვეული ქალაქში წაულოს სახელოვან პოეტს....“

მთავარი გმირიც ეს არის, ბიჭი, რომელსაც ავტორი სულ ასე მიმართავს „14-15 წლისა“; სულ სხვადასხვა ბრუნვაში, სულ ქვემდებარებდა.

თვალის ერთი ჩაკვრა ნებისმიერ გვერდზე და სავსე და ნომიერი დეტალების ისეთი წყება შეგხვდებათ, მხოლოდ ბესიკ ხარანაული რომ შემჩნევდა.

ახლა კი, ფიქრისთვის „ამბა ბესარიონში“ დასმული კითხვის პერიფრაზს დაგიტოვებთ: „მაშინ ჩვენ რაღა ვქნათ? ეიდინოთ და ვოლაპარაკოთ?“ არა, მარტო: ვიდინოთ და ვიკითხოთ.

არასაფრენი დღეები

რეზო თაბუკაშვილი

საარი


2005 წ.

და ისევ წიგნის მაღაზიაში ვარ. თაროზე ორ რეზო თაბუკაშვილს ვამჩნევ. ვფურცლავ და მიკვირს - ორივე 2005-ია. ერთს „ABC (ანაპურნის საბაზო ბანაკი)“ ჰქებია, მეორეს „არასაფრენი დღეები“.

პირველი, კვლავ და კვლავ, ნეპალურ შთაბეჭდილებებს ეხება და ასეთი სათუთი ფრაზით მთავრდება: „პლანეტა დღითიდღე პატარავდება, ერთფეროვანი ხდება. ასაკთან ერთად, ცოტავდება დროებითი თაეშესაფარი ადგილების რაოდენობა. მთავარია, ექტედე მათკენ სავალ გზებს“. მეორე კი - სულ სხვა რამეა; ნეპალისგან განყენებული და დამოუკიდებელი თემატიკის მქრნე მოთხოვობების კრებული.

„არასაფრენ დღეებში“ ხუთი ტექსტია შესული. მათგან რამდენიმე სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაშისხვადასხვადროს ქვეყნდებოდა ხოლმე. წიგნის რედაქტორი, ანა კორძანა-სამადშვილი განვიმარტავს: „რეზო წერს ქალაქებზე, რომლებიც არ არსებობს, ადამიანებზე, რომელთა ეროვნებასაც ხშირად ვერ დაადგენ, მაგრამ თითოეულ მათგანს მკითხველი მანიც იცნობს, მიუხედავად იმისა, რომ რეზოს გმირებს ერთი პროტოტიპი არ ჰყავთ ხოლმე. მისი პერსონაჟები ძალიან ცოცხლები არიან, ისინი სახებად გრჩება. ქართველი მკითხველის მავნე ჩვევის თანახმად კი, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ვიპოვოთ ადამიანი, რომლის შესახებაც ავტორი გადაკვრით წერს. არადა, ვერ ვპოვოთ. ეს ძალიან რომანტიკული სამყაროა, მაგრამ სასტიკად რეალურიც“.

ვსაც წიგნის თაროზე ეს მოკრძალებულად თხელი კრებული ჩემისავით მოგჭრით თვალს, გირჩევთ, შეიძინოთ და მეხსიერება და წარმოსახვა რეზო თაეუკაშებილის გამორჩეული პერსონაჟით შეივსოთ.



avtori: Tamar babuaZe



15 საუკეთესო ქართული მოთხოვება

(2004 წ.)


ბაჟურ სულაკაურის გამომცემლობა

2005 წ.

კრებულის შემდგენლები ნინათქმაშივე გვაფრთხილებენ, რომ წიგნს არ აქვს მიერტყორობის პრეტენზია. მიზანი საინტერესო და მრავალფეროვანი კრებულის შედგენა იყო, პრინციპი - ტექსტების სიახლე, ახალი აუტორების გამზნევება და მკითხველისთვის გაცნობა. ამიტომაც, ყველასთვის კარგად ნაცნობ სახელებთან ერთად - ნუგზარ შატაძე, აკა მორჩილაძე, ბესო სვედელიძე... - წიგნში ასევე შევიდა მამუკა ხერხეულიძის, მიკა კიკაჩიშვილის, თეონა დოლენჯვალიძის მოთხოვები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მოთხოვები „წლის საუკეთესო მოთხოვობის“ პრემიის ნომინანტებიც არიან. დავით ქართველიშვილი კი - პირველი პრემიის ლაურეატიც. ამ პრემიას „ბაჟურ სულაკაურის გამომცემლობა“ ყოველწლიურად, 23 პრილი, წიგნის საერთაშორისო დღეს გასცემს. ასეთ კრებულს კი უკვე მესამედ უშვებს.

ას რომ, ვისაც სურს, თვალი ადვენტის ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს, „15 საუკეთესო“ სწორედ ამ პროცესის შემაჯამებლის პრეტენზით გამოდის. მოთხოვები ნამდვილად „ცხელ-ცხელია“. ისინი გასულ წელს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში ქვეყნდებოდა: ზოგი „24 საათის“ დამატება „წიგნებში“, ზოგი ურნალ „არილში“, ზოგი „პარნაში“, ზოგიც - „ალტერნატივასა“ და „ლიტერატურულ პალიტრაში“. მოკლედ, ნაიკითხეთ და თავად განსაჯეთ, რამდენია „15 საუკეთესოში“ - რეალურად საუკეთესო.



ადამიანი ცარსულის გარევი

სად: კინოდარბაზი „ამარკორდი“
როდის: ივნისი
რეჟისორი: აკი კაურისმეევი

ჰელსინკიში სამუშაოს საძებნელად ჩასული ადამიანი, ქუჩის ხულიგნების მსხვერპლი ხდება. მძიმე მდგომარეობაში, ის საავადმყოფოში გადაჰყავთ, სადაც მკვდრად ჩათვლიან. მაგრამ ის „ცოცხლდება“. „ცოცხლდება“, რათა თავიდან დაწყოს სიცოცხლე; მეხსიერებადაკარგული იქცეს ადამიანად, - ადამიანად წარსულის გარეშე.

ფინელმა რეჟისორმა აკი კაურისმეევმა ამ ფილმით დიდია ლიარება მოიპოვა. სან-სებასტიანის და სხვა მნიშვნელოვან კინოფესტივალებზე წარმატებული მოგზაურობის და მრავალი პრიზის შემდეგ, კანის კინოფესტივალის შიურის გრან-პრით დაჯილდოვდა, რაც ოდესაც მიქელანჯელო ანტონიონიმ, რობერ ბრესონმა, ინგმარ ბერგმანმა, მილოშ ფორმანმა, ანდრეი ტარკოვსკი მოიპოვეს...

„მე შავ-თეთრ ფილმებს ჩემთვის ვაკეთებ, ფერადს კი - კომერციის თვის. ეს ფილმი, უდავოდ, შავ-თეთრი უნდა იყოს, მაგრამ ის იმდენად ლაკონურია, რომ ფერის გარეშე საერთოდ გაქრებოდა“, - ამბობს აკი კაურისმეევი.

მოახლის დღიური

სად: კინოდარბაზი „ამარკორდი“
როდის: ივნისი
რეჟისორი: ლუის ბუნუელი

„მაღლობა ღმერთს, რომ ათეიისტი ვარ“ - თქვა ერთხელ და დაამახსოვრდათ დიდანს.

მის კინოს ხშირად „ჭეშმარიტების და თავისუფლების კინემატოგრაფის“ ეძახიან.

დაიბადა ესპანეთის ერთ-ერთ მიყრუებულ პროვინციულ სოფელ კალანდაში; მაშინ, როცა კინო პატარა ბავშვივით ძლივს-ძლიობით დგამდა პირველ ნაბიჯებს. მოვიდა და განსაკუთრებული ადგილი დაიკავა: თავისი ჭეშმარიტებით, სიყვარულით, პროტესტით, ფასეულობებით.

სამართებელი, რომელიც ჭრიდა თვალს; ხელზე მოფუთफუთე ჭიანჭველები; დაუოკებელი ვნება და აბსოლუტური ქაოსი - კადრები, რომელიც ყველაზე მეტად გამახსოვრდებოდა სალვადორ დალისთან ერთად გადალებული „ანდალუზიური ნაგაზის“ ნახვის შემდეგ.

ადამიანი, რომელიც მეგობრობდა გაბრიელ გარსია ლორკასთან; რომელმაც საუკეთესო როლები აჩუქა ქეთრინ დენევს; შექმნა „ბურუუაზის მოქრანლებული ხიბლი“, „ვირიდიანი“, „დღის ლამაზმანი“... 1964 წელს გადალებული „მოახლის დღიური“ უანა მორისა და მიშელ პიკოლის შესრულებით ისევ და ისევ საზოგადოების ფასეულობებზე, ჭეშმარიტებასა და ცხოვრებაზეა, ბუნუელისეული ძალადობის, სადიზმის, სექსუალურობის სინთეზით.

სამყაროთა თამ

სად: კინოთეატრი „ამირანი“
როდის: ივნისი
რეჟისორი: სთივენ სპილბერგი


ამ ზაფხულს დედამინა საომრად ემზადება“... „extraordinary battle for future“...

და ბარემ, ინტერნეტ მისამართიც: www.waroftheworlds.com

ხომ იცით, როგორ გვიყვარს ათასგვარი გამოკითხვები; ფრაზები - „მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ...“ ანდა, „წლის საუკეთესო (არა აქვს მნიშვნელობა, რად) დასახელდა (არა აქვს მნიშვნელობა, ვინ)“ და ა.შ. არც მე ვარ გამონაკლისი და როდესაც ზემოთ ხსნებულ ფილმზე ინფორმაციას ვაგროვებდი, ასეთი აღმოჩენა გავაკეთე - ერთ-ერთ ინგლისურ ტელეარხს (როგორც ჩანს, მათაც ძალიან ყვარებიათ) გამოკითხვა ჩაუტარებია: რომელია ომის თემატიკაზე შექმნილი საუკეთესო ფილმი? და რა დაასახელეს? სთივენ სპილბერგის „რიგით რაინის გადასარჩენად“, რასაც ისევ სპილბერგის „შინდლერის სია“ მოჰყვა. პო, ახლა კი შემიღლია ვინიასარმეტყველო, რომ რადგან სპილბერგი ძალიან მოსწონთ ძეირფას ინგლისელებს, ამ სიას სულ მალე რეჟისორის ეს ახალი ნამუშევარიც შეემატება.

მოკლედ, თუ ჯერ კიდევ არ მოგბეზრდათ სამყაროს გადარჩენები; უხილავ, არაამქევნიურ ძალებით უბრალო ამერიკელის შერკინებები, რაც კარგად ვიცით, როგორც თავდება, - მაშინ კინოთეატრი „ამირანი“ ზუსტად თქვენთვის უშვებს ამ ფილმს. პოდა, თუ სიმპათით ხართ განწყობილი უკანასკნელი სამურაის, ტომ კრუზის მიმართ, რომელიც 2005 წლის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან ბლოგბასტერში მთავარ როლს ასრულებს, მაშინ ხომ აუცილებლად უნდა ნახოთ. მით უმეტეს, მსოფლიო პრემიერაა! წარმოიდგინეთ, თქვენთან ერთად მთელს მსოფლიოში რამდენი თვალი შეხედავს დიდ ეკრანს? უუუუუ... ბევრი, ბევრი!

WEB



PANTENE




ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი



ამინო + Pro-V კომპლექსი



©2006 Pantene Pro-V LLC



www.geocell.ge